

1/2026

შვედური-გერმანიის  
სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)  
ISSN 2667-9817 (ელექტრონული)  
© ავტორები, 2026  
[www.lawjournal.ge](http://www.lawjournal.ge)

## მთავარი რედაქტორები

დავით მაისურაძე  
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

## გამომცემლები

მოსამართლე ულრიხ ჰაგენლოხი  
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი ჟორჟოლიანი  
სულხან გველესიანი  
ხათუნა დიასამიძე  
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია  
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი  
პროფ. დოქ. არკადიუმ ვუდარსკი †  
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი  
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი  
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი  
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი  
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი  
ადვოკატი გონა ოყრეშიძე  
ნატალი გოგიაშვილი  
ადვოკატი თემურ ბიგვავა  
ადვოკატი ზვიად ბათიაშვილი  
ადვოკატი ქეთევან ბუაძე  
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე

## სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია



# სარჩევი

## სტატიები

სამ პირს შორის წარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობა: მესამე პირის მხრიდან გადახდის შემთხვევები <i>გიორგი რუსიაშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი</i>	7
გადამუშავებული ნაწარმოები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: საავტორო უფლებების გამოწვევები <i>ლიანა ზაგაშვილი</i>	20
საფრთხის პრევენციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში <i>ია უჯმაჯურიძე</i>	29
სამოქალაქო პასუხისმგებლობა და კრიპტოვალუტა: ახალი სამართლებრივი გამოწვევები ციფრულ ეპოქაში <i>სოფო ბლალაძე</i>	49

## სასამართლო პრაქტიკა

პარლამენტის წევრისთვის სამენარმეო საქმიანობის შეუთავსებლობა ამ საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელებას (ზარანდია)	62
პიროვნების პირადი ცხოვრების უფლების უკან დაიხევას პრესის თავისუფლებასთან მიმართებით (ზარანდია)	65
საავტორო უფლებების დარღვევისთვის კომპენსაციის განსაზღვრა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (ზარანდია)	67
საქართველოს შრომის კოდექსის 47 I ე) მუხლის შეფასება და სასამართლო გამოყენების პრაქტიკა დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობის მიხედვით (ზარანდია)	68
სსკ-ის 73 VIII მუხლის მიხედვით სასამართლოს შეტყობინების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი (ზარანდია)	77

## უცხოენოვანი სტატია

<b>Europeanization Paradigms through EU Projects in Georgian Higher Education: Insights from Jean Monnet Chairs</b> <i>Ekaterine Kardava</i>	80
---	----



## სამ პირს შორის წარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობა: მესამე პირის მხრიდან გადახდის შემთხვევები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ულრიხ ჰაგენლოხი  
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს პრეზიდენტი (პენსიონირებული)

### A. შესავალი

ქვემოთ მოცემული ტექსტი შეეხება კონდიქციური უკუქცევის მოდუსს სამ პირს შორის ურთიერთობაში; კერძოდ, ვინ უნდა მოითხოვოს კონდიქციით უკან ბანკისათვის ზედმეტად გადახდილი, თავად გადამხდელმა თუ მან, ვისი ვალის დასაფარადაც მოხდა ეს გადახდა. ამოსავალი პრინციპია, რომ მატერიალურსამართლებრივი ლეგიტიმაციის მიხედვით უნდა გადაწყდეს – ზედმეტად გადახდილის უკუმოთხოვნის უფლება ბანკისაგან უშუალოდ გადამხდელს აქვს, თუ მხოლოდ მოვალეს, ვისი ვალიც ამ გადამხდელმა დაფარა. თუ გადამხდელის მხრიდან განხორციელებული გადახდა (კონდიქციური სამართლის გაგებით) შესრულებად შეეცხებოდა მოვალეს, ანუ სკ-ის 976 I ა) მუხლის გაგებით შემსრულებელი იქნებოდა სწორედ მოვალე, მაშინ ის უნდა ედავოს ბანკს, ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით და ეს საკითხი, ამ ორ სუბიექტს შორის დავისას უნდა გადაწყდეს და ბანკსა და გადამხდელს შორის დავაში ბანკი არ არის ვალდებული არც მიუთითოს და არც ამტკიცოს, რომ გადახდა შესაბამისი საფუძვლით მიიღო, რადგან,

უსაფუძვლობის შემთხვევაშიც კი, ამ გადახდის უკუმოთხოვნის უფლება ექნება არა უშუალოდ გადამხდელს, არამედ მოვალეს.

ზოგადად ის საკითხი, სამ პირს შორის ურთიერთობაში, ვინ ვის წინაშე ასრულებს – უშუალოდ გადამხდელი თუ ის პირი, ვის ვალზეც ხდება გადახდა – განისაზღვრება „ვალის დაფარვის მიზნის“ კონსტრუქციით, რომელშიც კალკულირებულია, მხარეთა მიერ ექსპლიციტურად გამოხატული ნების გარდა, ასევე კონკლუდენტური ნება და ორივესათვის შეცნობადი ინტერესთა გადანაწილება. ეს წარმოადგენს არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი განმარტების საკითხს.

ზოგადი წესის თანახმად, როდესაც გარეშე პირი იხდის სხვის ვალზე, კრედიტორი ამას მხოლოდ მაშინ იღებს ამ გადამხდელი, გარეშე პირის შესრულებად (და არა მოვალის შესრულებად), როდესაც ის თანახმაა და მას შეიძლება მოეთხოვოს გახსნას ახალი შესრულების ხაზი ამ გარეშე პირთან და მასთან არკვიოს ამ გადახდის სამართლებრივი ბედი (იქნება ეს უკუმოთხოვნა თუ სხვა) – მაგალითად, დაკარგოს და ვერ ნააყენოს ამ გადახდასთან დაკავშირებით

ის შესაგებლები, რომელიც ჰქონდა მოვალის მიმართ და ა. შ. ბანკი, რომელიც ფლობს იპოთეკით უზრუნველყოფილ მოთხოვნას საკუთარი მოვალის წინააღმდეგ – ანუ, მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფრთხე არ ემუქრება – არ აპირებს მიიღოს ამ ვალზე გადახდა სხვა, გარეშე პირისაგან, როგორც ამ გარეშე პირის (და არა მისი მოვალის) შესრულება და გაიჩინოს ამით ახალი პოტენციური კრედიტორი (თუ ეს გადახდა უსაფუძვლო იყო), მით უფრო, თუ მრავალწევრიან ამხანაგობას ეხება საქმე და თითოეული ეს წევრი პოტენციური მოსარჩელე შეიძლება გახდეს.

პირიქით, ბანკი, რომელიც აქ „სიტუაციის ბატონ-პატრონია“, ამ გადახდას იღებს ისე, როგორც ეს, ყველაზე მეტად შეესაბამება მის ინტერესებს – კერძოდ, როგორც, მისი მოვალის შესრულებას, რათა შეინარჩუნოს ყველა ის სამართლებრივი პოზიცია რაც ამ მოვალესთან არსებული ურთიერთობიდან ჰქონდა. მაგალითად, თუ აღმოჩნდა, რომ ამ ვალზე ზედმეტად იქნა გადახდილი, (მოვალესთან დადებული სახელშეკრულებო შეთხმემების მიხედვით) მიმართოს ეს თანხა ამ მოვალის სხვა ვალის დასაფარად და ა. შ. ეს შეცნობადია, ასევე, გადამხდელი გარეშე პირისათვისაც და ის თანახმაა ამაზე, მით უფრო, თუ მას რეალური არჩევანი არ აქვს, მაგალითად, როგორც აქ, არ ჰქონდა ეს ქვემოთ მოცემულ შემთხვევაში გადამხდელს: გადამხდელს ან სამუდამოდ უნდა დაეკარგა იპოთეკით დატვირთული ნაკვეთები ან დათანხმებოდნენ ბანკის ლეგიტიმურ ინტერესს, მიეღო ეს გადახდა, როგორც მოვალის შესრულება.

## I. ფაბულა

რეალური საქმის გარემოებები, რომლებიც მოცემულ ტექსტს უდევს საფუძვლად, სიცხადისათვის და მეორეხარისხოვანი დეტალებისაგან განმენდის მიზნით, უმჯობესია აბსტრაქტული კაზუსის სახით ჩამოყალიბდეს:

შპს „ალფა“ იყო ბანკის მოვალე, რომელიც 2012 წლის მდგომარეობით უკვე დიდი ხანია იყო ვადაგადაცილებული და ბანკი აპირებდა ამ ვალის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვი-

რთული მიწის ნაკვეთების რეალიზაციას. ეს ნაკვეთები იყო იმ ბინათმესაკუთრეთა (თანა)საკუთრებაში, სადაც მშენებელ შპს „ალფას“ უნდა აეშენებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი (ამ თანამესაკუთრებებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად). მიწის ნაკვეთების რეალიზაციის თავიდან ასაცილებლად თანამესაკუთრებმა დააარსეს ამხანაგობა „ბეტა“ და შეათანხმეს ბანკთან, რომ ამხანაგობა აიღებდა კრედიტს, საიდანაც თანხის უმეტესი წილი მოხმარდებოდა „ალფას“ ვალის დაფარვას ბანკის წინაშე. ეს ასეც მოხდა.

მოგვიანებით აღძრული სარჩელით ბანკი ითხოვდა „ბეტასაგან“ დარჩენილი ვალდებულების (კრედიტის დარჩენილი პროცენტების) დაფარვას, თუმცა „ბეტა“ აცხადებდა, რომ, რაც მან გადაუხადა ბანკს, „ალფას“ ვალის დასაფარად, იყო ზედმეტი გადახდა, კერძოდ, „ალფას“ ვალი იყო რეალურად უფრო ნაკლები და ეს ზედმეტად გადახდილი მას უნდა „ჩათვლოდა“ ბანკის წინაშე არსებული სხვა ვალდებულების ნაწილში. შესაბამისად, მას ბანკის წინაშე დაუფარავი ვალდებულება არ გააჩნდა. სახეზე იყო თუ არა ზედმეტად გადახდა, პირდაპირი მტკიცებულებებით არ დგინდება. პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებმა გადახდილის შენარჩუნების საფუძვლის მტკიცების ტვირთი დააკისრეს ბანკს და მიიჩნიეს, რომ მან ვერ ასწია ეს ტვირთი, შესაბამისად, სრულად გაიზარეს მოპასუხე „ბეტას“ არგუმენტაცია.

## II. შესრულების კონდიქცია სამ პირს შორის ურთიერთობაში

„ბეტას“ ზემოთ მოყვანილი თავდაცვითი არგუმენტი, რომ მას ერთ ვალდებულებაზე ზედმეტად გადახდილი უნდა „ჩათვლოდა“ სხვა ვალდებულების ანგარიშში, სამართლებრივ კატეგორიებში არტიკულირებული, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ იმგვარად, რომ „ბეტა“ აპელირებდა მის მიერ გაცხადებულ გაქვითვაზე: მას მიაჩნდა, რომ „ალფას“ ვალზე, „ზედმეტად“ ანუ უსაფუძვლოდ, გადახდილის უკუმოთხოვნის უფლება ჰქონდა შესრულების კონდიქციით და სწორედ ამ მოთხოვნით ქვეთდა (რისი გაცხადე-



ბაც საპროცესო შესაგებელშიც შეიძლება) ბანკის სხვა მოთხოვნას, რომელიც სხვა ვალდებულების შესრულებისაკენ იყო მიმართული.

როგორც ამას გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო<sup>1</sup> ცალსახად აღნიშნავს, სამ პირს შორის კონდიქციური უკუქცევის მოდუსი (ანუ, ვინ ვისგან მოითხოვს უკან) უნდა გადაწყდეს არა სქემატურად, არამედ, იმ ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, რომ თითოეულმა მხარემ უნდა ატაროს მხოლოდ იმ პირის გადახდისუუნარობის რისკი, რომელიც თავად აარჩია სახელშეკრულებო კონტრაქტად; უნდა შეუნარჩუნდეს ყველა ის შესაგებელი, რაც ჰქონდა ამ პირის მიმართ და მხოლოდ ამ პირის მხრიდან შესაგებლების ნაყენების საფრთხეს უნდა მოელოდეს.

სამართლებრივად შესრულება სკ-ის 976 I მუხლის გაგებით (“სხვისი ქონების მიზანმიმართული და გაცნობიერებული შევსება”) და ფაქტობრივი გადახდა (საკუთარი ქონებიდან სხვისი ქონებისათვის რაიმეს შემატება) იდენტური არ არის. ეს განსხვავება თავს იჩენს სამ პირს შორის ურთიერთობაში – ფაქტობრივად გადახდელი შეიძლება არ იყოს შემსრულებელი იმ პირის მიმართ, ვისაც უხდის, არამედ, ამ გადახდით სულ სხვა პირის, მაგალითად, გადახდის მითითების გამცემის, მიმართ ასრულებდეს, ხოლო უშუალოდ გადახდის მიმღების მიმართ შემსრულებელი ეს სხვა პირი იყოს. როდესაც, მაგალითად, სტუდენტი აძლევს საკუთარ ბანკს მითითებას, რომ გადაურიცხოს სწავლის გადასახადი უნივერსიტეტს, აქ, მართალია, ქონებრივი სიკეთის გადადინება ხდება ბანკის ქონებიდან უნივერსიტეტის ქონებაში, თუმცა უნივერსიტეტის წინაშე შემსრულებელი არის, რა თქმა უნდა, არა ბანკი – რომელსაც უნივერსიტეტის წინაშე არანაირი ვალი არ გააჩნია და არც მისი დაფარვა სურს – არამედ სტუდენტი, ხოლო ბანკი ამ გადარიცხვით ასრულებს სტუდენტის წინაშე მის ვალდებულებას საბანკო მოსახურების ხელშეკრულებიდან. ამგვარად, თუ

შესრულების მიზანი (ვალის დაფარვა) დასახულია არა უშუალოდ გადახდის მიმღების, არამედ მესამე პირის მიმართ, ანუ სახეზე გვაქვს შესრულება სამ პირს შორის ურთიერთობაში (შესრულების სამკუთხედი), შესრულების კონდიქციის მოვალეს წარმოადგენს არა უშუალოდ გადახდის მიმღები, არამედ ეს მესამე პირი.

გამოყოფენ შესრულების სამკუთხედის რამდენიმე ძირითად შემთხვევას: მითითების საფუძველზე შესრულება, სხვისი ვალის გადახდა, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება და ასევე დათმობილი მოთხოვნის შესრულება. ყველა ამ შემთხვევაში, ზოგადი წესის თანახმად, შემსრულებლად ითვლება არა ის პირი, ვინც უშუალოდ იხდის (უშუალოდ ვისი ქონებიდანაც ხდება ქონებრივი სიკეთის გადადინება), არამედ ვისაც გააჩნია ვალის დაფარვის მიზანი. შესაბამისად, უსაფუძვლობის (ვალის არარსებობის) შემთხვევაში შესრულების კონდიქციით უკუმოთხოვნის უფლება აქვს ამ პირს და არა უშუალოდ გადახდელს. შესრულებების უკუქცევა შესრულებათა ხაზის მიხედვით, ანუ უშუალო კონტრაქტთა (მოვალე-კრედიტორს) შორის ურთიერთობაში ემსახურება რისკების სამართლიან გადანაწილებას: თითოეულ მხარეს უნდა შეუნარჩუნდეს შესაგებელი თავისი უშუალო კონტრაქტის წინაშე, პასუხი უნდა აგოს მხოლოდ მის მიერ შერჩეული (სახელშეკრულებო) კონტრაქტის შესაგებლისათვის და უნდა ატაროს მხოლოდ მისი გადახდისუუნარობის რისკი.<sup>2</sup>

მოცემული წესი, მითითების საფუძველზე გადახდის შემთხვევისათვის, პირდაპირ დაფიქსირებულია სკ-ის 988 I 1 მუხლში: *პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ-კრედიტორზე მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ-კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე.* მაგალითად, გამყიდველი უთითებს მყიდველს, რომ ნასყიდობის ფასი გადასცეს არა მას, არამედ, პირდაპირ გამყიდვე-

1 რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 109-ე და მომდევნო გვერდები.


2 Canaris, FS Larenz (1973), 860 ff.; Medicus, Bürgerliches Recht, Rn. 668 ff., ციტირებულია: რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 177.

ლის კრედიტორს, რომლის წინაშეც სურს გამყიდველს საკუთარი ვალის დაფარვა. აქ ფაქტობრივი გადახდა ხდება მყიდველსა და კრედიტორს შორის ურთიერთობაში, თუმცა სამართლებრივად კონსტრუირდება „შესრულებების სამკუთხედი“. რადგან მყიდველს (კრედიტორისათვის) ამ გადახდით სურს ნასყიდობის ფასის დაფარვა, ის ასრულებს გამყიდველის წინაშე, ხოლო გამყიდველს სურს კრედიტორის წინაშე ვალის დაფარვა მყიდველის გადახდის მეშვეობით – ამიტომაც, კრედიტორის წინაშე ის არის შემსრულებელი. ნასყიდობის ან გამყიდველსა და კრედიტორს შორის არსებული ხელშეკრულების ბათილობის (ან ორივეს ერთდროულად ბათილობის) შემთხვევაში უკუქცევა უნდა მოხდეს შესაბამის ურთიერთობაში (შესრულების ხაზის მიხედვით). ანუ, მყიდველმა შესრულების კონდიქციით ფული უკან უნდა მოითხოვოს გამყიდველისაგან, ხოლო გამყიდველმა – კრედიტორისაგან.


**1. მითითების საფუძველზე შესრულება**

ზემოთ ხსენებული შემთხვევის გარდა, მითითების საფუძველზე შესრულება სახეზე გვაქვს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს ერთი და იმავე საგნის გარშემო დადებული რამდენიმე ხელშეკრულებასთან და მოვალე საგანს აწვდის არა უშუალოდ თავის კრედიტორს, არამედ, კრედიტორის კრედიტორს. მაგალითად, ა მიყიდის ბ-ს მანქანას, რომელსაც ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გ-ს მიჰყიდის. ა მანქანაზე საკუთრებას პირდაპირ გ-ს გადასცემს. მიუხედავად იმისა, რომ გ-ს ქონების უშუალო შევსება ა-ს ქონებიდან ხდება (სკ-ის 186 I მუხლი), ა შესრულებით მიზნად ისახავს მხოლოდ საკუთარი ვალდებულების შესრულებას ბ-ს წინაშე, რის გამოც ის ასრულებს ბ-ს ხოლო ბ გ-ს წინაშე (სკ-ის 373-ე მუხლი). თუ ეს ხელშეკრულებები არანამდვილია, შესრულების კონდიქციით უკან მოთხოვნა უნდა მოხდეს შესრულებ

ბათა ხაზის მიხედვით – თითოეული ითხოვს თავის შესრულებას იმ მხარისაგან, ვის წინაშეც შეასრულა, ანუ ა ბ-სგან, ხოლო ბ გ-საგან.<sup>3</sup>



იგივე წესი მოქმედებს საბანკო გადარიცხვის შემთხვევაში. როგორც უკვე აღინიშნა, თუ კლიენტი აძლევს თავის ბანკს მითითებას გადაურიცხოს მის კრედიტორს რაიმე თანხა, ამ გადარიცხვით ბანკი ასრულებს კლიენტთან დადებული საბანკო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო კლიენტი ვალდებულებას თავისი კრედიტორის წინაშე სავალო ხელშეკრულებიდან. თუ რომელიმე (ან ორივე) ხელშეკრულება არანამდვილია, ამ შემთხვევაშიც უკან მოთხოვნა უნდა მოხდეს შემსრულებელსა და შესრულების მიმღებს შორის ურთიერთობაში და არა ბანკის მიერ კრედიტორისაგან პირდაპირი კონდიცირების მეშვეობით.<sup>4</sup>



3 რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 175-ე და მომდევნო გვერდი.

4 რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 176.

პირდაპირი კონდიციონების დაშვება, ანუ, უშუალოდ გადახდელს (მითითებულ პირს) რომ მისცემოდა კრედიტორისაგან უკუმოთხოვნის შესაძლებლობა, დაარღვევდა ზემოთ ხსენებულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც თითოეულმა პირმა უნდა ატაროს მხოლოდ მისი კონტრაქტის (გადახდისუნარიობის, შესაგებებლებისა და ა. შ.) რისკი და არა იმ პირის, რომელიც თავად არ აურჩევია თავის კონტრაქტად და რომელსაც მხოლოდ სხვისი მითითების საფუძველზე გადაუხადა.

სკ-ის 988 I 2 მუხლი უშვებს ამ „სამკუთხედში უკუქცევის“-ნესიდან გამონაკლისს („ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა“) და ეხება მოჩვენებითი ან ისეთი მითითების შემთხვევას რომელიც არ შეერაცხება გადახდის მიმღების მოვალეს.<sup>5</sup> შემთხვევათა ამ ჯგუფს განსახილველ საქმესთან ნაკლები კავშირი აქვს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც დასაშვებია „კონდიქციური სამკუთხედის კონსტრუირება“, თუ გადახდის მიმღების თვალსაწიერიდან ეს გადახდა აღიქმება მისი მოვალის მიერ განხორციელებულად, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ასეთად არ გვევლინებოდა.<sup>6</sup>

## 2. სხვისი ვალის გადახდა

შესრულების სამკუთხედის შემთხვევას წარმოადგენს ასევე სხვისი ვალის დაფარვა მითითების გარეშე. მისი უკუქცევის საკითხი იდენტურად წყდება ისეთი გადახდის შემთხვევებში, რომლებიც (კრედიტორის წინაშე) შეერაცხება მოვალეს უნდა გადაწყდეს მითითების შე-

მთხვევის მსგავსად – მესამე პირი ითხოვს მოვალისაგან, ხოლო მოვალე ვითომ-კრედიტორისაგან. კერძოდ, როდესაც მესამე პირი იხდის არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ეს გადახდა მოვალის მიერაა განპირობებული. მაგალითად, სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან მზღვეველს სთხოვს მასთან დაზღვეული პირი, „დაარეგულიროს“ მის მიერ მიყენებული სავარაუდო ზიანის შემთხვევა. მზღვეველმა შეასრულა სავარაუდო კრედიტორის წინაშე. მოგვიანებით აღმოჩნდება, რომ დაზღვეული საერთოდ არ იყო ვალდებული აენაზღაურებინა ზიანი და ვითომ-კრედიტორსაც არ ჰქონია შესაბამისი მოთხოვნა. აქ გაბატონებული მოსაზრება<sup>7</sup> აპელირებს იმ მსგავსებაზე, რომელიც არსებობს ამ შემთხვევასა და ნამდვილი მითითების საფუძველზე გადახდის შემთხვევებს შორის. მზღვეველმა, ისევე როგორც მითითების საფუძველზე შემსრულებელმა, კონდიქციური მოთხოვნა უნდა წაუყენოს დაზღვეულს, ხოლო მოთხოვნა ვითომ-კრედიტორის მიმართ ეკუთვნის დაზღვეულს.<sup>8</sup> ის გარემოება, რომ მესამე პირი, განსხვავებით მითითების შემთხვევისაგან, არა მხოლოდ ექვემდებარება მიმითებლის მიერ ჩამოყალიბებულ ვალის დაფარვის მიზანს, არამედ დამოუკიდებლად აყალიბებს მას, წარმოადგენს უმნიშვნელო „ტექნიკურ განსხვავებას“<sup>9</sup> ამ ორ შემთხვევას შორის, რის მიუხედავდაც ორივე მათგანი მაინც იდენტურად უნდა გადაწყდეს. სამკუთხედში უკუქცევის სასარგებლოდ აქ, პირველ რიგში, საუბრობს ის გარემოება, რომ ვითომ-კრედიტორის მიერ გადახდა განპირობებული იყო დაზღვეულის მიერ და ძალაშია

5 იხ. *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 119-ე და მომდევნო გვერდები; *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 177 და იქ მოყვანილი მაგალითები: მაგალითად, ჩეკს აკლია ხელმოწერა (BGHZ 62, 362); ბანკი არასწორ ადრესატს ურიცხავს (მაგალითად, იმავე სახელის მატარებელ სხვა პირს, რომელიც ხვდება შეცდომას, ან ტრანზაქცია გაყალბებულია (BGH NJW 2005, 3213, RGZ 60, 24).

6 *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 120-ე და მომდევნო გვერდი; *რუსიაშვილი/ევნატაშვილი*, კაზუსები

კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 185-ე და მომდევნო გვერდი.

7 BGHZ 113, 68; BGHZ 1991, 919, ციტირებულია: *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 132, 133.

8 *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 134 და იქ მითითებული ლიტერატურა.

9 *Larenz/Canaris*, Schuldrecht, besonderer Teil II, 13. Auflage, München 1986, § 70 V 3 a; *Canaris*, Der Bereicherungsausgleich bei Zahlung des Haftpflichtversicherers an einen Scheingläubiger NJW 1992, 868, ციტირებულია: *რუსიაშვილი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 134.

ყველა ის არგუმენტი, რომლებიც სამკუთხედში უკუქცევის სასარგებლოდ მეტყველებს.

სხვისი ვალის გადახდისას, გადამხდელს შეუძლია გადახდის მიმღებისაგან პირდაპირი კონდიციონება, თუ აქვს მიმღების წინაშე შესრულების საკუთარი მიზანი და ეს მიზანი მიმღების პოზიციიდანაც შეცნობადია. მაგალითად, ა ფარავს ბ-ს ვალს, რომელსაც შეცდომით საკუთარ ვალად მიიჩნევს და ეს შეცნობადია ასევე მიმღები გ-ს პოზიციიდანაც. ა-ს, როგორც საკუთარი ისე მიმღების თვალსაწიერიდან უნდა საკუთარი ვალდებულების შესრულება, არის რა ეს შესრულება უსაფუძვლო, შეუძლია მისი უკან მოთხოვნა შესრულების კონდიციციით პირდაპირ გ-საგან. მიმღები გ დაცულია სკ-ის 979-ე მუხლის მე-3 ნაწილით.<sup>10</sup>

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული “ნამდვილი” ხელშეკრულების შესრულება და დათმობილი მოთხოვნის შესრულება, როგორც კონდიციციური სამკუთხედის სხვა შემთხვევები, პრინციპულად იდენტური წესებით წყდება<sup>11</sup> და მოცემული საქმის კონტექსტში ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

### III. ბანკი-„ალფა“-„ბეტა“ როგორც კონდიციური სამკუთხედი

მოცემულ შემთხვევაში საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკითხება არსებობდა თუ არა კონკრეტული მითითება შპს „ალფასა“ და ამხანაგობა „ბეტას“ შორის ვალის დაფარვასთან დაკავშირებით და მათ შორის რა ხასიათის შიდა ურთიერთობა წარმოიშვა (გარდა თავდაპირველი ხელშეკრულებისა). სასამართლოს ეს არ გამოუკვლევიან. თუმცა, ეს, საბოლოო ჯამში, უმნიშვნელოა. რადგან, მითითების გარეშე „სხვისი ვალის დაფარვის“ (ზემოთ აღწერილი) სქემით გადაწყვეტისასაც, აქ კონდიციური სამკუთხედი უნდა წარმოიშვას – ბანკისათვის

(თეორიულად) ზედმეტად გადახდილი შესრულების კონდიციციით ბანკისაგან უკან უნდა მოითხოვოს „ალფამ“ და სწორედ „ალფას“ უნდა მოითხოვოს ეს თანხა „ბეტამ“, მათ შორის არსებული ხელშეკრულებიდან თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, ან რეგრესის კონდიციციით (იმ შემთხვევაში, თუ შიდა ურთიერთობაში ეს ხელშეკრულება არ არსებობდა).

კერძოდ, „ბეტას“ გადახდა ბანკის მიმართ იყო „ალფას“ ვალით განპირობებული და შეერაცხებოდა ამ ურთიერთობას (ბანკი-ალფა). ეს გამომდინარეობს მოცემული შემთხვევაში მხარეთა ნების განმარტებიდანაც – „ბეტა“ ალფას დავალიანებას არც საკუთარ ვალად არ მიიჩნევდა და მასზე გადახდისას არც ვალის დაფარვის საკუთარ მიზანს არ აყალიბებდა. თუმცა განმარტება არ არის რეალურად საჭირო, რადგან, გადახდასთან დაკავშირებული შეთანხმების<sup>12</sup> პირდაპირი და სიტყვა-სიტყვითი გაგებით გამომდინარეობს, რომ „ალფას“ ვალთან დაკავშირებით ბანკი არ აპირებდა დამოუკიდებელი შესრულების ხაზისა და ურთიერთობის „გახსნას“ ბეტასთან (რომლის ფარგლებშიც ის დაკარგავდა „ალფას“ მიმართ არსებულ შესაგებლებს და ა. შ., იხ. ქვემოთ), არამედ იღებდა „ბეტას“ მიერ განხორციელებულ გადახდას, როგორც „ალფას“ შესრულებას, რაზეც ცალსახა თანხმობა დააფიქსირა „ბეტამაც“. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ „ალფას“ ვალი არ არსებობდა ან მოხდა ზედმეტი გადახდა, უკუმოთხოვნის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სამკუთხედში: „ალფა“ - > ბანკი, „ბეტა“ -> „ალფა“.

უფრო დეტალურად რომ განვმარტოთ: აქ სახეზე იყო სხვისი ვალის დაფარვა, რომელიც შეერაცხებოდა მოვალეს (შპს „ალფას“). კრედიტის მიზნობრიობას წარმოადგენდა შპს „ალფას“ ბანკისადმი არსებული ვალდებულების დაფარვა, ამით ბანკი და ამხანაგობა „ბეტა“ აცნობიერებდნენ და თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ამ უკანასკნელის მხრიდან გადახდა წარმოშობდა არა

10 რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 132-ე და მომდევნო გვერდი; რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 185-ე და მომდევნო გვერდი.

11 რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, 52-ე და მომდევნო გვერდები.

12 “ბანკის მიერ ამხანაგობა „ბეტასთვის“ მიცემული კრედიტის მიზნობრიობას წარმოადგენს შპს „ალფას“ იმ დავალიანების დაფარვა, რომელიც მას ბანკის წინაშე აქვს.”

ახალ შესრულების ხაზს (ურთიერთობას), არამედ შეერაცხებოდა ბანკსა და „ალფას“ შორის ურთიერთობას, იყო „ალფას“ ვალის დაფარვის მიზნით განხორციელებული და არა დამოუკიდებელი ვალის დაფარვის მიზნით. ბანკი მასსა და „ბეტას“ შორის დამოუკიდებელი შესრულების ურთიერთობის წარმოშობაზე რომ ყოფილიყო თანახმა, ყველაზე მარტივი ფორმა ამისათვის შპს „ალფას“ ვალის გადაკისრება იქნებოდა, რაც ცალსახად უფრო გავრცელებული და ჩვეული ფორმაა იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორსა და მესამე პირს ახალი შესრულების ხაზისა და, ზოგადად, წინა ურთიერთობისაგან მოწყვეტილი ახალი ურთიერთობის დაფუძნება სურთ.

ამის საპირისპიროდ, ბანკი „ბეტას“ იმატებდა არა როგორც ახალ მოვალეს ან თუნდაც მის წინაშე ვალის დაფარვის დამოუკიდებელი მიზნით მოქმედ პირს, არამედ „ალფას“ ვალდებულების შესრულების ინსტრუმენტს/შუამავალს, რომლის გადახდაც შეერაცხებოდა „ალფას“ და არ გააუარესებდა ბანკის პოზიციებს, მაგალითად, იმით, რომ ის დაკარგავდა ამის შემდეგ „ალფას“ მიმართ არსებულ შესაგებლებს, გაქვითვის შესაძლებლობას და ა. შ. ზოგადად, როდესაც ბანკი იღებს მსესხებლის ვალზე მესამე პირისაგან გადახდას, ამ გადახდას იღებს, როგორც ამ მსესხებლის მიერ განხორციელებულს („ვალის დაფარვის მიზნის კონტექსტში“), რადგან ყველაფერი სხვა ბანკის პოზიციების გაუარესება იქნება, რაზეც ის თანახმა არ არის, რაც შეცნობადია გადამხდელისათვის და, შესაბამისად, მის სასარგებლოდ ვერ იქნება განმარტებული. მაგალითად, თუ მესამე პირი ბანკს სთავაზობს გადაიხადოს მსესხებლის რაიმე კონკრეტული სესხი, ამ გადახდას ბანკი იღებს ისე, როგორც მიიღებდა უშუალოდ მსესხებლის გადახდას. მაგა-

ლითად, ბანკს უნდა, რომ დაიტოვოს ამ თანხასთან დაკავშირებით შესაგებლები, რომელიც გამომდინარეობს მსესხებელთან არსებული ურთიერთობიდან. პირობითად, თუ მსესხებელსა და ბანკს შორის შეთანხმებულია, რომ ზედმეტად გადახდილი თანხის უკუმოთხოვნის შესახებ დავა არბიტრაჟმა უნდა განიხილოს, ეს ძალაში დარჩება და ბანკს არ მოუწევს უკუმოთხოვნაზე დავა ამ მესამე პირთან სასამართლოში. ან, მაგალითად, თუ შეთანხმებული იყო ზედმეტად გადახდილის სხვა სესხის დაფარვისაკენ მიმართვა, ესეც ძალაში დარჩეს, ისევე, როგორც გაქვითვის შესაძლებლობა და ა. შ. ბანკი მხოლოდ ამ პირობით არის თანახმა, მიიღოს მესამე პირისაგან გადახდის მიღებას და ამაზე თანახმაა გადამხდელიც, რომელიც ყოველგვარი დამატებითი დათქმის გარეშე იხდის სხვის ვალს – თანახმაა ამ გადახდილის უკუმოთხოვნის საკითხი მსესხებელმა არკვიოს ბანკთან, ხოლო თვითონ კი ჰქონდეს შესაბამისი მოთხოვნა მსესხებლის წინაშე იმის მიხედვით, თუ რა ურთიერთობა წარმოიშობა მათ შორის.

მოცემულ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ „ბეტა“ იხდიდა არა დამოუკიდებელი ვალის დაფარვის მიზნით, გაცილებით უფრო ერთმნიშვნელოვნად იყო დადგენილი, ვიდრე ზემოთ აღწერილ შემთხვევაში. კერძოდ, გადახდის მიზნობრიობაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „ბეტამ“ გადაიხადა „ალფას“ ვალის დაფარვის მიზნით. გარდა ამისა, გარემოებებიდან გამომდინარეობდა, რომ ეს ვალი დაიფარებოდა ისე, როგორც არსებობდა, რაც გულისხმობს იმას, ბანკის პოზიციების არგაუარესებას, მათ შორის იმას, რომ ვალის დაფარვის მიზანი რჩებოდა უცვლელი და შეერაცხებოდა ისევე „ალფას“. სანაცვლოდ კი, ამხანაგობის წევრები არ დაკარგავდნენ კუთვნილ მიწის ნაკვეთებს ამ ნაკვეთებზე არსებული იპოთეკის რეალიზაციის შედეგად. შესაბამისად, ამ გადახდით ბანკის წინაშე შემსრულებლად ითვლება „ალფა“.

#### IV. „ბეტა“ გადახდა, როგორც მხოლოდ იპოთეკის დათმობის სასყიდელი

კერძოდ, ეს მსჯელობა უფრო რომ განვავრცოთ:

„ბეტა“ იხდიდა არა როგორც მესამე პირი სკ-ის 371-ე მუხლის გაგებით<sup>13</sup>, რომელსაც, მაგალითად, მხოლოდ მოვალის დასაჩუქრება სურს („ვალისაგან გათავისუფლების“ ჩუქება) და არ აქვს სხვა ინტერესი კრედიტორის დაკმაყოფილების მიმართ (არაფერს არ იღებს კრედიტორისაგან ამ გადახდის სანაცვლოდ) და შესაბამისად ცალმხრივად და სუვერენულად განსაზღვრავს ვალის დაფარვის მიზანს.<sup>14</sup> აქ „აღფასაგან“ გადახდის მიღებით ბანკი უარს ამბობდა ვადამოსული იპოთეკის რეალიზაციაზე. ფაქტობრივად ხდებოდა „იპოთეკის გამოსყიდვა“ ბანკისაგან, ეს იყო ის სარგებელი, რასაც იღებდა „ბეტა“. შესაბამისად, აქ ამ სარგებლის გამცემი ბანკის პოზიცია და თვალსაწიერი იყო გადამწყვეტი და არ გვექონდა ის ტიპური სიტუაცია, როდესაც მესამე პირი ცალმხრივად სვამს ვალის დაფარვის მიზანს.

ეს იპოთეკა შეთანხმებული იყო აღფასთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობის და მისგან გამომდინარე რისკების (არა მხოლოდ მოთხოვნების, არამედ ასევე შესაგებლების განხორციელების რისკების) უზრუნველსაყოფად. „აღფასთან“, როგორც ნებისმიერ სამშენებლო კომპანიასთან, სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლას წინ უძღოდა პროექტისა და კონტრაქტის სანდოობის გამოკვლევის კომპლექსური პროცესი, რაც არის აუცილებელი წინაპირობა ბანკის მიერ ამ ტიპის წამოწყების დაფინანსებისათვის.

აღფას გადახდისუუნარობის შემდეგ, ვადამოსული იპოთეკის რეალიზაციის მაგივრად, „ბეტასაგან“ გადახდის მიღებით, ბანკი უარს ამბობდა მხოლოდ და მხოლოდ ამ იპოთეკის რეალიზაციაზე და არ აპირებდა „ბეტას“ სახით გაეჩინა ახალი სახელშეკრულებო პარტნიორი

(რომლის მდგომარეობის შესწავლაც არ მომხდარა), რომელიც მთლიანად ჩაანაცვლებდა „აღფასა“ და მასთან არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას. ამისთვის აუცილებელი იქნებოდა ხელშეკრულების (და არა მხოლოდ ვალის) გადაკისრება, რაც აქ არ მომხდარა. ბანკი არ აპირებდა მიეღო „ბეტა“ დამოუკიდებელ პარტნიორად და გადაეხაზა „აღფასთან“ არსებული წინარე ურთიერთობა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი პოზიციები და რისკები. არ ამბობდა უარს ამ იპოთეკებზე უფრო ნაკლების სანაცვლოდ, ვიდრე ფულის „აღფასაგან“ – ანუ, „აღფას“ ვალის დაფარვის მიზნით – მიღება იყო.

ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, „აღფა“ ამ გადახდით ბანკისაგან ყიდულობდა მხოლოდ იპოთეკის დაუყოვნებლივ რეალიზაციაზე უარს და რეგრესულ მოთხოვნას „აღფას“ მიმართ და არა დამოუკიდებელ სახელშეკრულებო ურთიერთობას ბანკთან. მაგალითად, ბანკს „აღფასთან“ დადებულ ხელშეკრულებაში სტანდარტულად მითითებული ჰქონდა, რომ კონკრეტული კრედიტის დასაფარად გადახდილი ზედმეტი თანხა შეიძლება გადამისამართდეს სხვა კრედიტის დასაფარად ან ბანკს ექნებოდა ამ თანხის დაკავების უფლება, სანამ აღფა არ წარადგენდა სხვა კრედიტზე უზრუნველყოფას და ა. შ. რა თქმა უნდა, ბანკს სურდა ამ უფლების შენარჩუნება, ამაზე თანახმა იყო ასევე „ბეტაც“ – წინააღმდეგ შემთხვევაში მას ბანკისაგან უნდა მოეთხოვა, სულ მცირე, ვალის გადაკისრება და ეტვირთა ამასთან დაკავშირებული სირთულეები და დამატებითი გარანტიები. ამის გარეშე კი, ცალსახაა, რომ „ბეტა“ თანახმა იყო, რომ მის მიერ განხორციელებული გადახდით ბანკი არ დაკარგავდა იმ სამართლებრივ პოზიციებს, რაც გამომდინარეობდა ბანკსა და აღფას შორის არსებული ურთიერთობიდან. ამ პოზიციებს მხოლოდ მაშინ შეინარჩუნებდა, თუ

<sup>13</sup> და არც იპოთეკის საგნის მესაკუთრე სკ-ის 292-ე მუხლის მიხედვით, რადგან მინის ნაკვეთები ამხანაგობის საკუთრებაში არ იყო.

<sup>14</sup> რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, 131-ე და მომდევნო გვერდი; რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 186.

„ბეტას“ მხრიდან გადახდას „ალფას“ შესრულებად მიიღებდა და მხოლოდ ამგვარად შეიძლება განიმარტოს ეს გადახდა.

თავდაპირველად ბანკმა იკისრა „ალფასთან“ ურთიერთობის რისკი და იგივე რისკი იკისრეს „ბეტას“ ამხანაგობის წევრებმაც (მისთვის მიწის ნაკვეთების დათმობით). განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ ბანკის რისკი იპოთეკით იყო დაზღვეული. ეს რისკი რეალიზდა, რაც ბანკს, ამ იპოთეკის არსებობის გამო, ეკონომიკურ დანაკლისს არ უქადდა, ხოლო ამხანაგობის წევრებს აკარგვინებდა ყველაფერს. ბანკისაგან განსხვავებით მათ დიდი არჩევანი არ ჰქონდათ.

ის, რომ ბანკმა გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ, დათმო იპოთეკის დაუყოვნებლივი რეალიზაციის შესაძლებლობა, ცალსახად აღიქმებოდა, როგორც მხოლოდ იპოთეკის დათმობა და არა – „ალფას“ როგორც მოვალის დათმობა: „ბეტასაგან“ გადახდის მიღებით ბანკი არ აპირებდა „ალფას“ გადახდის უუნარობის იმ რისკის (უზრუნველყოფის გარეშე ალფას მიმართ მოთხოვნებისა და შესაგებლების განხორციელების რისკი) თავის თავზე აღებას, რომელიც, თავდაპირველად, ამხანაგობის წევრებმა აიღეს საკუთარ თავზე. ეს ამ გადახდის მიზნის სრულებით გაუმართლებელი განმარტება იქნებოდა, გარდა იმისა, რომ პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვიდოდა ბანკსა და „ბეტას“ შორის შეთანხმების სიტყვა-სიტყვით გაგებასთან. ამიტომაც, „ბეტას“ გადახდა წარმოადგენდა „ალფას“ შესრულებას ბანკის მიმართ და, თუ უსაფუძვლოდ მოხდა, ის „ალფამ“ უნდა მოითხოვოს უკან (რადროსაც ბანკი ინარჩუნებს ყველა შესაგებელს მის მიმართ), ხოლო „ბეტამ“ ეს თანხა „ალფასაგან“ უნდა მოითხოვოს უკან.

ის, ფაქტი, რომ შეიძლება შპს „ალფა“ უკვე ლიკვიდირებული იყოს, სირთულეს არ ქმნის, რადგან მენარმეთა შესახებ კანონის ახალი რედაქცია უკვე ექსპლიციტურად ითვალისწინებს ე. წ. „მონარჩენ ლიკვიდაციას“ (90-ე მუხლი), როდესაც ხდება გაუქმებული საზოგადოების ფაქტობრივად „გაცოცხლება“ ახლად აღმოჩენილი, მონარჩენი ქონების – ამ შემთხვევაში: ბანკის მიმართ კონდიქციური მოთხოვნა – ნაწილში. თუ „ალფას“ სხვა ქონება არ აქვს, „ბეტამ“ მის წინააღმდეგ მიმართული სარჩელით უნდა

მოითხოვოს სწორედ „ალფას“ ამ ბანკის წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნაზე აღსრულება (სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 55-ე და მომდევნო მუხლები). ამით, საბოლოო ჯამში, „ბეტა“, ფაქტობრივად, ისევ ბანკისაგან მოითხოვს გადახდას, თუმცა, განსხვავებით, ბანკის მიმართ პირდაპირ საკუთარი მოთხოვნის წაყენებისაგან, „ალფას“ დაყადაღებული მოთხოვნის წაყენებისას, სამკუთხედში უკუქცევა უზრუნველყოფის იმას, რომ მხარეებს შეუნარჩუნდეთ ის შესაგებლები (ბანკს „ალფას“ და „ალფას“ კი „ბეტას“ წინააღმდეგ), რაც ჰქონდათ საკუთარი კონტრაქტების მიმართ და არ ატარებენ სხვისი კონტრაქტების, რომელიც თავად არ აურჩევიათ სახელშეკრულებო პარტნიორად, გადახდის უუნარობის რისკს.

იმ ჰიპოთეტური დაშვებითაც (რაც საქმის მასალებიდან არ იკითხება), რომ ის თანხა, რაც ბანკმა, მოლაპარაკებების შედეგად, მისცა ამხანაგობას სესხად, იყო უფრო მეტი, ვიდრე შპს „ალფას“ დავალიანება ბანკის წინაშე (რაც იყო ამ სესხის გაცემის მიზნობრიობა), მხოლოდ ამ „ზედმეტი“ სესხის გაცემის ფაქტიდან გამომდინარე, ბანკის მიმართ მოთხოვნების წაყენება მაინც გამორიცხულია.

ამ ტიპის მოთხოვნებისათვის, ზოგადად, გამოსადეგია მხოლოდ წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების პარადიგმა (სკ-ის 394 I, 316 II, 317 II მუხლები), რაც, ბანკის მხრიდან ვალდებულების დარღვევის გარდა, გულისხმობს, ასევე, ამხანაგობის ზიანის არსებობასაც. ეს კი, ამ შემთხვევაში, სახეზე არ არის. იმ ჰიპოთეტური დაშვებითაც, რომ შპს „ალფამ“ სესხად აიღო და გადაიხადა ზედმეტი, მას ეს ზედმეტად გადახდილი თანხა სარგებლითურთ, ზემოთ ხსენებული კონდიქციური სამკუთხედის წესების მიხედვით, შეუძლია სრულად დაიბრუნოს უკან და, ამგვარად, მას არ ადგება ზიანი არც ამ თანხის სესხად აღებით და არც მისი უკან დაბრუნების დროში განწელილი პროცესით.

## B. მაგალითები გერმანული სასამართლო პრაქტიკიდან

ზემოაღნიშნული მსჯელობის თვალსაჩინოებისა და უკეთ გამოკვეთის მიზნით, ქვემოთ მოყვანილია გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება.

### I. მითითების შემთხვევები

#### 1. BGH, 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547

##### საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი პრობლემატიკა

მოცემული საქმეს საფუძვლად ედო კლასიკური საბანკო გადარიცხვა. თუმცა, საბანკო გადარიცხვასთან დაკავშირებულ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის პრობლემატიკას, დამატებით, ართულებდა ის გარემოება, რომ მითითების მიცემის მომენტში, მიმთითებლისათვის (შესრულების მიმღების მოვალისათვის) დანიშნული იყო ე.წ. „სუსტი პოზიციის“ დროებითი გადახდისუუნარობის მმართველი (მდრ. § 21 Abs. 2 InsO). ეს ნიშნავდა, რომ მოვალეს შეეძლო ვალდებულებითი გარიგებების დადება, მაგრამ განკარგვითი მოქმედებებისათვის დროებითი გადახდისუუნარობის მმართველის თანხმობა სჭირდებოდა. გადარიცხვის შესრულების შემდეგ, მოსარჩელე თავად დაინიშნა მიმთითებლის გადახდისუუნარობის მმართველად. გადახდისუუნარობის მმართველი ამტკიცებდა (შემოკლებულად რომ აღვწეროთ), რომ განკარგვის შეზღუდვის გამო მოვალეს ბანკისათვის გადარიცხვის შესრულების თაობაზე ნამდვილი მითითება არ მიუცია. ნამდვილი მითითების არარსებობის გამო, კრედიტორმა, თანხა უსაფუძვლოდ მიიღო. ამიტომაც, გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მხოლოდ იმ ზოგადი კონდიციური საკითხების განხილვა კი არ მოუწია, რომლებიც უკვე A ნაწილში იყო დასმული მიმთითებელს (მოვალეს), ბანკსა (მითითების მიმღებს) და შესრულების მიმღებს (კრედიტორს) შორის სამკუთხედურ ურთიერთობაში, არამედ ასევე უნდა განემარტა, ზუსტად რო-

გორ უნდა დაკვალიფიცირებულიყო სამართლებრივად მიმთითებელსა და მითითებულ ბანკს შორის მითითების ურთიერთობა და რა კონდიციურ შედეგებს წარმოშობდა იგი.

### სამართლებრივი საკითხები:

მოსალოდნელი სამართლებრივი საკითხების სირთულის გამო, უკეთ აღქმის მიზნით, ისინი ნაწილობრივ წინასწარ იზოლირებულად იქნება განხილული.

#### 1.1 გადარიცხვის ხელშეკრულება

როგორც წინასწარ განსასჯელი საკითხი კონდიციური ურთიერთობებისათვის, გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, არსებობდა თუ არა მოვალესა და ბანკს შორის გადარიცხვის დავალების შესრულების შესახებ ნამდვილი ხელშეკრულება.

გადარიცხვის ხელშეკრულება წარმოადგენს საგადახდო მომსახურების ხელშეკრულებას § 675f BGB-ის გაგების. მის საფუძველში არსებული სამართლებრივი ურთიერთობები იყოფა ერთჯერად საგადახდო ხელშეკრულებად და საგადახდო მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულებად. § 675f BGB-ში ამის შესახებ, სხვასთან ერთად, ნათქვამია:

„(1) სახელშეკრულებო საფუძვლით ცალკეული გადახდის განმახორციელებელი ვალდებულება, განახორციელოს საანგარიშსწორებო ოპერაცია იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც მას მიმართავს როგორც გადამხდელი, გადახდის მიმღები ან ორივე ამ ნიშან-თვისების მქონე (გადახდის მომხმარებელი).“

(2) გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებით გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, გადახდის მომხმარებლის სასარგებლოდ განახორციელოს ცალკეული და თანმიმდევრული საანგარიშსწორებო ოპერაციები, ასევე შესაბამის შემთხვევებში გადახდის მომხმარებლის სახელით ან რამდენიმე გადახდის მომხმარებლის სახელით მართოს საბანკო ანგარიში....“

ვინაიდან ეს ხელშეკრულება წარმოადგენს ვალდებულებით გარიგებას და არა განკარგვას,



პირველ შუალედურ დასკვნად უნდა ჩაითვალოს, რომ ბანკს, მიუხედავად განკარგვის შეზღუდვისა, შეეძლო მოვალესთან ნამდვილი გადარიცხვის ხელშეკრულების დადება.<sup>15</sup> რადგან ბანკმა განკარგვის შეზღუდვის შესახებ არ იცოდა, მან გადარიცხვის შესრულებით ასევე შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები მოვალის წინაშე (შდრ. § 82 Satz 1, § 24 Abs. 1 InsO).<sup>16</sup> იმდენად, რამდენადაც გადახდა განხორციელდა მოვალის ანგარიშზე არსებული დადებითი ნაშთიდან, ბანკი ამ მოცულობით გათავისუფლდა საგადახდო მომსახურების ჩარჩო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებისაგან მოვალის მიმართ, ფაქტობრივად - მოვალის სასარგებლოდ არსებული ანგარიშის სალდოს შემცირებით, გადახდის ოდენობით. ყოფით ენაში ამ ხელშეკრულებას ხშირად „girovertrag“-საც უწოდებენ.<sup>17</sup> ხოლო იმდენად, რამდენადაც გადახდა განხორციელდა მოვალისათვის მიცემული საკრედიტო ხაზის ფარგლებში, ანუ უარყოფითი სალდოს პირობებში, გადარიცხვის შესრულებით ბანკს, საგადახდო მომსახურების ხელშეკრულებიდან, წარმოეშვა ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც, გადახდისუუნარობის საქმის გახსნის შემდეგ, მხოლოდ გაკოტრების მასის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის სახით შეიძლება არსებულიყო.<sup>18</sup>

## 1.2. სავალუტო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა

გარდა ამისა, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნა წინაპირობად მიითვლის, რომ შესრულება გადახდის მიმღების მიმართ განხორციელებული იყოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. შესრულების უსაფუძვლობა სახეზეა ასევე მაშინაც, როცა კრედიტორის მოთხოვნა, მართალია, არსებობს, მაგრამ იგი ვერ კმაყოფილდება შესაბამისი, თითქოსდა შესრულებითი მოქმედებით.<sup>19</sup>

ამიტომ მოცემულ საქმეში თავდაპირველად უნდა გადანყვეტილიყო, გათავისუფლდა თუ არა გადახდის მითითების გამცემი მოვალე თავისი გადახდის ვალდებულებისაგან ბანკის მიერ შესრულებული გადარიცხვის დავალებით, კერძოდ, მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის გატარებით. საკითხი ეხებოდა იმას, შესრულების ეფექტის გამოსანჯვევად, საკმარისია თუ არა შესრულების რეალური განხორციელება, თუ საჭიროა ვალის დაფარვის მიზნის განსაზღვრა, და თუ ეს საჭიროა, შეეძლო თუ არა მოვალეს, მიუხედავად განკარგვის შეზღუდვისა, განესაზღვრა ვალის დაფარვის ნამდვილი მიზანი.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო, მის წინარედ დადგენილ პრაქტიკის დაყრდნობით, განმარტავს, რომ რეალური შესრულების განხორციელების თეორიის მიხედვით, შესრულების ეფექტი, პრინციპში, დგება შესრულების განხორციელების, როგორც ობიექტური შედეგის სახით.<sup>20</sup>

15 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 5. Februar 2009 - IX ZR 78/07 - NJW-RR 2009, 981, juris Rn. 21.

16 § 82. მოვალის მიმართ შესრულება თუ გადახდისუუნარობის საქმის გახსნის შემდეგ ვალდებულების შესასრულებლად შესრულება განხორციელდა მოვალის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულება გადახდისუუნარობის მასის მიმართ უნდა შესრულებულიყო, შემსრულებელი თავისუფლდება, თუკი შესრულების მომენტში მას საქმის გახსნის შესახებ არ ჰქონდა ცოდნა ... .

§ 24. განკარგვის შეზღუდვათა შედეგები (1) § 21 Abs. 2 Nr. 2-ით გათვალისწინებული განკარგვის რომელიმე შეზღუდვის დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენება §§ 81 და 82 ... .

17 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 15. Dezember 2005 - IX ZR 227/04 - NJW-RR 2006, 771, juris Rn. 8.

18 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 9.

19 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 20 f.

20 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 22. November 2017 - VIII ZR 83/16 - BGHZ 217, 33, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 22. November 2017 - VIII ZR 83/16 - BGHZ 217, 33, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 20. Juli 2010 - XI ZR 236/07 - BGHZ 186, 269, juris Rn. 25.

თუმცა ეს მხოლოდ მაშინ არის ასე, როცა ფაქტობრივი შესრულებითი მოქმედება თავად მოვალის მიერ ხორციელდება. თუ მოვალე თავისი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს გადახდის შუამავალს, შესრულების ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, რომ მოვალემ ამ შუამავალს, როგორც მაცნის ან წარმომადგენლის, მეშვეობით კრედიტორის მიმართ მოახდინოს შესაბამისი დაფარვის მიზნის განსაზღვრა (*Erfüllungsbestimmung*).<sup>21</sup>

ამ შესრულების მიზანი მოვალის მხრიდან, განკარგვის შეზღუდვის გამო, ნამდვილი არ იყო. რადგან ამ განსაზღვრას განკარგვის მსგავსი ეფექტი აქვს, ამისათვის აუცილებელია მოვალის შეუზღუდავი განკარგვის უფლებამოსილება.<sup>22</sup>

### 1.3. კონდიქციური უკუქცევა

შესაბამისად, კონდიქციური უკუქცევის ამოსავალი წერტილი არის შემდეგი ორი წინაპირობა:

- მოვალემ საგადახდო მომსახურების ხელშეკრულების (*girovertrag*-ის) საფუძველზე ბანკს მისცა ნამდვილი მითითება, გადაერიცხა მისი კრედიტორისათვის გადასახდელი თანხა.
- კრედიტორი გადარიცხული თანხის მის ანგარიშზე მოხვედრით („გადახდით“) უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რადგან მოვალემ

ვერ შეძლო ნამდვილი დაფარვის მიზნის განსაზღვრა და, შესაბამისად, მისი ვალდებულება ძალაში დარჩა.

აქედან გამომდინარე, გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო, მიჰყვება საკუთარ უკვე დადგენილ პრაქტიკას და ამბობს, რომ მითითების საფუძველზე განხორციელებული გადახდის დროს კონდიქციური უკუქცევა, როგორც წესი, უნდა მოხდეს შესაბამისი შესრულებითი ურთიერთობების ფარგლებში (შესრულების ხაზის). ეს ნიშნავს: თუ ნაკლი არსებობს დაფარვის ურთიერთობაში<sup>23</sup> მიმთითებელს (მოვალეს) და მითითებულს (ბანკს) შორის, კონდიქციური უკუქცევა უნდა განხორციელდეს ბანკსა და მოვალეს შორის; ხოლო თუ ნაკლი არსებობს გადახდის ურთიერთობაში<sup>24</sup> მიმთითებელსა (მოვალეს) და გადარიცხვის მიმღებს (კრედიტორს) შორის, გამდიდრების უკუქცევა ამ ურთიერთობის ფარგლებში უნდა მოხდეს.<sup>25</sup>

ეს შედეგი ემყარება იმას, რომ მითითებული შესრულების მიმღებისათვის გადახდით სამართლებრივად ორ შესრულების მოქმედებას ახორციელებს.<sup>26</sup> გადარიცხვის კონტექსტში ეს ნიშნავს შემდეგს: ბანკი გადარიცხვის მითითების გამცემ კლიენტთან მიმართებით ასრულებს საგადახდო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, რასაც მოსდევს დაფარვის ურთიერთობაში ზემოთ აღწერილი შედეგები - მაგალითად, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობა ან, დადებითი ნაშთის არსებობისას, კლიენტის სასარგებლოდ

21 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 27. Juni 2008 - V ZR 83/07 - ZIP 2008, 1911, juris Rn. 28.

22 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 29. April 2008 - XI ZR 371/07 - BGHZ 176, 234, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 21. Januar 2010 - IX ZR 226/08 - NJW-RR 2010, 858, juris Rn. 15.

23 შენიშვნა: გერმანულ სამართალში *Deckungsverhältnis* (დაფარვის ურთიერთობა) ეწოდება ურთიერთობას მოვალესა და შესრულების შუამავალს შორის.

24 შენიშვნა: გერმანულ სამართალში *Valutaverhältnis* (გადახდის ურთიერთობა) ეწოდება ურთიერთობას კრედიტორსა და მოვალეს შორის.

25 BGH, Urteil vom 5. November 2020 - I ZR 193/19 - MDR 2021, 474, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 31. Januar 2018

- VIII ZR 39/17 - NJW 2018, 1079, juris Rn. 30; BGH, Urteil vom 14. Dezember 2016 - IV ZR 7/15 - MDR 2017, 140, juris Rn. 61; BGH, Urteil vom 16. Juni 2015 - XI ZR 243/13 - BGHZ 205, 377, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 21. Januar 2010 - IX ZR 226/08 - NJW-RR 2010, 858 - juris Rn. 15.

26 BGH, Urteil vom 5. November 2020 - I ZR 193/19 - MDR 2021, 474, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 16. Juni 2015 - XI ZR 243/13 - BGHZ 205, 377, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 1. Juni 2010 - XI ZR 389/09 - NJW 2011, 66, juris Rn. 31; BGH, Urteil vom 29. April 2008 - XI ZR 371/07 - BGHZ 176, 234, juris Rn. 9.

არსებული ანგარიშის სალდოს შემცირება. ამავე დროს, ბანკი მოვალისათვის (მიენერება მოვალეს), როგორც შესრულების შუამავალი, ასრულებს მის საგადახდო ვალდებულებას კრედიტორის წინაშე.

ამ საქმის თავისებურება ის იყო, რომ გადარიცხვის ნამდვილის მითითების არსებობის გამო, ნამდვილი იყო როგორც დაფარვის ურთიერთობა, ისე გადახდის ურთიერთობაც მიმთითებელსა და გადახდის მიმღებს შორის. ამდენად, ხარვეზი არც ერთ ამ ურთიერთობაში არ არსებობდა; ჩაიშალა მხოლოდ ის შედეგი, რომლითაც გადახდას ვალის დაფარვის ეფექტი უნდა გამოეწვია, ვინაიდან სახეზე არ იყო ვალის დაფარვის მიზნის ნამდვილი განსაზღვრა.

თუმცა ეს საწყისი შეფასებაში არაფერს ცვლის: გადახდის მიმღები უსაფუძვლოდ გამდიდრდა, რადგან მან მიიღო ისეთი შესრულება, რომლის მოთხოვნაც ასეთი სახით არ ეკუთვნოდა, ვინაიდან შესრულების ეფექტი ვერ დადგებოდა. გერმანიაში ეს შედეგი, თავისი არსით, ერთსულოვნად არის აღიარებული. სადავოა მხოლოდ ის, უნდა დაკვალიფიცირდეს ეს შესრულების კონდიქციად თუ არაშესრულების კონდიქციად (ხელყოფის კონდიქციად), თუმცა პრაქტიკულ შედეგზე ეს გავლენას არ ახდენს. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო სწორად მიიჩნევს, რომ შემთხვევა შესრულების კონდიქციით უნდა გადაწყდეს, რადგან უსაფუძვლოდ მიღება, შესრულების მიმღების თვალსაწიერიდანაც მიმართული იყო არსებული შესრულების ვალდებულების დაფარვისაკენ.<sup>27</sup> ხოლო მოთხოვნა „სხვა გზით გამდიდრების“ საფუძვლით (§ 812 Abs. 1 Satz 1 Fall 2 BGB) შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, როდესაც გამდიდრების საგანი მიმღებს საერთოდ არავის მიერ არ მინიჭებია შესრულებით, ე.ი. როდესაც იგი არავის შესრულებას არ წარმოადგენს. ეს არის შესრულების კონდიქციის პრიორიტეტის პრინციპი.<sup>28</sup>

აქედან გამომდინარე, გასარკვევია, ვინ არის ამ კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორი. ეს აუცილებელია მაშინაც კი, როდესაც შესრულების მიმღები, აქ - გადახდისუუნარობის სამართლის საკითხებით დამატებით გართულებულ ვითარებაში - გაქვითვის გაცხადებით ცდილობს მის წინააღმდეგ არსებული კონდიქციური მოთხოვნის განეიტრალებას. ნამდვილი გაქვითვა მოითხოვს მოთხოვნათა ორმხრივობას; შესაბამისად, შესრულების მიმღებისათვის იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს შესაძლებელი, თუ კონდიქციური მოთხოვნის კრედიტორია გადახდის ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალე, ანუ მიმთითებელი.

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო, *inter alia*, აღნიშნავს:<sup>29</sup>

„(1) *გადარიცხვის შემთხვევაში კონდიქციური შესრულებითი კავშირი, როგორც წესი, ორი მიმართულებით ვითარდება. დაფარვის ურთიერთობაში ბანკი, გადარიცხვის შესრულებით, ასრულებს მიმთითებელი ანგარიშის მფლობელის მიმართ, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გადახდის ურთიერთობაში, ჩარიცხული თანხის მოცულობით ასრულებს გადარიცხვის მიმღების მიმართ. შესაბამისად, საჭირო კონდიქციური უკუქცევა, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს შესაბამის შესრულებით ურთიერთობებში და არა ბანკსა და გადარიცხვის მიმღებს შორის. ამ ორ შორის კონდიქციური შესრულებითი ურთიერთობა არ არსებობს, რადგან ბანკის მიერ დასახული მიზანი არის ანგარიშის მფლობელის წინაშე საგადახდო მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება და არა გადარიცხვის მიმღების მიმართ სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე შესრულების განხორციელება.*

*გადარიცხვის მიმღების მიმართ მიმთითებლის შესრულება, ამასთან, მოქმედ გადარიცხვის ხელშეკრულებას მოითხოვს. ნამდვილი*

27 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 12 ff.

28 BGH, Urteil vom 18. April 2024 - IX ZR 89/23 - NJW 2024, 2179, juris Rn. 31; BGH, Urteil vom 2. Juni 2022 - I ZR 140/15 - BGHZ 234, 56, juris Rn. 95; BGH, Urteil vom 5. November 2020 - I ZR 193/19 - MDR 2021, 474, juris Rn.

15; BGH, Urteil vom 16. Mai 2013 - IX ZR 204/11 - MDR 2013, 1376, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 21. Juni 2012 - III ZR 291/11 - NJW 2012, 3366, juris Rn. 28.

29 BGH, Urteil vom 21. November 2013 - IX ZR 52/13 - NJW 2014, 547, juris Rn. 16 ff.

მითითების გარეშე გადახდა ვითომ-მითითებულს ვერ შეერაცხება როგორც მისი შესრულება. გადარიცხვის მიმღების ე.წ. მიმღების ჰორიზონტი ვერ ჩაანაცვლებს ვითომ-მითითებლის მიერ მიზნის განსაზღვრის არარსებობას, თუ ამ უკანასკნელს გადახდის შესაბამისი მითითების არსებობის მისთვის შერაცხვადი გარეგნული გამოხატულება არ შეუძენია. თუ თავიდანვე არ არსებობს ნამდვილი მითითება, მითითებლის შესრულება საერთოდ არ დგება, რადგან მითითებულის მიერ განხორციელებული გადახდა მას ვერ შეერაცხება. ასეთ ვითარებაში ბანკს შეუძლია კონდიციური უკუქცევა უშუალოდ გადარიცხვის მიმღების წინააღმდეგ მიმართოს.

(2) ამ მასშტაბით გნასჯისას, მოცემულ დავაში სახეზეა მოვალის მიერ მოპასუხის მიმართ განხორციელებული შესრულება.

მოვალის, როგორც მითითებლის, გადახდა მოპასუხის, როგორც გადარიცხვის მიმღების, მიმართ ეფუძნებოდა მისსა და ბანკს შორის დადებულ მოქმედ გადარიცხვის ხელშეკრულებას. რადგან მოვალემ ბანკს ნამდვილი მითითება მისცა, ბანკის მიერ გადარიცხვის შესრულება უნდა შეფასდეს როგორც თვით მოვალის შესრულება მისი კრედიტორის, მოპასუხის, მიმართ. როდესაც მითითება სამართლებრივად სავალდებულოა, უკუქცევაც შესაბამის შესრულებით ურთიერთობაში უნდა მოხდეს; მოცემულ შემთხვევაში კი - გადახდისუუნარობის მასსა და მოპასუხეს შორის.“

## 2. BGH, 2004 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება - III ZR 38/04 - NJW 2005, 60

### საქმის გარემოებები და სამართლებრივი პრობლემატიკა

ბუნდესვერის ერთ-ერთ მოხელეს (შემდგომში - K) თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში ევალეზობდა ფედერალური ხაზინისათვის (Bundeskasse) გასაცემი გადახდების განკარგულებების მომზადება. მან ეს მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა და ფედერალური ხაზინიდან ერთ მილიონ ევროზე მეტი თანხა გადაურიცხა ნათესავების და ნაცნობებს. ამ გზით მოპასუხემაც მიიღო, საერთო ჯამში, 8

191,96 ევრო ფედერალური ხაზინიდან განხორციელებული გადარიცხვების სახით; გადახდის დანიშნულებად მითითებული იყო „Gebühr“. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მოპასუხისაგან ამ თანხის დაბრუნებას უსაფუძვლო ამდიდრებისმიერი მოთხოვნით ითხოვდა. მისი მტკიცებით, მოპასუხემ იცოდა, რომ K ფედერალური ხაზინის გადახდებს უკანონოდ ახორციელებდა. მოპასუხე ამას უარყოფდა და აცხადებდა, რომ K რეგულარულად სარგებლობდა მისი სექსუალური მომსახურებით, რომლის ანაზღაურებასაც შეთანხმებისამებრ ისე ახორციელებდა, რომ მისი მითითებით ფედერალური ხაზინა K-ის ხელფასის ნაწილს პირდაპირ მოპასუხეს ურიცხავდა.

### 1.1. სამართლებრივი საკითხები

სააპელაციო სასამართლომ ვერ დაადგინა, იცოდა თუ არა მოპასუხემ K-ის მიერ ჩადენილი გაფლანგვის შესახებ. ამიტომ საქმის მთავარი პრობლემა იყო ის, თუ ვინ იყო კონდიციური სამართლის გაგებით შემსრულებელი მოპასუხის მიმართ - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თუ K. თუ შემსრულებელი K იქნებოდა, კონდიციური მოთხოვნა მხოლოდ მას ექნებოდა. ასეთ შემთხვევაში სწორედ მას უნდა დაემტკიცებინა, რომ მოპასუხეს გადარიცხული თანხების ოდენობით არ ჰქონდა სექსუალური მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც § 1 ProstG-ის მიხედვით, პრინციპში, ძალაშია. ხოლო თუ შემსრულებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ჩაითვლებოდა, აღარ ექნებოდა მნიშვნელობა, ჰქონდა თუ არა მოპასუხეს მოხელის მიმართ რაიმე დაუფარავი მოთხოვნები განუხლები მომსახურების სანაცვლოდ.

### 1.2. სამართლებრივი პრობლემის არსი

თუ ვინ არის კონდიციური სამართლის გაგებით შემსრულებელი, მუდმივი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პრინციპში, უნდა გადაწყდეს შესრულების მიმღების ე.წ. მიმღების ჰორიზონტის მიხედვით. გადამწყვეტია, როგორ უნდა გაეგო გონივრულ პირს, მიმღების მდგომარეობაში, გადაცემა კეთილსინდისიერებისა

და ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით.<sup>30</sup> სხვა ვითარებაა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნამდვილი მითითება საერთოდ არ არსებობს, რაზეც უფრო ვრცლად ქვემოთ, B. I. 3.-შია საუბარი.

ამ საქმის კონტექსტში ეს ნიშნავდა შემდეგს: თუ მოპასუხეს, მისი, როგორც მიმღების, ჰორიზონტიდან შეეძლო ევარაუდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა K-ის მითითებით მხოლოდ გადახდის შუამავლად მოქმედებდა და მას K-ის ხელფასის შესაბამის ნაწილს პირდაპირ ურიცხავდა, მაშინ შემსრულებელი K იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში საწყისი ვითარება ახლოს იქნებოდა ზემოთ განხილულ შემთხვევასთან. თუმცა გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხეს კეთილსინდისიერებისა და ჩვეულებრივი ბრუნვის მიხედვით ასეთი დაფარვის მიზანი ვერ უნდა ევარაუდა. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა უკვე ის, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები ხელფასს უშუალოდ მოხელეს უხდიან და არა, ბანკის მსგავსად, მისი მითითებით მესამე პირებს. გარდა ამისა, K-ის მითითებით სექსუალური მომსახურების ანაზღაურებას ეწინააღმდეგებოდა გადახდის გაურკვეველი დანიშნულება - „Gebühr“, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირების საგადახდო ბრუნვაში, დამატებითი განმარტების გარეშე, იდენტიფიკაციის უქონლობის გამო, სრულიად უჩვეულოა. ამას ემატებოდა ისიც, რომ თავად მოპასუხის განცხადებით, თავისი სექსუალური მომსახურებისათვის იგი ყოველთვის „მრგვალ ასეულებს“ ითხოვდა, რაც გამორიცხავდა ანაზღაურების „არამრგვალი“ ოდენობით განსაზღვრას. ამ გარემოებათა ერთობლივი შეფასებით მოპასუხეს, თუნდაც K-ის დანაშაულებრივ მოქმედებებში ჩახედული არ ყოფილიყო, მაინც უნდა გაეცნობირებინა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გადარიცხვისას არ მოქმედებდა როგორც K-ის მიერ მითითებული შესრულების შუამავალი. შესაბამისად, კონდიქციური სამართლის გაგებით შემსრულებელი იყო

არა K, როგორც მისი სახელშეკრულებო პარტნიორი, არამედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც ის სამართლებრივი სუბიექტი, რომელმაც შესრულებითი მოქმედება ფაქტობრივად განახორციელა.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნამდვილი გადახდის ურთიერთობის არსებობისას ეს უფრო გამონაკლისია. ჩვეულებრივ შემთხვევაში, შესრულების მიმღების პერსპექტივიდან უფრო ბუნებრივია ჩაითვალოს, რომ კონდიქციური სამართლის თვალსაზრისით შემსრულებელი არის მისი რეალური მოვალე, ხოლო მესამე პირი, რომელმაც ფაქტობრივი გადახდა განახორციელა, მხოლოდ შესრულების შუამავლად არის ჩართული. ეს კონსტელაცია განსაკუთრებით მაშინ არის სახეზე, როდესაც ქონებრივი ნაკადის მოძრაობა ხდება ფინანსური მომსახურების გამწვევის მეშვეობით, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელება წარმოადგენს.

### 3. BGH, 2015 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება - XI ZR 243/13 - BGHZ 205, 377

#### საქმის გარემოებები

დავა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ბანკმა გადარიცხვის დავალება მისი დროული გამომშობის მიუხედავად მაინც შეასრულა. თუმცა ამ გადაწყვეტილების პრინციპები ვრცელდება ყველა იმ შემთხვევაზე, როდესაც საგადახდო ოპერაცია არ არის ავტორიზებული.

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლომ გადაწყვეტილების დასაწყისში კიდევ ერთხელ გაიმეორა მის მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლის თანახმადაც მითითების საფუძველზე შესრულებისას კონდიქციური უკუქცევა პრინციპში, ყოველთვის შესაბამის ხარვეზიან შესრულებით ურთიერთობაში უნდა მოხდეს, როგორც ზემოთ B. I. 1.-შია აღნიშნული. ამისგან განსხვავებით, მითითებულს მაინც აქვს უშუალო კონდიქციუ-

30 BGH, Urteil vom 5. November 2020 - I ZR 193/19 - MDR 2021, 474, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 31. Januar 2018 - VIII ZR 39/17 - NJW 2018, 1079, juris Rn. 17; BGH,

Urteil vom 25. Februar 2016 - IX ZR 146/15 - NJW 2016, 2260, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - III ZR 107/15 - NJW 2016, 3027, juris Rn. 34.

რი მოთხოვნა შესრულების მიმდებარის წინააღმდეგ § 812 Abs. 1 Satz 1 Fall 2 BGB-ის საფუძველზე, როგორც არაშესრულებითი კონდიქცია (ხელყოფის კონდიქცია), თუ ნამდვილი მითითება არ არსებობს. ამ მხრივ მნიშვნელობა არ აქვს, რატომ არ არსებობს იგი - საერთოდ არ გაცემულა ეს მითითება, თუ იგი ქმედუნარობის, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის ან ნამდვილი გამომხობის გამო არის არანამდვილი.

ნამდვილი მითითების არარსებობის შემთხვევაში ვითომ-მითითებულმა მხოლოდ უშედეგოდ სცადა შესრულება ვითომ-მითითებლის მიმართ. ამიტომ შესრულების რეალური მიმღები გამდიდრებულია სხვა გზით, ანუ ვითომ-მითითებულის ხარჯზე, რადგან შესრულებითი ურთიერთობა არ არსებობს და, შესაბამისად, შესრულების კონდიქციის პრიორიტეტიც ვერ მოქმედებს. ამიტომ იგი ექვემდებარება დაბრუნების მოთხოვნას არაშესრულებითი კონდიქციის საფუძველზე.<sup>31</sup> ეს მოქმედებს იმისგან დამოუკიდებლად, იცოდა თუ არა მითითებულმა გადაცემის მომენტში, რომ ნამდვილი მითითება არ არსებობდა.<sup>32</sup> შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მიმღების ჰორიზონტს მნიშვნელობა აღარ ენიჭება.

ნამდვილი მითითების არარსებობასა და შესრულებითი ურთიერთობების სხვა ხარვეზებს შორის ასეთი გამიჯვნა მართებულია. თუ მითითება არ არსებობს, ფაქტობრივად შემსრულებელს შესრულებითი მოქმედების განხორციელებით გადახდის ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალის წინააღმდეგ ვერ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნა, რადგან არ არსებობს ნამდვილი დაფარვის ურთიერთობა - ვერც ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა და ვერც მიმითითებლის სასარგებლოდ არსებული ანგარიშის სალდოს

შემცირების ეფექტი. ასეთ ვითარებაში არც გადახდის ურთიერთობიდან გამომდინარე მოვალის სამართლებრივად დასაცავი ინტერესები ირღვევა იმით, რომ კონდიქციური მოთხოვნა უშუალოდ ფაქტობრივ შემსრულებელს ენიჭება. ანალოგიურად, შესრულების მიმღების დასაცავი ინტერესებიც არ ზიანდება, რადგან მას თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ საკუთარი მოვალის ქონებიდან შეუძლია მოითხოვოს და არა ისეთი მესამე პირის ქონებიდან, რომელიც ნამდვილი გადახდის ურთიერთობის გარეშე მოქმედებდა.

თავის ადრინდელ პრაქტიკაში გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო მოქმედ მითითებას უთანაბრებდა ასევე იმ შემთხვევას, როდესაც მოვალე ქმნიდა მითითების მისთვის შერაცხებად სამართლებრივ მოჩვენებას.<sup>33</sup> თუმცა ამ პრაქტიკას გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო აღარ მისდევს, სულ მცირე, საგადახდო ბრუნვაში შესრულების შემთხვევებში, მას შემდეგ, რაც 2007/64/EG დირექტივის იმპლემენტაციის შედეგად ძალაში შევიდა საგადახდო მომსახურების შესახებ წესები (§§ 675c ff. BGB).<sup>34</sup>

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ამასთან დაკავშირებით, *inter alia*, აღნიშნავს:<sup>35</sup>

„(1) ახალი საგადახდო სამართლის ცენტრალური ღერძია § 675j BGB, რომელიც საგადახდო ოპერაციის ავტორიზაციას ანესრიგებს. § 675j Abs. 1 Satz 1 BGB-ის მიხედვით, საგადახდო ოპერაცია გადამხდელის მიმართ ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუ იგი მის მიერ არის ავტორიზებული. ასეთი ავტორიზაციის გარეშე საგადახდო ოპერაცია საგადახდო მომსახურების გამწვევისათვის გადამხდელის მიმართ ხა-

31 BGH, Urteil vom 29. Oktober 2020 - IX ZR 212/19 - NZG 2021, 239, juris Rn. 25 f.; BGH, Urteil vom 5. November 2020 - I ZR 193/19 - MDR 2021, 474, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 16. Juni 2015 - XI ZR 243/13 - BGHZ 205, 377, juris Rn. 18.

32 BGH, Urteil vom 29. Oktober 2020 - IX ZR 212/19 - NZG 2021, 239, juris Rn. 25 f.; BGH, Urteil vom 16. Juni 2015 - XI ZR 243/13 - BGHZ 205, 377, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 1. Juni 2010 - XI ZR 389/09 - NJW 2011, 66, juris Rn. 32.

33 Sdr. BGH, Urteil vom 29. August 2008 - XI ZR 371/07 - BGHZ 176, 234, juris Rn. 12 ff. und 21; BGH, Urteil vom 16. Juni 1983 - VII ZR 370/82 - BGHZ 87, 393, juris Rn. 7 ff.

34 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 13 ნოემბრის დირექტივა (ევროკავშირის ოფიციალური ჟურნალი, L 319/1).

35 BGH, Urteil vom 16. Juni 2015 - XI ZR 243/13 - BGHZ 205, 377, juris Rn. 23 ff.

რჯების ანაზღაურების მოთხოვნას არ წარმოშობს. პირიქით, მან გადამხდელს გადახდილი თანხა დაუყოვნებლივ, ვალუტირების თარიღის შეუცვლელად, უნდა დაუბრუნოს (§ 675u Satz 1 und 2 BGB). § 675j და § 675u BGB ე.წ. *Veranlasserfälle*-ში (შერაცხვის შემთხვევები) ცვლიან იმ მიდგომას, რომლის თანახმადაც გადამხდელი კრიტერიუმი იყო გადახდის მიმღების ჰორიზონტი. გადამხდელთა ის, რომ კანონმა, ადრინდელ სამართლებრივ მდგომარეობასთან შედარებით, საგადახდო მომსახურების გამწვანის სასარგებლოდ მხოლოდ ძალზე შეზღუდულად გამოაკლისებდა დასაშვებ შერაცხვის კრიტერიუმი - კერძოდ, გადამხდელის ავტორიზაცია - დაანესა ანგარიშიდან ჩამონერის მოქმედებისათვის; ეს კრიტერიუმი შეფასებით მიდგომაშიც, მათ შორის კონდიქციურ სამართალში, წინა პლანზე წამოსწია.

ეს ნიშნავს, რომ §§ 675c ff. BGB-ის მოქმედების სფეროში საგადახდო ოპერაცია, რომელიც გადამხდელის ავტორიზაციის გარეშე განხორციელდა, მას ვერ შეერაცხება როგორც შესრულება, იმისგან დამოუკიდებლად, იცოდა თუ არა გადახდის მიმღებმა ავტორიზაციის არარსებობის შესახებ და როგორ ჩანდა ეს ოპერაცია მისი მიმღების ჰორიზონტიდან. ასეთ ოპერაციას გადახდის ურთიერთობაში არ აქვს შესრულების ეფექტი, რადგან არ არსებობს დაფარვის მიზნის განსაზღვრა, ხოლო დაფარვის ურთიერთობაში იგი ვერ ჩაითვლება საგადახდო მომსახურების გამწვანის მიერ გადამხდელის მიმართ განხორციელებულ შესრულებად. შესრულებითი ურთიერთობის არარსებობის გამო, არავტორიზებული საგადახდო ოპერაცია წარმოშობს საგადახდო მომსახურების გამწვანის არაშესრულებით კონდიქციას გადახდის მიმღების წინააღმდეგ.

(2) ეს შედეგი სამართლიანიც არის და შინაგანად თანმიმდევრულიც. ... გადამხდელი, რადგან ავტორიზაციის არარსებობის გამო საგადახდო მომსახურების გამწვანის მიერ განხორციელებული გადარიცხვა მას ვერ შეერაცხება

როგორც შესრულება გადახდის მიმღების მიმართ, ისე განიხილება, თითქოს გადახდის ურთიერთობაში მას საერთოდ არ შეესრულებინოს გადახდის მიმღების მოთხოვნა. თუ გადახდის მიმღებს გადახდის ურთიერთობაში მოთხოვნა აქვს გადამხდელის მიმართ, მას ამ მოთხოვნის დაყენება კვლავაც შეუძლია. შესაბამისად, გადამხდელს არაფერი მიუღია, რის გამოც მისი წინააღმდეგ არც მისი საგადახდო მომსახურების გამწვანის კონდიქციური მოთხოვნა შეიძლება არსებობდეს. ეს შეესაბამება იმ ადრინდელ პრაქტიკასაც, რომელიც თავიდანვე ნამდვილი მითითების არარსებობის შემთხვევებს ეხებოდა.“

## II. სახელშეკრულებო ჯაჭვები / ორმაგი ხარვეზი

მითითების შემთხვევებთან დაკავშირებით ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპები ანალოგიურად ვრცელდება სახელშეკრულებო ჯაჭვებზეც. მაგალითად, როდესაც მყიდველი საქონელს ონლაინ-მოვაჭრისაგან ყიდულობს, ხოლო თავად ეს ონლაინ-მოვაჭრე მას საბითუმო მოვაჭრისაგან ან მწარმოებლისაგან იღებს. ასეთ შემთხვევებშიც აუცილებელი კონდიქციური უკუქცევა, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს შესაბამის შესრულებით ურთიერთობაში, იმისგან დამოუკიდებლად, ონლაინ-მოვაჭრე თავად მიაწოდებს თუ არა საქონელს მყიდველს, თუ საქონლის პირდაპირ მიწოდებას საბითუმო მოვაჭრის ან მწარმოებლის მეშვეობით უზრუნველყოფს.

ამისგან, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ე.წ. ორმაგი ხარვეზიც არაფერს ცვლის, ანუ მაშინაც, როდესაც არანამდვილია როგორც დაფარვის ურთიერთობა, ისე გადახდის ურთიერთობა. ადრინდელ პრაქტიკაში ასეთ შემთხვევებში ხშირად დაიშვებოდა ე.წ. „Durchgriff“, ანუ სამწვერიანი ჯაჭვის შუაში მდგომი პარტნიორის გამოტოვებით პირდაპირი უკუქცევა. თუმცა ეს უკვე აღარ შეესაბამება ქვედა ინსტანცი-

ის სასამართლოების თანამედროვე პრაქტიკა-სა<sup>36</sup> და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს.<sup>37</sup> გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს ეს საკითხი უახლეს პრაქტიკაში საბოლოოდ ჯერ არ გადაწყვეტია, თუმცა მან მიანიშნა, რომ ადრინდელი პრაქტიკაც თავად აქვს ეჭვქვეშ დაყენებული.<sup>38</sup> სამკუთხედში უკუქცევას უპირველეს ყოვლისა ის ამართლებს, რომ ორმაგი ხარვეზის შემთხვევაშიც სამწევრიანი გამდიდრების ჯაჭვის ბოლო რგოლს უნარჩუნდება თავისი უშუალო წინამორბედის წინააღმდეგ არსებული შესაგებლები, ხოლო შუალედურ რგოლს, თავის მხრივ, უნარჩუნდება შესაგებლები გამდიდრების ჯაჭვის პირველი რგოლის წინააღმდეგ.

### III. შესრულება მესამე პირის მიერ

#### BGH, 1990 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება - XII ZR 130/89 - BGHZ 113, 62

თუ ფაქტობრივი შემსრულებელი არ მოქმედებს, როგორც A ნაწილსა და B. I.-ში განხილულ მითითების შემთხვევებში, მიმითებლის მიერ მითითებული შესრულების შუამავალი, არამედ, § 267 BGB-ის შესაბამისად, როგორც მესამე პირი, ასრულებს სხვის ვალს (რაც შეესაბამება სკის 371-ე მუხლის რეგულირებას), მაშინ, პრინციპში, მას, როგორც გადამხდელ მესამე პირს, აქვს უშუალო კონდიქციური მოთხოვნა, თუ მოვალე შესრულების მიმღების წინაშე საერთოდ

არ იყო ვალდებული.<sup>39</sup> ასეთი შემთხვევები მითითების შემთხვევებისაგან იმით განსხვავდება, რომ ფაქტობრივი შემსრულებელი, შესრულების მიმღების ობიექტური პერსპექტივიდან (Empfängerhorizont), მოქმედებს საკუთარი ნების საფუძველზე სხვისი ვალის დასაფარად<sup>40</sup> და არა სხვისი მითითების შესასრულებლად.

პრაქტიკაში ეს პრობლემა განსაკუთრებით მაშინ ჩნდება, როდესაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზღვეველი, მცდარი ვარაუდით, რომ მისი დაზღვეული პირი ზიანის ანაზღაურებაზეა ვალდებული, სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხას უშუალოდ ვითომ-კრედიტორს უხდის.<sup>41</sup> ასეთ შემთხვევაში მზღვეველი არ იხდის იმიტომ, რომ დაზღვეულმა პირმა მას გადახდა დაავალა. პირიქით, იგი დაზარალებულს საკუთარი გადაწყვეტილებით და საკუთარი ქონებიდან უხდის, რადგან სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ თავისი დაზღვეულის წინაშე ასეთი მოქმედების ვალდებულება ეკისრება. გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს:<sup>42</sup>

„მესამე პირის მიერ გადახდა, რომელსაც კანონი § 267 BGB-ში ანესრიგებს, სახეზეა მაშინაც, როდესაც ის, ვინც სხვის ვალდებულებაზე იხდის, ფიქრობს, რომ ამას უშუალოდ მოვალის წინაშე არსებული ვალდებულება აკისრებს. (...)

36 Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 3. Juli 2023 - 102 AR 40/23 e - juris Rn. 22; OLG Düsseldorf, Beschluss vom 29. März 2023 - I-26 U 7/22 - juris Rn 5; OLG Stuttgart, Urteil vom 15. Juni 2021 - 6 U 656/20 - juris Rn. 42; OLG Karlsruhe, Urteil vom 9. April 2015 - 12 U 17/14 - juris Rn. 59 ff.

37 Buck-Heeb in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 812 BGB, Rn. 37; Martinek/Heine in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 812 BGB (Stand: 01.02.2023), Rn. 110 ff.; weitere Nachweise bei Bayerisches Oberstes Landesgericht, Beschluss vom 3. Juli 2023 - 102 AR 40/23 e - juris Rn. 22.

38 BGH, Urteil vom 24. April 2001 - VI ZR 36/00 - BGHZ 147, 269, juris Rn. 13.

39 BGH, Beschluss vom 27. September 2017 - IV ZR 39/16 - juris Rn. 17; BGH, Urteil vom 17. Oktober 2002 - III ZR 58/02 - NJW 2002, 3772, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 29. Februar 2000 - VI ZR 47/99 - NJW 2000, 1718, juris Rn.

9; BGH, Urteil vom 28. November 1990 - XII ZR 130/89 - BGHZ 113, 62, juris Rn. 22 f.

40 BGH, Urteil vom 31. Januar 2018 - VIII ZR 39/17 - NJW 2018, 1079, juris Rn. 26; BGH, Beschluss vom 27. September 2017 - IV ZR 39/16 - juris Rn. 17; BGH, Urteil vom 20. Juli 2011 - XII ZR 149/09 - NJW 2012, 523, juris Rn. 38; BGH, Urteil vom 28. November 1990 - XII ZR 130/89 - BGHZ 113, 62, juris Rn. 23.

41 გერმანიაში, საქართველოსგან განსხვავებით, ეს პრობლემა ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზღვეველთან მიმართებით არ წარმოიშობა. დაზარალებულს მის მიმართ პირდაპირი მოთხოვნა აქვს, რის გამოც ავტოსატრანსპორტო საშუალების სამოქალაქო პასუხისმგებლობის მზღვეველი (ვითომ) სადაზღვევო შესრულების განხორციელებით ასრულებს (ვითომ) საკუთარ ვალდებულებას.

42 BGH, Urteil vom 28. November 1990 - XII ZR 130/89 - BGHZ 113, 62, juris Rn. 22 f.



ასეთ შემთხვევაშიც, როგორც აქ პასუხისმგებლობის მზღვეველის მიერ, შესრულება **solvendi causa** ხორციელდება გადახდის ურთიერთობიდან გამომდინარე ვალზე. პასუხისმგებლობის მზღვეველი კრედიტორისათვის გადახდით, თუნდაც ამას თავისი დაზღვეულის წინაშე არსებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ვალდებულების შესასრულებლად აკეთებდეს (დაფარვის ურთიერთობა), ჩვეულებრივ მაინც სხვის ვალს ფარავს, კერძოდ, თავისი დაზღვეულის პასუხისმგებლობის ვალს კრედიტორის წინაშე (პასუხისმგებლობითი, ანუ გადახდის ურთიერთობა); იხ. BGH, Urteil vom 8. Oktober 1969 (IV ZR 633/68 - NJW 1970, 134). ეს წარმოადგენს მესამე პირის მიერ სხვის ვალზე გადახდის ერთ-ერთ პრაქტიკულად მნიშვნელოვან შემთხვევას. (...)

მესამე პირის მიერ გადახდის შემთხვევებში კონდიქციური უკუქცევისათვის დღეს თითქმის

ერთსულოვნადაა აღიარებული პრინციპი, რომ, თუ დასაფარი ვალდებულება არ არსებობდა, გადამხდელს შეუძლია უშუალოდ ვითომ-კრედიტორისაგან მოითხოვოს დაბრუნება. (...) ეს, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მოქმედებს, როდესაც, როგორც აქ, ვითომ-მოვალეს გადამხდელი ამ შესრულებისკენ არ უბიძგებია ან ეს მისთვის შერაცხებადი ფორმით არ გაუკეთებია. (...) სენატიც ამ შეფასებას ეთანხმება. ვინც სხვის ვალზე ასრულებს, შეუძლია უშუალოდ მიმღებისაგან მოითხოვოს დაბრუნება იმდენად, რამდენადაც შესაბამისი ვალი არ არსებობდა. როდესაც შესრულება ვითომ-მოვალის მითითებას არ ეფუძნება, არ არსებობს საკმარისი შერაცხვის საფუძველი იმისათვის, რომ შემსრულებლად გადამხდელის ნაცვლად სწორედ იგი ჩაითვალოს. ამიტომაც არ არსებობს მისი კონდიქციური უკუქცევაში ჩართვის საფუძველი.“

## გადამუშავებული ნაწარმოები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში: საავტორო უფლებების გამოწვევები

ლიანა ზაგაშვილი  
საქართველოს უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი

### აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი უზრუნველყოფს გადამუშავებული ნაწარმოების საავტორო სამართლებრივი რეგულირების შესწავლას ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში და აანალიზებს საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობას.

ნაშრომში გამოკვეთილია დიფერენცირება ხელოვნური ინტელექტის მიერ გადამუშავებულ ნაწარმოებსა და ხელოვნური ინტელექტის დახმარებით გადამუშავებულ ნაწარმოებს შორის. პირველ შემთხვევაში, ადამიანის მნიშვნელოვანი ჩართულობის გარეშე, შესაძლებელია შეიქმნას ნაწარმოები, რომელიც წინასწარ განზრახული არ იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში სახეზეა ადამიანის მნიშვნელოვანი ინტერვენცია. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საავტორო უფლებებით დაცვადადობის საკითხის გადაწყვეტისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ჩართულობისა და შემოქმედებითი კონტროლის ხარისხს.

ცალკე თავი ეთმობა თარგმანს, როგორც გადამუშავებული ნაწარმოების ერთ-ერთ ფორმას, და განხილულია მისი სპეციფიკა როგორც ტრადიციული, ისე ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით განხორციელებული თარგმნის შემთხვევაში. ნაშრომის ანალიზის შედეგად, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მიუხედავად ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონისა, გადამუშავებული ნაწარმოების სამართლებრივი შეფასებისას გადამწყვეტ კრიტერიუმად კვლავ რჩება ადამიანის შემოქმედებითი შრომა და კონტროლი საბოლოო შედეგზე, რაც განსაზღვრავს ნაწარმოების საავტორო უფლებებით დაცულობას.

*საკვანძო სიტყვები: გადამუშავებული ნაწარმოები; საავტორო სამართალი; ხელოვნური ინტელექტი; ავტორობა; ორიგინალურობა; შემოქმედებითი კონტროლი; თარგმანი;*

### I. შესავალი

საავტორო სამართლის სფეროს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს გადამუშავებული ნაწარმოების კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია

ის დასაბამი იწყება მე-18 საუკუნიდან, მაშინ როდესაც დიდი ბრიტანეთის სამეფოში ძალაში შევიდა 1710 წლის საავტორო უფლებების შესახებ აქტი, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც

ანას სტატუტს (The Statute of Anne)<sup>1</sup>. აღნიშნული აქტის საფუძველზე, რომლის ძირითადი მიზანი იყო დაბეჭდილი წიგნების რეპროდუქციის კონტროლი, ავტორებს გაუჩნდათ ახალი მნიშვნელოვანი უფლება, როგორც იყო საკუთარი დაწერილი წიგნების „ბეჭდვა, გადაბეჭდვა და იმპორტირება“<sup>2</sup>. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ არ იძლევა გადამუშავებული ნაწარმოების ცნების განმარტებას და კანონი მიუთითებს, რომ მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის ნაწარმოებად მიიჩნევა გადამუშავებული ნაწარმოები, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს თარგმანი, მხატვრული ნაწარმოების პნკარედი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სხვაგვარი გადამუშავება.<sup>3</sup> სრულიად ახალი, ყველაფრისგან დამოუკიდებელი ნაწარმოები არც ლიტერატურაში მოიძებნება და არც ხელოვნებაში<sup>4</sup>. ყოველი ნაწარმოები რალაცის საფუძველზე იქმნება<sup>5</sup>. განსხვავებით საქართველოსაგან, ამერიკის შეერთებული შტატების „საავტორო უფლებების შესახებ“ კანონი გადამუშავებული ნაწარმოების განმარტებას იძლევა და ასევე აზუსტებს, რომ ნაწარმოები, როგორცაა თარგმანი, მუსიკალური არანჟირება, დრამატიზაცია, პროზაული ადაპტაცია ან ნებისმიერი სხვა ფორმა, უნდა წარმოადგენდეს უკვე არსებული ნაშრომის გარდაქმნას, გადაკეთებას ან ადაპტირებას<sup>6</sup>.

გადამუშავებული ნაწარმოების, ისე, როგორც სხვა ნებისმიერი ნაწარმოების შემთხვევაში, ავტორი შესაძლებელია იყოს მხოლოდ ადამიანი

ნი<sup>7</sup>. ამასთან, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციით, შესაძლებელია ორი კატეგორიის გამოყოფა კერძოდ: ხელოვნური ინტელექტის მიერ გადამუშავებული ნაწარმოები და ხელოვნური ინტელექტის დახმარებით გადამუშავებული ნაწარმოები<sup>8</sup>. პირველ შემთხვევაში ასევე მოიაზრება „ხელოვნური ინტელექტის მიერ ავტომატურად გენერირებული“ ნაწარმოები, რომელიც გულისხმობს გადამუშავებული ნაწარმოების შექმნას ადამიანის ჩართულობის გარეშე, რადროსაც ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია „შეცვალოს ოპერაციის დროს თავისი ქცევა, რათა უპასუხოს მოულოდნელ „ინფორმაციას ან მოვლენას“ და შექმნას ისეთი ნამუშევარი, რომელიც შესაძლოა არ ყოფილიყო წინასწარ განზრახული ან/და მოსალოდნელი<sup>9</sup>. ხოლო, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შექმნილი გადამუშავებული ნაწარმოების შემთხვევაში, ნაწარმოები იქმნება ადამიანის მნიშვნელოვანი ჩართულობითა და ინტერვენციით<sup>10</sup>. ამ კონტექსტში საინტერესოა იმ მახასიათებლების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს გადამუშავებული ნაწარმოები, და მისი სამართლებრივი ბუნების დადგენა, როდესაც შემოქმედებით პროცესში ხელოვნური ინტელექტია ჩართული.

## II. გადამუშავებული ნაწარმოები

ნაწარმოები, როგორც აღინიშნა, რალაცის საფუძველზე იქმნება და ეს „რალაც“ შეიძლება იყოს, როგორც ცხოვრებისეული, ბიოგრაფიული, ან ისტორიული მოვლენა, ასევე- სხვა ნაწარმოები<sup>11</sup>. მნიშვნელოვანია ეს რალაც არ აგვირიოს შთაგონებასა და გადამუშავებაში, რადგან

1 Goldstein, Derivative Rights and Derivative Works in Copyright, *Journal of the Copyright Society of the U.S.A.* 30(3), 1983, 211-212; ზაგაშვილი, საავტორო უფლებების განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნეში, წიგნში: გეგენავა (რედ.), *ივანე სურგულაძე*, 2024, 69.

2 იქვე.

3 იხ. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი.

4 მესხი, საავტორო სამართალი (სახელმძღვანელო), თბილისი 2025, 107.

5 იქვე.

6 Copyright Law of the United States and Related Laws Contained in Title 17 of the United States Code, §101.

7 Kumaria, The Copyright Issue in AI-Generated Content: Legal Challenges and Future Directions, *Indian Journal of Law and Legal Research* 7(7), 2024, 1766.

8 Ahuja, Artificial Intelligence and Copyright: Issues and Challenges, *ILI Law Review*, Winter Issue 2020, 274.

9 იქვე.

10 იქვე.

11 მესხი, საავტორო სამართალი (სახელმძღვანელო), თბილისი 2025, 107.

ავტორისათვის ბევრი რამ შეიძლება იქცეს შთაგონების წყაროდ, მათ შორის-სხვა ნაწარმოებიც, მაგრამ ეს გადამუშავებას როდი ნიშნავს<sup>12</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი და ერთგვარად პრეცედენტული გადაწყვეტილება აქვს მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლოს და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს, სადაც სასამართლომ იმსჯელა გადამუშავებული ნაწარმოების მახასიათებელზე. პირველ საქმეზე, სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც მოპასუხე მხარე კერამიკის ფილებზე აწებებდა ნიგნიდან ამოღებულ მისთვის სასურველ გვერდებს და შემდეგ მას ყიდდა მას, როგორც დეკორატიულ პროდუქციას, ეს იყო პირველადი ნაწარმოების გადამუშავება და მისი ახლებურად წარმოჩენა<sup>13</sup>. მოპასუხე მხარე, კომპანია, რომელიც კერამიკის ფილებზე ამუშავებდა ნიგნიდან შესაბამისს გვერდებს და შემდგომ მას ყიდდა, ამტკიცებდა, რომ მისი შექმნილი ნამუშევარი არ წარმოადგენდა გადამუშავებულ ნაწარმოებს, იყო ახალი და განსხვავებული, მაგრამ სასამართლომ განმარტა, რომ უკვე არსებული ნაწარმოების გამოყენება მოხდა ახალი ნაწარმოების შექმნისას, რომელმაც განსხვავებული და სახეცვლილი ვერსია შექმნა<sup>14</sup>. მეორე გადაწყვეტილებაში კი პირიქით, სასამართლომ დაადგინა, რომ არანაირი განსხვავება არ იყო უკვე არსებულ ნაწარმოებსა და გადამუშავებულ ნაწარმოებს შორის, რადგან ორივე შემთხვევაში, ხმოვანი ჩანაწერები, რემიქსი და დუბლირება იყო ერთი და იგივე და არანაირ განსხვავებას არ იძლეოდა<sup>15</sup>. ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისს, მის სახელმძღვანელოში პირდაპირ განმარტებული და მითითებული აქვს, რომ საავტორო უფლებების

ოფისი მხოლოდ მაშინ დაარეგისტრირებს გადამუშავებულ ნაწარმოებს, თუ ავტორს უკვე არსებული ნაწარმოები ექნება გადაკეთებული, გადამუშავებული, მასში ცვლილებები შეტანილი და თან გამოჩნდება ავტორის ორიგინალური ხედვები და ელემენტები<sup>16</sup>. შესაბამისად, გადამუშავებული ნაწარმოების ძირითად ელემენტს უკვე არსებული ნამუშევრის სხვაგვარი ტრანსფორმაცია და მისი საზოგადოებისათვის ახლებური ფორმით წარდგენა წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლომ გადაწყვეტილება **Burrow-Giles Lithographic Company v. Sarony** იყო პირველი, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ ფოტოაპარატი ფოტოგრაფის დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა გადაღების დროს, ხოლო მის მიერ შესრულებული ფოტოგრაფიული ნაწარმოები, რომელზეც ასახული იყო მსოფლიოში ცნობილი მწერალი ოსკარ უაილდი, წარმოადგენდა საავტორო უფლებით დაცულ ობიექტს<sup>17</sup>. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფოტო მექანიკური პროცესის შედეგი იყო, ის მაინც საავტორო უფლებით დაცულ ობიექტად ითვლებოდა, რადგან ფოტოაპარატი ავტორს დაეხმარა იმ სურათის აღბეჭდვაში, რომლის შექმნაც მან უზრუნველყო - ოსკარ უაილდის პოზირება, განათება, კომპოზიცია და სხვა ელემენტები<sup>18</sup>. შესაბამისად, ფოტოაპარატი მხოლოდ დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა და არ უზრუნველყოფდა საავტორო უფლებებით დაცვის ობიექტის (ფოტოსურათის) სახეცვლილებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსგავსად მომზადებული ნაწარმოები არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაწარმოებს.

12 იქვე, 108.

13 *Mirage Editions, Inc. v. Albuquerque A.R.T. Co.*, United States Court of Appeals for the Ninth Circuit, 28.09.1988, 856 F.2d 1341, 1342.

14 იქვე.

15 *Munoz v. Albuquerque A.R.T. Co.*, United States District Court for the District of New Mexico, 09.06.1993, 829 F. Supp. 309, (1993); Gervais, *The Derivative Right, or Why*

*Copyright Law Protects Foxes Better than Hedgehogs*, *Vanderbilt Journal of Entertainment and Technology Law* 15(4), 2013, 1121.

16 *Compendium of U.S. Copyright Office Practices*, Third Edition, United States Copyright Office, 2021, 311.1.

17 *Burrow-Giles Lithographic Co. v. Sarony*, Supreme Court of the United States, 17.03.1884, 111 U.S. 53, პარ 13.

18 იქვე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გადამუშავებული ნაწარმოებისათვის უმთავრესი მოთხოვნაა მისი შეცვლა, გადაკეთება და ავტორის ახლებური ხედვის დამატება. შესაბამისად, გადამუშავებული ნაწარმოები უნდა განსხვავდებოდეს უკვე არსებული ნაწარმოებისაგან და არ უნდა წარმოადგენდეს მის კოპირებას. მნიშვნელოვანია გამიჯვნა შთაგონებასა და გადამუშავებას შორის, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ავტორისთვის ბევრი რამ, მათ შორის სხვა ნაწარმოებიც, შეიძლება იქცეს შთაგონების წყაროდ, ეს არ ნიშნავს გადამუშავებას. ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის მხოლოდ მაშინ დაარეგისტრირებს გადამუშავებულ ნაწარმოებს, როდესაც მისი ახლებური ვერსია იქნება განსხვავებული და შეცვლილი უკვე არსებულისაგან.

## 1. ხელოვნური ინტელექტის მიერ გადამუშავებული ნაწარმოები

ხელოვნური ინტელექტის მზარდი განვითარების შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ ადამიანი არ არის ერთადერთი წყარო შემოქმედებითი ნაშრომის შესაქმნელად<sup>19</sup>. როგორც აღინიშნა, შესაძლებელია გადამუშავებული ნაწარმოების შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტი იყოს ადამიანის „ასისტენტი“ და მსგავსი ფუნქცია შესასრულოს ნაწარმოების შექმნაში, მაგრამ იგი ასევე ფლობს საკმარის ცოდნასა და უნარებს, რომ ადამიანის მინიმალური ჩართულობით (მაგ., მხოლოდ ბრძანების მიცემით) დამოუკიდებლად შექმნას ნაწარმოები<sup>20</sup>. ხელოვნური ინტელექტი, როდესაც გამოიყენება გადამუშავებული ნაწარმოების შექმნაში, ყურადღება ექცევა იმას თუ რა დოზით იყო ხელოვნური ინტელექტი ამ პროცესში ჩართული, რადგან სა-

ავტორო უფლებებით დაცვადაა გადამუშავებული ნაწარმოები, რომლის შექმნაშიც, ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ ინსტრუმენტს, დამხარე საშუალებას წარმოადგენს<sup>21</sup>. აღნიშნულ შემთხვევაში, ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ დამხმარე ფუნქციას ასრულებს და ინტელექტუალურ-შემოქმედებითობა და ორიგინალურობა ადამიანს ეკუთვნის, შექმნილ ნაწარმოებზე გავრცელდება საავტორო უფლებები.

ზემოხსენებული მოცემულობისგან განსხვავებით, სრულიად სხვა სურათია, როდესაც ხელოვნური ინტელექტი გადამუშავებული ნაწარმოების შექმნის პროცესში უბრალო ასისტენტის როლს სცდება და უფრო მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებს, რადგან 2023 წელს მნიშვნელოვანი და საინტერესო გადანყვეტილება მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისმა, როდესაც მან უარი თქვა საავტორო უფლებების რეგისტრაციაზე ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულ გამოსახულებაზე<sup>22</sup>. აღნიშნულ საქმეში, ავტორმა ჯეისონ ალენმა გამოსახულების შესაქმნელად გამოიყენა MidJourney-ის ხელოვნური ინტელექტის პროგრამა, რომელიც ქმნის გამოსახულებებს, მაგრამ ავტორი განმარტავდა, რომ აქტიურად მონაწილეობდა ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოსახულების შექმნის პროცესში და შემდგომ საბოლოო პროდუქტის მიღებაში<sup>23</sup> კერძოდ, მან მრავალჯერ მოსთხოვა ხელოვნურ ინტელექტს დეტალების შეცვლა, ხოლო მის მიერ გაცემული მითითებების რაოდენობამ სულ მცირე 624-ს მიაღწია<sup>24</sup>. ამასთან, ავტორმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ნაწარმოების გადამუშავების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა, მას შემდეგ, რაც MidJourney-მ (შემდეგში – „ტექსტიდან გამოსახულების შემქმნელი ხელოვნური ინტელექტის სერვისი“) შექმნა ნამუშევრის საწყისი ვერსია,

19 Hristov, Artificial Intelligence and the Copyright Dilemma, The IP Law Review 57(3)/2017, 433.

20 იქვე, 436.

21 Ahuja, Artificial Intelligence and Copyright: Issues and Challenges, IJI Law Review, Winter Issue 2020, 279.

22 Colorado Springs artist appeals copyright rejection over AI art, 2024, Colorado Public Radio,

<https://www.cpr.org/2024/09/26/colorado-springs-artist-appeals-copyright-rejection-ai-art/>, [17.01.2026]

23 United States Copyright Office, Copyright Review Board, Second Request for Reconsideration for Refusal to Register Théâtre D'opéra Spatial, 2.

24 იქვე.

მან გამოიყენა Adobe Photoshop ხარვეზების მოსაშორებლად და ახალი ვიზუალური შინაარსის შესაქმნელად, ასევე გამოიყენა Gigapixel AI გამოსახულების "აღსადგენად", მისი რეზოლუციისა და ზომის გასაზრდელად.<sup>25</sup> მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცდილობდა დაემტკიცებინა მხოლოდ ის რომ დამხარე როლს ასრულებდა ხელოვნური ინტელექტი ნაწარმოების შექმნაში და შემოქმედებითი როლი მისი იყო, ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისმა უარი უთხრა ნაწარმოების რეგისტრაციაზე და განმარტა, რომ წარმოდგენილი ნაწარმოების დეპოზიტი არ "აფიქსირებდა მხოლოდ ავტორის სავარაუდო ავტორობას", არამედ მოიცავდა "განუყოფლად შერწყმულ, განუყრელ ნვლილს" როგორც ავტორის ისე Midjourney-ის<sup>26</sup>. ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისისათვის გადაამწყვეტი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ ავტორს არ ჰქონდა შემოქმედებითი კონტროლის შესაძლებლობა ნაწარმოების შექმნის პროცესში, რადგან ავტორმა რა შედეგიც მიიღო, ეს იყო ხელოვნური ინტელექტის სასწავლო მონაცემებისა და ალგორითმის ნაყოფი, რისი წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი იყო<sup>27</sup>.

მთავარი საკითხი, გადამუშავებული ნაწარმოების შემთხვევაში არის ის, რომ ხელოვნური ინტელექტი ვერ ფუნქციონირებს მინოდებული მასალის გარეშე, შესაბამისად, იმისათვის, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ნაწარმოები გადაამუშაოს, ჯერ უნდა მოხდეს უკვე

არსებული ნაწარმოების მისთვის მინოდება, რისი განხორციელებაც თანხმობის მოპოვების გარეშე<sup>28</sup>, პირდაპირი დარღვევაა რეპროდუცირების უფლების<sup>29</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტი იყენებს მანქანური სწავლების ალგორითმებს და ამუშავებს მონაცემებს, რომელიც ხშირად შედგება უკვე არსებული საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებებისაგან<sup>30</sup>. მნიშვნელოვანია აღინიშნოს აშშ-ს მეორე ფედერალური ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: **Authors Guild v. Google, Inc**, სადაც სასამართლომ არ ჩათვალა გადამუშავებული ნაწარმოების საავტორო უფლებების დარღვევა Google Books-ის მიერ წიგნების გაციფრულება და აღნიშნულის განთავსება მის პლატფორმაზე ძიების გაადვილების მიზნით<sup>31</sup>. მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებული ნაწარმოები, პლატფორმაზე განთავსების მიზნით სრულად ჩამოიღვრთა, მისი პლატფორმაზე ატვირთვის მიზანი იყო მომხმარებლებისათვის სერვისის შეთავაზება, რომლის საშუალებითაც ისინი მარტივად მოიძიებდნენ სასურველ წიგნს, რაც ჯდება სამართლიან გამოყენებაში<sup>32</sup>. საინტერესოა, რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი გადამუშავებული ნაწარმოები არ იქნება გამომხატული ობიექტური ფორმით და მასში არ იქნება მხატვრული და შემოქმედებითი ხასიათი? აღნიშნული საკითხი არ არის მარტივად შესაფასებელი და საჭიროა ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლა<sup>33</sup>.

25 იქვე.

26 Sydney, Authorship in the Age of Algorithms: Adapting Copyright Law for AI-Generated Content, *Journal of Nonprofit Innovation* 4(2), 2024, 5; United States Copyright Office, Copyright Review Board, Second Request for Reconsideration for Refusal to Register *Théâtre D'opéra Spatial*, 6.

27 იქვე, 7.

28 Bonadio, Plamen, McDonagh, Can Artificial Intelligence Infringe Copyright? Some Reflections, in: Abbott (ed.), *Research Handbook on Intellectual Property and Artificial Intelligence*, 2022, 4.

29 იქვე.

30 Gervais, *The Machine as Author*, *Iowa Law Review* 105/2019, 1112.

31 Bonadio, Plamen, McDonagh, Can Artificial Intelligence Infringe Copyright? Some Reflections, in: Abbott (ed.), *Research Handbook on Intellectual Property and Artificial Intelligence*, 2022, 5; *Authors Guild v. Google, Inc.*, United States Court of Appeals for the Second Circuit, 16.10.2015, 804 F.3d 202, 20.

32 იქვე, 21.

33 Sobel, *Artificial Intelligence's Fair Use Crisis*, *Columbia Journal of Law & the Arts* 41/2017, 45, 81.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ ნაწარმოების გადამუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხელოვნური ინტელექტის როლს, რადგან თუ დადგინდა, რომ მას „ასისტენტზე“ მეტი როლი აქვს ნაწარმოების შექმნის პროცესში, ასეთი ნაწარმოები საავტორო უფლებებით დაცვა ვერ გახდება. ამის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების საავტორო უფლებების ოფისის ნამსჯელი აქვს უკვე, სადაც მან აღნიშნა, რომ ხელოვნური ინტელექტის როლი და მნიშვნელობა იყო "განუყოფლად შერწყმული, განუყრელი წვლილი", შესაბამისად, მსგავსი ნაწარმოები ვერ დაექვემდებარებოდა საავტორო უფლებებით რეგისტრაციას. გადამწყვეტი გარემოება იყო ის, რომ ავტორს არ ჰქონდა შემოქმედებითი კონტროლის შესაძლებლობა ნაწარმოების შექმნის პროცესში, რადგან მიღებული შედეგი იყო ხელოვნური ინტელექტის სასწავლო მონაცემებისა და ალგორითმის ნაყოფი, რისი წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, გადამუშავებული ნაწარმოებისთვის მნიშვნელოვანია უკვე არსებული ნაწარმოების ავტორისაგან თანხმობის მოპოვება და მისგან ნებართვის აღება ნაწარმოების გადამუშავებასთან დაკავშირებით, მაგრამ უკვე არსებული ნაწარმოების გამოყენება თუ მოხდა სამართლიანი გამოყენების ფარგლებში, შესაძლოა არ ჩაითვალოს საავტორო უფლებების დარღვევად და არ საჭიროებდეს თანხმობის მოპოვებას.

## 2. ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი თარგმანი

გადამუშავებული ნაწარმოების ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს თარგმანი, რომელიც საკმაოდ აქტიურად გამოიყენება დღევანდელობაში და საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,

გადამუშავებული ნაწარმოების ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლებები მხოლოდ მის მიერ გადამუშავებულ ნაწილზე და იგი ვალდებულია დაიცვას ორიგინალური ნაწარმოების ავტორის საავტორო უფლებები<sup>34</sup>. აღნიშნული საკანონმდებლო ფორმულირების გათვალისწინებით, ნორმის შინაარსი ემსახურება, როგორც ორიგინალური ნაწარმოების ავტორისაგან ნაწარმოების გადამუშავების შემთხვევაში თანხმობის მოპოვების აუცილებლობას, ისე გადამუშავებული ნაწარმოების ავტორის ვალდებულებას პატივი სცეს ორიგინალური ნაწარმოების ავტორსა და მის სურვილს ნაწარმოების გადამუშავების ან/და არ გადამუშავების საკითხზე<sup>35</sup>. გადამუშავებული ნაწარმოები დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს და მისი დაცვა ორიგინალური ნაწარმოებისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს<sup>36</sup>. იმავე ეხება თარგმანსაც, რომელიც წარმოებულ ნაწარმოებად განიხილება და ამასთანავე, იმ ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლადაც, რომელიც მას ეფუძნება<sup>37</sup>. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თარგმანის შინაარსობრივი გადამუშავება არ ხდება, შესაბამისად საჭიროა ორიგინალური ნაწარმოების ავტორის თანხმობა, რადგან თარგმნის დროს მნიშვნელობა აქვს ორიგინალურ ნაწარმოებსა და მის თემატიკას, რადგან შესაძლოა ისეთი შინაარსი იყოს, რომლის სიტყვასიტყვითი თარგმნა ვერ მოხდეს და ასეთ დროს ორიგინალური ნაწარმოების ავტორმა უნდა გასცეს თანხმობა და მანვე უნდა აირჩიოს პიროვნება, ვისაც ანდობს ნაწარმოების თარგმნის უფლებას<sup>38</sup>. თანხმობის გაცემის აუცილებლობა გამომდინარეობს იქედან, რომ თარგმანი არ არის მხოლოდ განსხვავებულ ენაზე სიტყვების გადართარგმნა, თარგმანი არის ორიგინალური ნაწარმოების ავტორისაგან ზუსტი მესიჯების, ემოციებისა და შინაარსის გაგება და მისი სხვა ენაზე აღწერა<sup>39</sup>. შესაბამისად, რომანის თარგმანი შეიძლება არ შეიცავდეს ორიგინალურ ენაზე

34 „სავტორო და მომიჯნავე უფლებების“ შესახებ მე-13 მუხლის პირველი და მეორე ქვეპუნქტი.

35 იქვე.

36 ქამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი 2002, 66.

37 იქვე, 67.

38 იქვე.

39 Benjamins, Text Typology and Translation, John Benjamins Publishing Company, 1997.

გამოთქმიდან არც ერთ სიტყვას, მაგრამ ის ასახავს და ხელახლა იყენებს ორიგინალური ნაწარმოების სტრუქტურას, მიმდინარეობას, მეტაფორების გამოყენებას, სტილსა და ა.შ.<sup>40</sup>. თარგმანის შემთხვევაში უმთავრესია იგი არ დაშორდეს ორიგინალურ ნაწარმოებს და მისგან მხოლოდ განსხვავდებოდეს ენობრივად ე.ი. გარეგნული ფორმით, ხოლო სხვა ელემენტები ნასესხები უნდა იყოს ორიგინალი ნაწარმოებისაგან<sup>41</sup>. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი და პრეცედენტული გადაწყვეტილებაა მიღებული ჯერ კიდევ 1852 წელს, **Stowe v. Thomas**, სადაც სასამართლომ, მიიჩნია, რომ მოპასუხემ, ფრედერიკ უილიამ თომასმა არ ხელყო ავტორის, ცნობილი მწერალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუვის საავტორო უფლებები, მაშინ როდესაც მან შექმნა მისი ცნობილი ნაწარმოების, „ბიძია თომას ქოხის“ გერმანულენოვანი ვერსია, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, აღნიშნულ საქმეში ნაწარმოების ასლის შექმნას ადგილი არ ჰქონია<sup>42</sup>. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, თარგმანი არ შეიძლება ჩაითვალოს ორიგინალის იდენტურ ტექსტად. იგი არა მხოლოდ სხვა ენაზეა გადმოცემული, არამედ მასში შეცვლილია წინადადებების კონსტრუქცია და გამოხატვის ფორმა, რაც გამორიცხავს მის მიჩნევას ორიგინალის უბრალო ასლად<sup>43</sup>.

ხელოვნური ინტელექტის მზარდი განვითარების კვალდაკვალ, აქტიურად გამოიყენება ხელოვნური ინტელექტი თარგმანის მომზადებისათვის, შესაბამისად, აღნიშნულის საშუალებით

შესაძლებელია ნებისმიერი ტექსტის შექმნა, რომელიც წარმოდგენილი იქნება პოემისა და სხვა ლიტერატურული ნაწარმოების სახით<sup>44</sup>. ყველასათვის ცნობილ პლატფორმებს, როგორცაა: **Google Translate**, **Amazon Translate**, **DeepL** და **Systran** მარტივად, ერთი ხელის დაჭერით შეუძლიათ ნებისმიერი დანერგილი ტექსტის, მეილის, გამოქვეყნებული სიახლის, სტატიის, წიგნისა და ლექციის ერთი ენიდან, სასურველ ენაზე თარგმნა<sup>45</sup>. შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში არ ხდება ორიგინალი ნაწარმოების ავტორისაგან თანხობის მიღება და მისთვის თარგმნის უფლების შესახებ შეთანხმება<sup>46</sup>. თარგმანის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხის გამოყოფა, რადგან ნაწარმოებისათვის, მნიშვნელობა არ აქვს მის დანიშნულებას, ავკარგიათობასა და მოცულობას რადგან ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად უნდა იყოს შექმნილი, ხოლო ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი თარგმანი როგორ აკმაყოფილებს ამ პირობებს? როგორ უნდა შეფასდეს ხელოვნური ინტელექტის მიერ თარგმანი მის ინტელექტუალურ შრომად?<sup>47</sup> გაერთიანებული სამეფოს კანონი „საავტორო უფლებების, დიზაინისა და პატენტის შესახებ“ განმარტავს კომპიუტერის მიერ გენერირებულ ნაწარმოებს, სადაც აღნიშნულია, რომ ნაწარმოები გენერირებულია კომპიუტერის მიერ, რომელიც ისეთ გარემოებებშია შექმნილი, სადაც ადამიანის ჩართულობა არ იკვეთება<sup>48</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, „კომპიუ-

40 Gervais, *The Machine as Author*, *Iowa Law Review* 105/2019, 2097.

41 ძამუკაშვილი, შენგელია, გაბუნია, ხრუსტალი, ჯორბენაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2003, 86.

42 *Stowe v. Thomas*, United States Circuit Court for the Eastern District of Pennsylvania, 1852, 23 F. Cas. 201; Gervais, *The Derivative Right, or Why Copyright Law Protects Foxes Better than Hedgehogs*, *Vanderbilt Journal of Entertainment and Technology Law* 15(4)/2013, 816.

43 იქვე, 24.

44 Yanisky, Martens, *From the Myth of Babel to Google Translate: Confronting Malicious Use of Artificial Intelligence – Copyright and Algorithmic Biases in Online*

*Translation Systems*, *Seattle University Law Review* 43(1)/2019, 99; Bonadio, Plamen, McDonagh, *Can Artificial Intelligence Infringe Copyright? Some Reflections*, in: Abbott (ed.), *Research Handbook on Intellectual Property and Artificial Intelligence*, 2022, 2.

45 იქვე.

46 იქვე, 106.

47 ძამუკაშვილი, შენგელია, გაბუნია, ხრუსტალი, ჯორბენაძე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), 2003, 87; Kumaria, *The Copyright Issue in AI-Generated Content: Legal Challenges and Future Directions*, *Indian Journal of Law and Legal Research* 7(7)/2024, 1767.

48 Ahuja, *Artificial Intelligence and Copyright: Issues and Challenges*, *ILI Law Review*, Winter Issue 2020, 278; UK Copyright, Designs and Patents Act, 1998, Section 178.



ტერის/ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ლიტერატურული, დრამატული, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოების” შემთხვევაში, ავტორად „ითვლება პირი, რომლის მიერაც ხორციელდება ნაწარმოების შექმნისთვის აუცილებელი ღონისძიებები“<sup>49</sup>. აუცილებელ ღონისძიებებში შეიძლება ბევრი რამე მოიაზრებოდეს როგორცაა: თემატიკის შერჩევა, განლაგება, შემოქმედებითი პროცესი და ა.შ.

შეჯამებისას, პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას თარგმანის, როგორც გადამუშავებული ნაწარმოების მნიშვნელობასა და მახასიათებლებას, რადგან თარგმანი მიუხედავად იმისა, რომ არის ნაწარმოების სხვა ენაზე წარმოჩენა, მხოლოდ აღნიშნულით არ შემოიფარგლება და მისთვის მნიშვნელოვანია, თარგმანის ავტორმა ზუსტად წარმოაჩინოს უკვე არსებული ნაწარმოების ავტორის ხედვა, ჩანაფიქრი, სტრუქტურა და სიტყვათა წყობა. ამასთან, თარგმანის შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია, რომ იგი არ უნდა დაშორდეს ორიგინალურ ნაწარმოებს და იდეები და ხედვები ორიგინალური ნაწარმოებიდან იყოს ნასესხები. როდესაც საკითხი ეხება ხელოვნური ინტელექტის მიერ ნაწარმოების თარგმნას, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთი ხელის დაჭერით ადამიანს მარტივად შეუძლია ნებისმიერი ტექსტისა და ნაწარმოების თარგმნა, ავტორად ითვლება პირი, რომლის მიერაც ხორციელდება ნაწარმოების შექმნისთვის აუცილებელი ღონისძიებები, რომელშიც შეიძლება მოიაზრებოდეს თემატიკის შერჩევა, განლაგება, შემოქმედებითი პროცესი და სხვა ელემენტები.

### III. დასკვნა

გადამუშავებული ნაწარმოების კონცეფცია, საავტორო სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. გადამუშავებული ნაწარმოებისთვის უმთავრესი მოთხოვნაა მისი შეცვლა, გადაკეთება და ავტორის ახლებური ხედვის დამატება, რაც განასხვავებს მას უბრალო კოპირებისაგან. ამერიკის შეერთებული შტატების საა-

ვტორო უფლებების ოფისი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეგისტრაცია მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ახლებური ვერსია განსხვავებულია უკვე არსებულისაგან და ჩანს ავტორის ორიგინალური ხედვა.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციით შესაძლებელია ორი კატეგორიის გამოყოფა: ხელოვნური ინტელექტის მიერ გადამუშავებული ნაწარმოები და ხელოვნური ინტელექტის დახმარებით გადამუშავებული ნაწარმოები. პირველ შემთხვევაში, ადამიანის მნიშვნელოვანი ჩართულობის გარეშე, შესაძლებელია შეიქმნას ნაწარმოები, რომელიც წინასწარ მოსალოდნელი არ იყო, მეორე შემთხვევაში კი სახეზეა ადამიანის მნიშვნელოვანი ჩართულობა და ინტეგრაცია. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელოვნური ინტელექტის როლს: თუ იგი ასრულებს მხოლოდ დამხმარე ფუნქციას, შექმნილ ნაწარმოებზე გავრცელდება საავტორო უფლებები. თუმცა, თუ მას “ასისტენტზე” მეტი როლი აქვს, საავტორო უფლებებით დაცვა ვერ გახდება ასეთი ნაწარმოები. 2023 წლის ჯეისონ ალენის საქმე ნათლად წარმოაჩენს ამ პრინციპს: მიუხედავად 624 მოთხოვნისა და პოსტროდუქციული დამუშავებისა, საავტორო უფლებების ოფისმა უარი თქვა რეგისტრაციაზე, რადგან ავტორს არ ჰქონდა შემოქმედებითი კონტროლი - მიღებული შედეგი იყო ალგორითმის ნაყოფი, რისი წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი იყო.

თარგმანის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, იგი არ დაშორდეს ორიგინალურ ნაწარმოებს და მისგან მხოლოდ განსხვავდებოდეს ენობრივად, ხოლო სხვა ელემენტები - მესიჯი, სტრუქტურა, სტილი - ნასესხები უნდა იყოს ორიგინალისაგან. ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი თარგმანის შემთხვევაში, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის თანახმად, ავტორად ითვლება პირი, რომლის მიერაც ხორციელდება ნაწარმოების შექმნისთვის აუცილებელი ღონისძიებები. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები შეიძლება იყოს, როგორც თემატიკის, სტილის შექმნა, ასევე შემოქმედებითი და ინტელექტუალური რესურსი.

49 იქვე.

შეჯამებისას კი, შეიძლება ითქვას, რომ გადამუშავებული ნაწარმოების სფეროში ხელოვნური ინტელექტის იურიდიული შეფასება პირდაპირ დამოკიდებულია ადამიანის ჩართულობისა და შემოქმედებითი კონტროლის ხარისხზე. როდესაც ხელოვნური ინტელექტი ასრულებს დამხმარე ფუნქციას და ინტელექტუალურ-შემოქმედებითობა ადამიანს ეკუთვნის,

შექმნილი ნაწარმოები საავტორო უფლებების დაცვას ექვემდებარება. პირიქით, როდესაც ავტორს არ გააჩნია შემოქმედებითი კონტროლი საბოლოო შედეგზე, მსგავსი ნაწარმოები ვერ მოიპოვებს საავტორო უფლებით დაცვის სტატუსს. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება როგორც ზოგადად გადამუშავებულ ნაწარმოებზე, ისე მის კონკრეტულ კატეგორიაზე - თარგმანზე.

# საფრთხის პრევენციასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში

ია უჯმაჯურიძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარი კონსულტანტი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის

მინვეული სპეციალისტი

## 1. შესავალი

თანამედროვე ინდუსტრიული ცივილიზაციის პირობებში დელიქტური სამართლისთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი გარკვეულ შემთხვევებში ტრანსფორმირდება კოლექტიური პასუხისმგებლობის ფორმად. ეს საფუძველს ქმნის დოგმატური კითხვისთვის – უნდა განვიხილოთ თუ არა დელიქტური სამართალი კერძო სამართლის ნაწილად?<sup>1</sup> ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის როლი საფრთხის პრევენციასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს ფუნქცია მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით არ შემოიფარგლება მხოლოდ რეპრესიული ღონისძიებებით, ის ასევე მოიცავს საფრთხის

პრევენციის ვალდებულებას. მოსახლეობის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება კონსტიტუციურად განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის<sup>2</sup> 29-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის II თავი რამდენიმე აღსრულებად სოციალურ უფლებას შეიცავს, რომელთა შორის არის 29-ე მუხლით განმტკიცებული ჯანსაღი გარემოს უფლება. უფლებების ამგვარი აღიარება წარმოადგენს სოციალური უფლებების უზრუნველყოფის შეუცვლელ მექანიზმს.<sup>3</sup>

ჯანსაღ გარემოზე უფლების კონსტიტუციით აღიარება სახელმწიფოს ავალდებულებს,

1 იხ. მაგ. *Keating G. C., Is Tort Law "Private"?* In: *Civil Wrongs and Justice in Private Law. Edited by: Miller P. B. and Oberdiek J., Oxford, Oxford University Press, 2020, 351–372.*

2 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

3 არევაძე ნ., სოციალური სახელმწიფოს პრინციპი: საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სოციალურ საკითხებზე, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, სპეციალური გამოცემა, N1-2/2021, 187.

უზრუნველყოს ადამიანთა ცხოვრებისთვის უსაფრთხო პირობების შექმნა და შენარჩუნება. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით ხშირად გულისხმობს პირთა თანასწორობასა და თავისუფლებაზე დამყარებულ ურთიერთობაში ჩარევას.

„ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ეკოლოგიის დაცვა, შესაძლებელია, ხშირად დაუპირისპირდეს სამენარმეო თავისუფლების სფეროს. ... სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი გარემოსდაცვითი რეგულაციები გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების საქმიანობის მოსაწესრიგებლად, როგორცაა ამგვარი საქმიანობის ლიცენზირება და ზედამხედველობა; სავალდებულოდ უნდა გამოაცხადოს შესაბამისი მექანიზმების განხორციელება იმ მოქალაქეების ეფექტიანად დასაცავად, რომლებიც შესაძლოა, ამგვარი საქმიანობის შედეგად რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ.“<sup>4</sup>

სახელმწიფოს ვალდებულება უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ზოგჯერ აისახება სახელმწიფოს უშუალო პასუხისმგებლობაში მისი თანამრომლების ქმედების გამო.

ერთობლივი სტატიის ამ ნაწილის მიზანია საფრთხის პრევენციის მექანიზმთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლების ზოგიერთი ასპექტის ანალიზი საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.

## 2. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნორმატიული საფუძველი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის<sup>5</sup> 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. 208-ე

მუხლის მიხედვით კი: 1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ამ საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი.

207-ე, მითითებითი ნორმის შემცველი, მუხლის შემავსებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. „სოლიდარული პასუხისმგებლობა არ უნდა გავიგოთ მისი კლასიკური გაგებით, ისე რომ ზიანის მიმყენებელი ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოსთან ერთად გამოვიყვანოთ როგორც დავის ერთ-ერთი მხარე. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით წარმომობილ დავებში

4 მარინაშვილი მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში (პრაქტიკის ანალიზი), სტატიების კრებული მა-

რთლმსაჯულებაზე ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020, 114, <https://shorturl.at/zKTTb> [20.02.2026].

5 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999.

ყველა შემთხვევაში სახელმწიფო უნდა იყოს მოპასუხე მხარე, ხოლო ზიანის მიმყენებლის განზრახვა, ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც დგინდება დავაზე სამართალწარმოების განხორციელების შედეგად, სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, მოსთხოვოს ზიანის მიმყენებელ პირს ამ ზარალის რეგრესის წესით მთლიანად, ან ნაწილობრივ ანაზღაურება.<sup>6</sup>

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობას ამავე კოდექსის, „გენერალური დათქმის სახით“<sup>7</sup> ფორმულირებულ, 992-ე მუხლს აფუძნებს. „ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.<sup>8</sup>

ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას უკავშირდება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი (სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის). 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების პრინციპი 992-ე

მუხლის ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს და მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესაძლებლობას მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობის პირობებში, ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენით. გარდა ამისა, ზიანის გამომწვევი ქმედება კავშირში უნდა იყოს საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან და ყურადღება უნდა გამახვილდეს არა ქმედების ჩამდენ პირობეზე, არამედ ფუნქციაზე, რომლის შესრულებასაც შეიძლება ემსახურებოდეს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, თავის მხრივ, შეიცავს საგამონაკლისო შემთხვევას, დელიქტის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტის - ბრალის გათვალისწინების გარეშე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის შესაძლებლობის თაობაზე. კერძოდ, 1005.3 მუხლის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს სახელმწიფო, გამომდინარეობს, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვისას ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს“<sup>9</sup>.

„1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში

6 ტურავა პ., ნკებლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, სეზანი, 2010, 147.

7 რუსიაშვილი გ., სუფთა ქონებრივი ზიანი – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა? შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N4, 2019, 3.

8 სუსგ N ბს-648-623(კ-13), 10.04.2014, <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/20699/0> [29.03.2026].

9 სუსგ N ბს-222(კ-კს-20), 27/05/2021, სამოტივაციო ნაწილი <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/28271/0> [21.02.2026].

უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ამრიგად, ზიანის ანაზღაურებისთვის, პირის ქმედება უნდა ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და იწვევდეს პირისთვის ზიანის მიყენებას. დამდგარ შედეგსა და უკანონო ქმედებას შორის კი უნდა არსებობდეს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმარტებითი პირის ბრალეულობას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა.<sup>10</sup>

ყურადღება უნდა გამახვილდეს საკითხზე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მხოლოდ მე-3 ნაწილს ახასიათებს, თუ მთლიანად მუხლს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სამოქალაქო კოდექსში მოცემული ფორმულირება „უხეში გაუფრთხილებლობა“ ტექნიკურ შეცდომას წარმოადგენს. სსკ-ის 1005-ე მუხლი უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამგვარად, სახელმწიფო პასუხისმგებელი უნდა იყოს ბრალის ნებისმიერი ფორმით მიყენებული ზიანისათვის, ხოლო განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა

სახელმწიფოს მხრიდან რეგრესის წესით მოთხოვნის საფუძველი უნდა გახდეს. სწორედ ეს მიზანია ჩადებული ფორმულირებაში «განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი საჯარო მოხელე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს».<sup>11</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოთ ციტირებულ განმარტებებთან შედარებით, მხარდაჭერილი უნდა იყოს ეს მოსაზრება. უფრო ნათლად რომ ითქვას: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი მთლიანად, და არა მხოლოდ მისი მე-3 ნაწილი, ითვალისწინებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ყოველგვარი ზიანისათვის, სახელმწიფოს სახელით მოქმედ მოსამსახურეთა ბრალის ხარისხის მიუხედავად. ეს გამომდინარეობს 1005-ე მუხლის კონსტრუქციიდან. ამ მუხლის როგორც პირველი, ისე მე-3 ნაწილები შეიცავს იდენტურ წინადადებებს, კონტექსტური სახეცვლილებებით, შესაბამისად: „განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“ და „განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს“.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, „აღნიშნული ნორმა ადგენს იმ ოთხ ძირითად პირობას, რომელთა არსებობაც სავალდებულოა ზოგადად დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. ეს პირობებია: ა) ზიანი; ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი; დ) ზიანის მიმყენებლის ბრალი.“<sup>12</sup>

10 სუსგ N ბს-870(კ-25), 30/10/2025, სამოტივაციო ნაწილი <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/34618/0> [21.02.2026].

11 ტურავა პ., ნკებლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, სეზანი, 2010, 147.

12 ძლიერიშვილი ზ., სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2012, 108.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია ზიანის მიმყენებლის ბრალის დადგენა, ხოლო 1005-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ბრალი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ კონკრეტული მოხელის პასუხისმგებლობის კონტექსტში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207–208-ე მუხლებიდან გამომდინარე, უნდა დაეფუძნოს 1005-ე მუხლს. ამასთან, 992-ე მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს მოხელის რეგრესული პასუხისმგებლობის სამართლებრივ საფუძვლად.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძველია მხოლოდ დაზარალებულის ბრალეული უმოქმედობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აცილებინა ზიანი. „ზიანის ანაზღაურების კომპენსაციის ვალდებულება რომ დადგინდეს, საჭიროა, თავად დაზარალებულ პირსაც მიღებული ჰქონდეს ყველა ზომა, რომ ასეთი ზიანი არ დადგეს. დაზარალებულმა ხელი კი არ უნდა შეუწყოს ადმინისტრაციულ ორგანოთა უკანონო ქმედებებს, რათა შემდგომში მოითხოვოს კომპენსაციები, არამედ ყველა კანონიერი საშუალებით უნდა შეეცადოს, ხელი შეუშალოს სახელმწიფოს მიერ მისთვის ზიანის მიყენებას. მაგალითად, თუკი პირს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ზიანს აყენებს მას, უკანონოა, მან უნდა მიუთითოს ადმინისტრაციული ორგანოს უკანონობაზე, შეიტანოს საჩივარი, მოითხოვოს აქტის მოქმედების ან მისი აღსრულების შეჩერება და სხვ. თუკი დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ ცდებდა ზიანის დადგომის თავიდან აცილებას,

მას არ რჩება სახელმწიფოსგან კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.“<sup>13</sup>

### 3. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები გზებზე სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის დროს მიყენებული ზიანის გამო

სტატიის ამ თავში განხილული იქნება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი საავტომობილო გზებზე მოძრაობისას სატრანსპორტო საშუალებისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით ერთ-ერთი საქმის მაგალითზე საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საავტომობილო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნაწილია, რაც საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით აღიარებული უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის საშუალებად უნდა შეფასდეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები; ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფის, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსები და მათი დაცვა; ავიაცია; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები; სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები; თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში; მეტეოროლოგია; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა; სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა. ამასთან, კონსტიტუციის ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს ანესრი-

13 ქიტოშვილი დ., უფლება სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებაზე, თავი XIV, წიგნში: ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, ავტ.: ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ.,

კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., თბილისი, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, 2005, 318.

გებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან.

კონსტიტუციური დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში რკინიგზასა და საავტომობილო გზების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს. ამას ისიც მონიშნავს, რომ სს „საქართველოს რკინიგზის“ 100 % წილის მფლობელია სახელმწიფო.<sup>14</sup> „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>15</sup> მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამავე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საერთო სარგებლობის გზებს მართავს ამ გზების მესაკუთრე, რომელიც ახორციელებს გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკეთების, მოვლა-შენახვის სამუშაოებს. ხოლო საუნყებო საავტომობილო გზებს მართავენ ამ გზების მესაკუთრეები ან სხვა ორგანოები, რომლებსაც ეს გზები ხელშეკრულებით აქვთ გადაცემული (ამავე კანონის მე-8 მუხლი).

ამ კანონის დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების მართვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახით. სამი-

ნისტრო, სხვა ფუნქციებთან ერთად, ახორციელებს გზებზე შეფერხებების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.<sup>16</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, გზებზე უსაფრთხოების ზომების დაუცველობის გამო მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს ცენტრალურ ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგნოს. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პასუხისმგებლობის საფუძვლებია: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილი, 992-ე მუხლთან ერთად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 25 ივნისის განჩინების<sup>17</sup> მიხედვით: „2017 წლის 16 ივნისს დ. მ-ე, კუთვნილი „...ს“ მარკის ავტომობილით, თბილისიდან მოძრაობდა ბათუმის მიმართულებით. რამდენიმე დღით ადრე, მოპასუხემ ქალაქ ქუთაისთან, ...-სამტრედიის მიმართულებით არსებული მოძრაობა ავტობანიდან გადაიტანა ქუთაისის შემოვლით გზაზე, თუმცა, ასაქცევი გზის მონაკვეთი არ იყო იმგვარად გადაკეტილი, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ბათუმის მიმართულებით გზის გაგრძელება და მძლოლი იძულებული გახდა ემოდრავა მხოლოდ მარჯვნივ, შემოვლითი გზის მიმართულებით. გარდა ამისა, არ იყო დაცული საგზაო მოძრაობის კანონი და ასევე, სამტრედიის ფოთის მიმართულებით მანიშნებელ საგზაო ნიშნებზე არ იყო დაფარული ისრები მიმართულებით „ბათუმი“, რამაც ღამის სამ საათზე, როცა ავტომანქანები თითქმის აღარ მოძრაობდა, მოსარჩელე დაარწმუნა, რომ ავტობანით მოძრაობა ბათუმის მიმართულებით გახსნილი იყო და დაუბრკოლებლად გააგრძელა სვლა. ასაქცევი გზიდან 12 კილომეტრის გავლის შემდეგ, საავტომობილო გზის 228-ე კილომეტრზე მოპასუხეს, საავტომობილო გზის სავალი ნაწილი რკინა-ბეტონის პარაპეტებით უკანონოდ ჰქონდა გადაკეტილი ისე, რომ გადაკეტვის ადგილას

14 <https://www.railway.ge/mtavari-gverdi/chvens-shesakheb/> [21.02.2026].

15 საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 30/11/1994.

16 <https://www.georoad.ge/?lang=geo&act=news&func=menu&pid=1388404621> [21.02.2026].

17 სუსგ N ბს-72(კ-24), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/32768/0> [21.02.2026].



გზა საერთოდ არ იყო განათებული და არც რაიმე გამაფრთხილებელი ნიშნები იყო განთავსებული, რის გამოც შეუძლებელი იყო ხელოვნური ბარიერის შემჩნევა და იგი მთელი სიჩქარით შეეჯახა რკინა-ბეტონის პარაპეტებს, შედეგად დ. მ-ის კუთვნილი ავტომობილი იმდენად დაზიანდა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა. ავტოსაგზაო შემთხვევის გამო საპატრულო პოლიციამ დ. მ-ის მიმართ შეადგინა საჯარიმო ქვითარი **Nაბ ...**, რომლის თანახმადაც, იგი ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და დაჯარიმდა 250 ლარით, რასაც არ დაეთანხმა მოსარჩელე და საჯარიმო ქვითარი გაასაჩივრა სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით დაკმაყოფილდა დ. მ-ის საჩივარი და გაუქმდა მის მიმართ შედგენილი საჯარიმო ქვითარი იმ საფუძველზე, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა არ იყო მისი ბრალით გამოწვეული. “

ამავე განჩინების მიხედვით: მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება) და ითხოვა ნებაყოფლობით აენაზღაურებინათ ავტომანქანის დაზიანებით გამოწვეული ზიანი - 38 500 ლარი, თუმცა დეპარტამენტმა უარი განაცხადა და თავად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით, რომლითაც მოითხოვა დაზიანებული რკინა-ბეტონის პარაპეტების ღირებულების - 776.52 ლარის დ. მ-ისთვის დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „წარდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სასამართლომ დაადგინა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა განპირობებული იყო არა დ. მ-ის, არამედ საგზაო დეპარტამენტის ბრალეულობით. სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და მხარე მიიჩნევს,

რომ წინამდებარე დავის განხილვა-გადანყვეტისას პრეიუდიციული ძალა გააჩნია.“

იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით, დ. მ.-ის სარჩელის გამო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავტომანქანის დაზიანებით განცდილი ზიანის - 29 850 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, დ. მ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქესპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის 2017 წლის 11 ივლისის ავტოტექნიკური ექსპერტიზის **N431/ა** დასკვნას, რომლის თანახმად „მოცემულ შემთხვევაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამოწვევი მიზეზი გახდა მძღოლ დ. მ-ის მოქმედება, კერძოდ, მისი მხრიდან „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33.2 მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფა“. ავტოტექნიკურმა ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნათა დაცვის შემთხვევაში „დ. მ-ეს ტექნიკური თვალსაზრისით შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება“.

„პალატამ მასალებისა და მხარეთა განმარტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ დ. მ-ე თერჯოლის რაიონის სოფელ ...სთან საავტომობილო გზის 217-ე კილომეტრიდან არ დაემორჩილა საგზაო მოძრაობის წესებს, გადაკვეთა გამყოფი უწყვეტი მონიშვნის ხაზი და 228-ე კილომეტრამდე მოძრაობა გააგრძელა გზის გადაკეტილ მონაკვეთზე. შემთხვევის ადგილზე განლაგებული იყო მონითალო ფერის ბოძები და „მარცხნივ ავტობანზე მოძრაობა აკრძალულია და მარჯვნივ ქალაქ ქუთაისის მიმართულებით ნებადართულია“ საგზაო ნიშანი.

პალატამ არ გაიზიარა დ. მ-ის მოსაზრება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჯეროვნად არ იქნა შესრულებული კანონით მასზე დაკისრებული ვალდებულება (საგზაო ნიშნების დამონტაჟება, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მთელი შეზღუდვის განმავლობაში),

რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული საგზაო შემთხვევა.“

საკასაციო სასამართლომ მიუთითა დადგენილ გარემოებებზე, რომელთა მიხედვით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს არაერთი ზომა ჰქონდა გამოყენებული ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის მონაკვეთზე მოძრაობის ცალმხრივად განხორციელებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

საკასაციო სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა სასამართლოში მონმის სახით დაკითხული პატრულ-ინსპექტორის ჩვენებაზე, რომლის თანახმად, იმ ადგილზე, სადაც მოსარჩელეს უნდა გადაეხვია და გზა არ გაეგრძელებინა მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით, იდგა სხვა სახის პარაპეტები, პლასტმასის (წყლით ავსებული), ასევე ამკრძალავი ნიშანი. გარდა ამისა, აღნიშნულ პარაპეტებამდე მინიმუმ 500 მეტრით ადრე გადახაზული იყო პირდაპირ მოძრაობის მაჩვენებელი ისრები გზის სავალ ნაწილზე და ამასთან, მიმართულების მაჩვენებელ საგზაო ნიშანზე ნაშლილია პირდაპირ მოძრაობის მაჩვენებელი ისარი წარწერებთან ფოთი - ბათუმი. ასევე, გზა აღჭურვილი იყო ყვითელი მოციმციმე მონყობილობებით. ამდენად, ყველა საგზაო ნიშანი იყო განთავსებული იმისათვის, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე მოძრავი მძღოლი დამორჩილებოდა საგზაო ნიშანს და არ შესულიყო აკრძალულ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 228-ე კმ-ზე, საპირისპირო მოძრაობის ზოლში. მძღოლი არ დაემორჩილა არსებულ საგზაო ნიშანს, რამაც გამოიწვია ავტოსატრანსპორტო შემთხვევა.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიმართ, დამდგარი ზიანის ანაზღაურების, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის დაკისრების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ამ უკანასკნელის მართლსაწინააღმდეგო ხასიათის მოქმედების (უმოქმედობა) არსებობა, რაც შესაძლოა გამოიხატებოდეს მის პასუხისმგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილების არასათანადო შესრულება/შეუსრულებლობაში, რამაც გამოიწვია დამდგარი ზიანი. სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეზე არ

ყოფილა წარმოდგენილი ისეთი სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია მოპასუხის ქმედებამ.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა შემდეგი: „კასატორის მთავარი საპრეტენზიო განაცხადი მიემართება იმ საკითხს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა დ. მ-ის ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბრალეულობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ.

საკასაციო სასამართლომ განჩინებაში განმარტა, რომ ფაქტის პრეიუდიციულობის შემოწმებისას საჭიროა შეფასდეს არა მხოლოდ ფორმალურ-პროცესუალური წინაპირობები (არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის სუბიექტებიც სხვა სამოქალაქო საქმეში იღებენ მონაწილეობას), არამედ, პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს, კერძოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები უნდა ამართლებდეს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ანუ

განსაზღვრავდეს მხარის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. ... ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება) (სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015წ.).

... საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.01.2018წ. გადაწყვეტილებაში მითითებულია: “მოსარჩელე მხარეს, რომლის მტკიცების ტვირთსაც წარმოადგენდა სადავო გარემოების დადასტურება, სასამართლოს წინაშე არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან, როგორც დამკვეთმა და ასევე ზედამხედველმა სუბიექტმა, ჯერონად განახორციელა თავისი უფლებამოსილება უსაფრთხოების კუთხით, კერძოდ, მართალია დამკვეთ ორგანიზაციასთან და საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით დეპარტამენტმა დაგეგმა, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა და რა მიმართულებით უნდა გადანაწილებულიყო ავტომობილთა ნაკადი, ასევე თუ სად და როგორი სახით უნდა დამონტაჟებულიყო გამაფრთხილებელი ნიშნები, თუმცა მოხდა თუ არა მათი დამონტაჟება, ან თუნდაც იყო თუ არა განთავსებული ეს გამაფრთხილებელი ნიშნები მთელი შეზღუდვის განმავლობაში, სასამართლოსთვის უცნობია, ვინაიდან მოსარჩელეს აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსთვის არ წარუდგენია. უფრო მეტიც, როგორც საქმეში არსებული წერილებიდან და-

სტურდება, მხარე „კონტროლისა და ზედამხედველობის გაძლიერება-სა“ და „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებების“ გამოყენებაზე საუბრობს, თუმცა ფაქტია, რომ მოპასუხის მიერ განხორციელდა ავტოსაგზაო შემთხვევა, ხოლო მოსარჩელეს კი სასამართლოსთვის არ წარუდგენია მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული შემთხვევა სწორედ მოპასუხის ბრალეული ქმედების შედეგი იყო, რაც გამორიცხავს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას”.

კასატორის მიერ მოხმობილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არსებითად დაეფუძნა საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვანი განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარუდგენლობას. ნიშანდობლივია, რომ კასატორის მიერ მოხმობილი გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ... - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, რომელიც სასარჩელო წესით სადავოდ ხდიდა დ. მ-ეისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხს. ხსენებულ დავაში მოსარჩელის მტკიცების საგანს წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დადასტურება, ხოლო პირუკუ დამდგარ საგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით საკუთარი ბრალეულობის გამომრიცხველი მტკიცებულებების წარდგენის კანონისმიერი ვალდებულება მას არ გააჩნდა. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ხსენებული დავის და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მხარეები არიან ერთ და იგივე პირები, სასამართლოსთვის დადგენილი ფაქტების პრეიუდიციულად გაზიარების ვალდებულება არ წარმოიშობა, რადგან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არ ეფუძნება დ. მ-ეის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს.<sup>18</sup>

საკასაციო სასამართლოს მიერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული დასკვნა საკამათოდ უნდა შეფასდეს, სახელმწიფოს მიერ ჯანსაღ გარემოზე უფლების აღსრულებად უფლებად აღიარების ვითარებაში, მასთან დათანხმება რთულია. თუ

18 იქვე, აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილები.

ფიზიკური პირის მიმართ დავაში დადასტურდა, რომ ზიანი მოსარჩელის (დაზარალებულის) მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობის შედეგია, ამავე ფიზიკური პირის სარჩელზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ გარემოებაზე, წარადგინა თუ არა მტკიცებულებები მან თავდაპირველ საქმეში. ამ მოსაზრებას ამყარებს გარემოება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ყოველთვის აქვს მტკიცებულებების მოპოვების უკეთესი შესაძლებლობა. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეში პასუხისმგებლობის შემზღვეველი გარემოებაა დაზარალებულის ბრალი. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წამოწყებულ დავაში საკუთარი ბრალეულობის გამომრიცხველი გარემოებების მტკიცების ტვირთის მასზე გადატანა სამართლებრივად საფუძველიან მიდგომად უნდა შეფასდეს. ეს თეზისი ასევე გამომდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის<sup>19</sup> მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის სულისკვეთებიდან, რომლის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიერ დავის იმგვარად გადაწყვეტა, როგორც ეს მითითებულ საქმეშია, ვფიქრობ, ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის შინაარსს, რომელიც ადგენს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპს და რასთან დაკავშირებითაც ზემოთ იყო ყურადღება გამახვილებული.

#### 4. ქალაქში მწვანე ნარგავების მოვლასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა გამხმარი ხის დაცემის შედეგად ავტომანქანის დაზიანებისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განჩინების<sup>20</sup> მიხედვით: 2022 წლის 4 აპრილს ქ. თბილისში, დიდი დილომი, ... „...ის“ მიმდებარე ავტოსადგომზე, ქარის შედეგად წაიქცა გამხმარი ფიჭვის ხე, რომელიც დაეცა მოსარჩელის კუთვნილ ავტომობილს და დაზიანა ავტომანქანის უკანა საქარე მინა და კორპუსი.

დაზარალებულმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ... რაიონის გამგეობისა და შპს „...ის“ მიმართ, ავტომანქანის დაზიანების გამო დამდგარი ზიანის - 800 ლარის ანაზღაურების, მოპასუხეებისთვის სოლიდარულად დაკისრების, მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. თ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე ზ. თ-ას სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება - 550 ლარის ოდენობით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 ივლისის განჩინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

19 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 39(46), 06/08/1999.

20 სუსგ N ბს-26(კ-24), <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/33442/0> [26.02.2026].

კოლეგიის 2023 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განჩინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობა ადგენს საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურების ვალდებულებას. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის კი აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ქმედება, რამაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოშვა, დაკავშირებული უნდა იყოს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან; ამ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაშვებული დარღვევა მიმართული უნდა იყოს სხვა პირის უფლებების შელახვისკენ; მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბერს №17-55 დადგენილებით (სადავო პერიოდში მოქმედი) დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლის ღონისძიებებს ახორციელებს უფლებამოსილი ორგანო, მუნიციპალიტეტის მიერ უფლებამოსილი იურიდიული პირი ან შესაბამისი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, რაიონის გამგეობა, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევებში, საკუთარი ინიციატივით ან მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე. წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სანიტარული ჭრა ეწოდება სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, არსებული ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი

(ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეების მოჭრას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მწვანე ნარგავების მოვლა-აღდგენასთან დაკავშირებით ფიზიკური თუ იურიდიული პირების განცხადებაზე (შეტყობინებაზე) რეაგირება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება გამგეობის კომპეტენციაა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოვლით ჭრას ახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური. სასარჩელო მოთხოვნაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს სწორედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული - მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის შეფასება, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოვალეობაა სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზება, რაც ასევე აკისრებს მას ვალდებულებას, რომ პარკირების ადგილები იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უსაფრთხო სარგებლობისათვის. მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ჯეროვნად არ განახორციელა ნაკისრი ვალდებულება, სათანადო კონტროლი, რაც გულისხმობდა მის ვალდებულებას, განეხორციელებინა მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი აღდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, ამოძირკვა. მოპასუხის უმოქმედობის, ანუ დაკისრებული ვალდებულებების განუხორციელებლობის შედეგად მოსარჩელეს მიადგა ზიანი.

საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ მხარეს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა მოპასუხისთვის უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. საკასაციო სასამართლოს სიტყვებით: „ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაიდინა მმართველობითი ღონისძიების - მოქმედების განუხორციელებლობა, არ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესრულება, რამაც დამდგარი ფაქტობრივი შედეგით ფიზიკურ პირს მიაყენა მატერიალური ზიანი.“<sup>21</sup>

ანალოგიურად გადაწყდა მოქალაქის ავტომანქანის დაზიანების საქმე ხის დაცემის გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024

21 იქვე, სამოტივაციო ნაწილი.

წლის 14 თებერვლის განჩინებითაც.<sup>22</sup> ამ საქმეზე სასამართლებმა დადგინდად მიიჩნია, რომ გამგეობამ არ მოახდინა რეაგირება 2011-2012 წლებში დაფიქსირებულ მოქალაქეთა შეტყობინებებზე. საკაცო სასამართლო თავის განჩინებაში იზიარებს „ქვედა ინსტანციის სასამართლოების იმ მსჯელობას, რომ სახეზეა მმართველობითი ღონისძიების - მოქმედების განუხორციელებლობა, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ უზრუნველყვეს მათზე დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესრულება, რამაც დამდგარი ფაქტობრივი შედეგით ფიზიკურ პირს მიაყენა მატერიალური ზიანი.“<sup>23</sup>

### 5. სტიქიის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები

2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში ძლიერი წვიმის შემდეგ განივითარდა სტიქიური მოვლენა. შემთხვევის შედეგად დაიღუპა 21 ადამიანი, 2 დაკარგულად ითვლება. სტიქიამ 2015 წელს გაანადგურა საცხოვრებელი სახლები, გზები, ხიდები, გვირაბები, საყრდენი კედლები, საკომუნიკაციო სისტემები. მთლიანად დაიტბორა „მზიურისა“ და ზოოპარკის ტერიტორიები. სტიქიისას დაიხრცა ზოოპარკის ბინადართა ნაწილი. დაზარალდა ქალაქის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა, კოჯორი-სამადლოს დამაკავშირებელი გზა, ახალდაბა-წყნეთის გზის მონაკვეთი.<sup>24</sup>

მდინარე ვერეს ხეობაში განვითარებული ეს მოვლენა თბილისისთვის პირველი არ ყოფილა. [1924 წლის], „11 ივნისს, საღამოს 7 საათზე თბილისში ამოვარდა კუდიანი ქარი, რომელმაც ნა-

ხევარი საათის განმავლობაში შეუძლებელი გახდა ქუჩაში გამოსვლა დაყენებული კორიანტელის გამო. ხოლო 12 ივნისს, საღამოს 8 საათზე დაიწყო ელვა და ქუხილი, რასაც მოჰყვა ჯერ წელი და შემდეგ ძლიერი წვიმა, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა. წვიმამ აადიდა ღელეები, რასაც მოჰყვა შემდეგი უბედური შემთხვევა: 1-ელ სამილიციო უბანში, ვერის ღელესთან ბოზარჟინციის თუთუნის ქარხნის მახლობლად, ჩვეულებრივად დაბინავებულან მახლობელ სოფლიდან ჩამოსული გლეხები ურმებით ღამის გასათევად. გლეხები მოჰყვნენ წვიმაში, მოულოდნელად აღნიშნული ღელედან მოვარდნილა ძლიერი ნიაღვარი და იქ დაბანაკებული გლეხები თავიანთი ხარ-ურმებით გაუტაცნია და შეუყრია მტკვარში. დაღუპულთა რაოდენობა და ზარალი გამოურკვეველია. უბედურების ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდა მილიციის უფროსი და ცეცხლის მქრობელი რაზმი.“<sup>25</sup>

„მსგავსი განმეორდა თბილისში 1960 წელს, და ისევ განმეორდა 1963 წელს, და კვლავ განმეორდა 1973 წელს“<sup>26</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 21 დეკემბრის განჩინების<sup>27</sup> მიხედვით: ლ. ნ-ემ, ხ. გ-მა და ლ. გ-მა 23.12.2015 წ. სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სარჩელისა და მოპასუხე მხარეების დაზუსტების შემდეგ, მოსარჩელებმა მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს და სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის ლ. გ-ის სასარგებლოდ, მატერიალური ზიანის - 10 151.2 ლარის ანაზღაურების დაკისრება. სარჩელით ასე-

22 სუსგ N ბს-743(2კ-23)  
<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/32479/0>  
[26.02.2026].

23 იქვე, სამოტივაციო ნაწილი.

24 იხ. <https://1tv.ge/news/13-ivnisis-tragediidan-ati-weligavida/> [21.02.2026].

25 გაზეთი „კომუნისტი“, 1924 წლის 14 ივნისი, ციტირებულია: თორაძე დ., პასუხისმგებლობა წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 15, 2015, 132.

26 თორაძე დ., პასუხისმგებლობა წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 15, 2015, 132.

27 სუსგ N ბს-677(2კ-23)  
<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/31934/0>  
[21.02.2026].

ვე მოთხოვნილ იქნა მოპასუხეებისათვის მოსარჩელეების - ლ. ნ-ის და ხ. გ-ის სასარგებლოდ, შვილის გარდაცვალებით მიყენებული არამატერიალური ზიანის - 13 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.2020წ. გადაწყვეტილებით ლ. ნ-ის, ხ. გ-ის და ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.03.2018წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ლ. გ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით სოლიდარულად დაეკისრათ 10 151.2 ლარის ანაზღაურება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ლ. ნ-ისა და ხ. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით სოლიდარულად დაეკისრათ 13 ლარის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 16.09.2021წ. განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.01.2020წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.04.2023წ. გადაწყვეტილებით ლ. ნ-ის ხ. გ-ის და ლ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.03.2018წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ნ-ის, ხ. გ-ის და ლ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დაეკისრა ლ. გ-ის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 10 151.2 ლარის ანაზღაურება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დაეკისრა ლ. ნ-ის და ხ. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის სახით 13 ლარის ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მაღალი ტექნოლოგიების არსებობის და უფრო მეტი სათანადო მონყობილობების არსებობის შემთხვევაშიც, შეუძლებელი იქნებოდა ისეთი კომპლექსური სტიქიური მოვლენის წინასწარ განსაზღვრა, რომელიც 13.06.2015წ. განვითარდა.

საკასაციო სასამართლო დაეყრდნო გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2015წ. შედგენილ „თბილისის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების საშიშროების ზოგად ანალიზსა და 2015 წლის 13-14 ივნისს მდ. ვერეს აუზში განვითარებული კატასტროფით გამოწვეული მდგომარეობის წინასწარ შეფასებას“, რომლის თანახმად, 2015 წლის 13-14 ივნისს მდ. ვერეს წყალშემკრებ აუზში წარმოქმნილი კატასტროფული მოვლენა გამოიწვია გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების თანხვედრამ (მეწყერები, ღვარცოფები, კლდეზვავები, ატმოსფერული ნალექები წვიმის და სეტყვის სახით, არსებულ წყალსადინარებზე გვერდითი და სიღრმისეული ეროზია, წყალმოვარდნა და დატბორვა, რაც ყველაზე მთავარია - მდ. ვერეს აუზის რთული მორფოლოგიური, გეოლოგიური და ტექტონიკური პირობები).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ მიუთითა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის 13.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად გზაზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეზღუდვა ან დროებით შეწყვეტა ხორციელდება საავტომობილო გზის გაუმართაობისას, შეზღუდული ხილვადობის პირობებში, ბუნებრივი მოვლენების დროს, სტიქიური უბე-

დურების, ავარიის, კატასტროფის ან სხვა უბედურების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი ორგანოების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სადავო პერიოდში მოქმედი დებულების 6.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით გზებზე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეზღუდვის ან შეწყვეტის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ორგანო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 26.08.2008წ. N415 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის“ N14 ფუნქცია მოიცავს საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფას. ფუნქციის განმახორციელებელ ერთ-ერთ ძირითად ორგანოდ მიჩნეულია შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ხოლო შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელ ერთ-ერთ შესაძლო ღონისძიებად მიჩნეულია საგანგებო სიტუაციების დროს ქუჩების გადაკეტვა. საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია კასატორის - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ ჰქონდათ გზის გადაკეტვის გადანყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალების მიხედვით სსიპ „112“-ში დაფიქსირებული ინფორმაცია რეაგირების მიზნით შესაბამის უწყებებს, მათ შორის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს გადაეცემოდა. ამასთან, კასატორი არ უარყოფს, რომ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე დეპარტამენტი ჩართული იყო სამაშველო მოქმედებებში. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის

01.12.2021წ. წერილით დგინდება, რომ თბილისში განვითარებულ საგანგებო სიტუაციაზე სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ განგაში გამოცხადდა 14 ივნისს 00:20 საათზე. უდავო ფაქტია, რომ გზა არ გადაკეტილა განგაშის გამოცხადების შემდეგაც. საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა, კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები ვერ შეასრულა ჯეროვნად, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გულისხმობდა უსაფრთხოების წესების ეფექტიან გატარებას, მათ შორის, სტიქიის ზონისკენ მოსახლეობის გადაადგილების შეზღუდვას/შეწყვეტას.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან.

ეს საქმე საინტერესოა იმიტომაც, რომ საბოლოოდ სასამართლოებმა (საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემდეგ) გამორიცხეს გარემოს ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებლობა. საკასაციო სასამართლოს დასკვნით: „13.06.2015წ. განვითარებული სტიქიური კატასტროფა წარიმართა ტრაგიკულ მოვლენათა ისეთი უიშვიათესი თანადროული მიმდინარეობით, რომლის მზადყოფნისა და რომლის შედეგების წინასწარ განჭვრეტის და ელიმინაციის ვალდებულება არ შეიძლება შეფასებულ იქნას გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოსაჩენი წინდახედულობის აუცილებელ ფარგლებში შემავალ პასუხისმგებლობად.“<sup>28</sup>

ყურადღება უნდა მიექცეს, რომ საქმეზე, სხვებს შორის, დადგინდა შემდგი გარემოება: „1924 წლიდან 2015 წლის სტიქიამდე მდინარე ვერეს აუზში სტიქიური მოვლენები არაერთხელ

28 იქვე, აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები.



განვითარდა და ტერიტორია ისტორიულად მენყერსაშიში იყო.“ ამის მიუხედავად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ფაქტი „არ გამორიცხავს 2015 წლის მოვლენის ინდივიდუალურად შეფასების აუცილებლობას.“<sup>29</sup>

ამ საქმის განხილვის ისტორია, რაც მოკლედ ამგვარად გადმოიცემა: პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, თუმცა საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა და ამის შემდეგ მიიღო სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გადაწყვეტილება, ხოლო საბოლოოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაზარალებული ფიზიკური პირების და ერთ-ერთი ადმინისტრაციული ორგანოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, რაც მოწმობს იმას, რომ საქართველოს სასამართლოებისთვის რთული აღმოჩნდა სტიქიაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა. საბოლოოდ კი, ჩამოყალიბდა დასკვნა, რომ „სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან 13.06.2015წ. მოვლენების კომპლექსურად განვითარებით, 10-მდე ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების თანხვედრით გამოწვეული შედეგის პროგნოზირება არ იყო ობიექტურად შესაძლებელი, შედეგი არ ექვემდებარებოდა კონტროლს და წინასწარ განჭვრეტას.“<sup>30</sup>

საკასაციო სასამართლოს ამ დასკვნიდან გამომდინარე, სახელმწიფოს არ ეკისრება პასუხისმგებლობა გამეორებადი სტიქიის ელიმინაცია-სთან დაკავშირებით. ამ პოზიციის საპირისპიროდ, რთულია არ გაიზიარო ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის დავით თორაძის მოსაზრება, რომლის მიხედვით: „რაც უნდა კარგად და ზედმინეწით იყოს გააზრებული წყლისგან მომავალი საფრთხე, რაოდენ კვა-

ლიფიციურიც უნდა იყოს მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა, ხოლო შემაკავებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები არსებული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე სულ რომ უნივერსალურ და იდეალურ სტადიაზე მყოფად ჩაითვალოს, ბუნებრივი სტიქიის არაპროგნოზირებადი ხასიათის გამო მაინც ვერ იქნება მიღწეული აბსოლუტური უსაფრთხოება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საკითხი „თვითდინებაზე“ იყოს მიშვებული. წყლის სტიქიის მოსათვინიერებლად, მანამ, სანამ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შექმნაზე მიდგება საქმე, სავალდებულოდ აუცილებელია კვალიფიციური სამართლებრივი ბაზის შექმნა. მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები მკაფიოდ, ნათლად და არაორაზროვნად უნდა მოიცავდეს პასუხისმგებელი საჯარო სუბიექტების განსაზღვრებას, ასევე მათ კონკრეტულ ვალდებულებებს წყლის მეურნეობის სფეროში, ასევე ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკრეტულ პასუხისმგებლობას.

დღევანდელი სამართლებრივი მდგომარეობა ამ კუთხით საქართველოში არ იძლევა დამაკმაყოფილებელი შეფასების შესაძლებლობას. თუმცა ახლო მომავალში საკითხის მოწესრიგების იმედიან პერსპექტივას იძლევა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება, სადაც სავალდებულოდ ეკისრება საქართველოს გარკვეულ ვადებში წყალდიდობის რისკების შეფასების კუთხით მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება.“<sup>31</sup>

წყალთან დაკავშირებული სტიქიის გამო, ზიანზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა უნდა მოხდეს „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>32</sup> დებულებების გათვალისწინებით. ამ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, წყლის ჩამონადენისა და დონეების ფორმირების პირობების მიხედვით დგინდება წყალდიდობის შემდეგი სახეები: ა) გაზაფხულის და შემოდგომის წყალმეტობა; ბ)

29 იქვე, აღწერილობითი ნაწილი.

30 იქვე, სამოტივაციო ნაწილი.

31 თორაძე დ., პასუხისმგებლობა წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 15, 2015, 183-184.

32 პარლამენტის უწყებანი, 44, 11/11/1997, ძალადაკარგულია 2026 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 20/07/2023.

წვიმისა და ნიაღვრის წყალმოვარდნა; გ) ღვა-  
რცოფი.

ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოსალო-  
დნელი წყალდიდობა სიმძლავრისა და სა-  
ფრთხის დონის მიხედვით პირობითად იყოფა  
სამ კატეგორიად: ა) საშიში მოვლენა; ბ) განსა-  
კუთრებით საშიში მოვლენა; გ) სტიქიური უბე-  
დურება.

აღნიშნული მუხლის მე-4-6 პუნქტებში აღწე-  
რილია წყალდიდობის სახეები:

4. საშიში მოვლენა ხასიათდება ყოველწლიუ-  
რი ან ხშირად განმეორებადი ჩვეულებრივი წყა-  
ლმოვარდნით, რაც განაპირობებს წყლის დონის  
ანევის და კალაპოტის უმნიშვნელო წარეცხვას,  
რის შედეგადაც შეიძლება დაირღვეს ადგილო-  
ბრივი მნიშვნელობის ობიექტების ნორმალური  
მუშაობა (ათვისებული მიწების დროებით და-  
ტბორვა, გზის ვაკისის, კავშირგაბმულობისა და  
ელექტროგადაცემი ხაზების გამორეცხვა და  
დაზიანება, საქალაქო კომუნიკაციებისა და  
ტრანსპორტის მუშაობის ხანმოკლე შეფერხება  
და სხვა).

5. განსაკუთრებით საშიში მოვლენა ხასია-  
თდება წყალმოვარდნით ან ღვარცოფით, რაც  
განაპირობებს ქალაქებისა და დასახლებული  
პუნქტების ტერიტორიების, რკინიგზებისა და  
საავტომობილო გზების, აგრეთვე მსხვილი სა-  
მეურნეო ობიექტების და სასოფლო-სამეურნეო  
სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობის ნა-  
წილობრივ შეტბორვას და დატბორვას, რასაც  
შედეგად შეიძლება მოჰყვეს: ა) ელექტროენე-  
რგიის მიწოდების და კავშირგაბმულობის მუშა-  
ობის შეწყვეტა 6 და მეტი საათით; ბ) ქალაქები-  
სა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების წყა-  
ლმომარაგებისა და ელექტრომომარაგების,  
აგრეთვე საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის  
შეფერხება ან შეწყვეტა 24 და მეტი საათით; გ)  
საცხოვრებელი სახლების, ადმინისტრაციული  
და საწარმოო შენობა-ნაგებობების, სამშენ-  
ებლო და სამრეწველო ობიექტების ნაწილობრივ  
დანგრევა და დაზიანება.

6. სტიქიური უბედურება ხასიათდება განსა-  
კუთრებით საშიში და იშვიათად განმეორებადი  
წყალმოვარდნითა და ღვარცოფით, რაც იწვევს  
ათვისებული მიწების მნიშვნელოვანი ფართო-  
ბის დატბორვას, განსაკუთრებით მნიშვნელო-  
ვანი სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი  
სახლების, საწარმოო შენობა-ნაგებობათა და  
სხვა ობიექტების მასობრივ ნგრევასა და დაზი-  
ანებას, აგრეთვე მოსახლეობის გადასახლებას  
საშიში ზონიდან და დაზიანებული სახლებიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვა-  
ლისწინებით, რომ თბილისში, მდინარე ვერეს  
ხეობაში, მე-20 საუკუნის განმავლობაში რამდე-  
ნჯერმე გამეორდა იდენტური მოვლენები, შესა-  
ძლებელია დავასკვნათ, რომ 2015 წლის 13-14  
ივნისის სტიქია უნდა შეფასდეს, როგორც საში-  
ში მოვლენა, შესაბამისად მასთან დაკავშირე-  
ბით სახელმწიფოს მხრიდან ბრალის გარეშე პა-  
სუხისმგებლობა ან, „ე.წ. მკაცრი პასუხისმგე-  
ბლობა, როგორც მას ანგლო-ამერიკული სამა-  
რთლის სივრცეში მოიხსენიებენ“<sup>33</sup>, მართებული  
უნდა იყოს.<sup>34</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ „წყლის შესახებ“ სა-  
ქართველოს კანონის მე-80 მუხლის პირველი  
პუნქტის მიხედვით, წყლის სახელმწიფო მონი-  
ტორინგი წარმოადგენს წყლის ობიექტებში და  
ჩამდინარე წყლებში წყლის რაოდენობრივ და  
ხარისხობრივ მდგომარეობაზე რეგულარული  
დაკვირვებისა და ინფორმაციის ანალიზის  
ერთიან სისტემას, რომლის მიზანია ინფორმა-  
ციის მიღება წყლისა და მისი ობიექტების მდგო-  
მარეობის შესახებ, მისი გარემოსთან (ბუნებრივ  
და ანთროპოგენულ) ურთიერთქმედების,  
წყლის რესურსების და მდინარეების ენერგეტი-  
კული პოტენციალის შეფასება, წყლის მავნე ზე-  
მოქმედების (წყალდიდობის, ღვარცოფის, მე-  
წყერის და სხვა) პროგნოზირება და სხვა.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, წყლის სახე-  
ლმწიფო მონიტორინგს ახორციელებს სამინი-  
სტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამა-  
რთლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნუ-  
ლი სააგენტო.

33 ქოჩიაშვილი ქ., ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა - გა-  
მონაკლისი კერძო სამართლის ზოგადი წესიდან, სამა-  
რთლის ჟურნალი, N2, 2023, 66.

34 იხ. ასევე, თორაძე დ., პასუხისმგებლობა წყალდიდო-  
ბის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, ქართული სამა-  
რთლის მიმოხილვა, ტ. 15, 2015, 143.

კანონიდან გამომდინარე, წყლის მავნე ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმის, წყალდიდობის პროგნოზირება შესაძლებელია და პროგნოზირება საქართველოს სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის კომპეტენციას წარმოადგენს.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 21 დეკემბრის ბს-677(2კ-23) განჩინებაში ჩამოყალიბებული დასკვნა, ალბათ, საკამათო საკითხად დარჩება.

## 6. მეტროს სადგურში მომხდარი შემთხვევის გამო პასუხისმგებლობა

სტატიის ამ თავში განხილული იქნება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებით მოქმედი საწარმოს პასუხისმგებლობის საკითხი ნაგებობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

თბილისის მეტროსადგურებს მართავს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ყოფილი შპს „თბილისის მეტრო“), რომლის 100%-იანი წილის მფლობელია თბილისის მერია.<sup>35</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების<sup>36</sup> მიხედვით: 2018 წლის 30 იანვარს, დილით, მეტროსადგურ „გარკეთილის“ ქვედა ვესტიბიულში შეკიდული ჭერი ჩამონგრევის შედეგად, მოსარჩელემ მიიღო ტრავმა, რაც გამოიხატა მარცხენა ლავინის ძვლის მოტეხილობით, გულმკერდის მე-11 მალის კომპენსირებული მოტეხილობით და სხვა თანმხლები დაზიანებებით.

2018 წლის 30 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N 004300118004 საქმეზე.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორის დადგენილებით

მოპასუხე შპს „თბ-----ა“ მიყენებული ქონებრივი ზიანის გათვალისწინებით, ცნობილ იქნა დაზარალებულად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2020 წლის 05 აგვისტოს გამამტყუნებელი განაჩენით სამივე ბრალდებული: ... ცნობილ იქნენ დამნაშავეებად.

დაზარალებულად ცნობის შესახებ პროკურორის 2018 წლის 16 აპრილის დადგენილების მიხედვით, [მოსარჩელე] თი-----ს მიყენებული ჰქონდა ფიზიკური და მორალური სახის ზიანი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, თი-----ის სარჩელი, მოპასუხე შპს „თბ-----ის“ მიმართ მორალური ზიანი-სა და მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე შპს „თბ-----ას“ მოსარჩელე თი-----ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა 5 000 ლარის გადახდა. თი-----ის სარჩელი, მოპასუხე შპს „თბ-----ის“ მიმართ, მიუღებელი შემოსავლის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

2022 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ინციდენტი, რომლის გამოც მოსარჩელე ითხოვდა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, მოხდა მეტროსადგურში. სასამართლომ განარტა, რომ მეტრო არის სპეციფიური ტრანსპორტი. მისი ექსპლუატაცია უკავშირდება მინისქვეშა ნაგებობის არსებობას, რაც თავისთავად წარმოადგენს საფრთხის წყაროს. ასეთი ტრანსპორტის ექსპლუატაციისას გამოწვეული ზიანისთვის კი ტრანსპორტის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა, რაც ნიშნავს პასუხისმგებლობას ბრალეული ქმედების არარსებობის შემთხვევაშიც კი.

35 <https://ttc.com.ge/ka/about-us> [22.02.2026].

36 გადაწყვეტილების ასლი (პერსონალური მონაცემების გარეშე, დაშტრიხული სახით) მომენოდა თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის N2-0159/11584467, 04.06.2025 წ. წერილით.

სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ საქმეზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება, რომლის მიხედვით, შენობის მესაკუთრე ვალდებულია ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ჩამოქცევის ან მისი ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად წარმოიშვა. შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ მას ბრალი არ მიუძღვის მოსარჩელისთვის ზიანის მიყენებაში, თვითონ არის დაზარალებული სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მეტროსადგურში ქერის ჩამონგრევის ფაქტზე იქნა აღძრული.

სასამართლომ საბოლოოდ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ჰქონდა ზიანის ანაზღაურების, მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნის კანონიერი უფლება. თუმცა, სასამართლომ მოსარჩელეს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარი უთხრა მოთხოვნის დაუსაბუთებლობის გამო. საქმეზე მოსარჩელემ ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები იმ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად, რომ იგი მართლაც იყო დასაქმებული ...-ში, სადაც საქმიანობის შეთავსების სანაცვლოდ, ხელზე იღებდა თვეში 700 ლარს. შესაბამისად, მან ვერ დაადასტურა მიუღებელი შემოსავლის ოდენობა.

ამ საქმესთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქმე განხილულ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით და სასამართლოს მიერ გამოყენებული იყო არა 1005-ე მუხლი, არამედ, 1004-ე მუხლი, ზიანის მიყენების ადგილის გავალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის გამოყენებით სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა პასუხისმგებლობა მინისქვეშა ნაგებობის მფლობელი პირის ბრალის

მიუხედავად. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშია განმარტებული, „ეს არის პასუხისმგებლობა საფრთხის შემქმნელი დელიქტებისთვის, უმართლობისა და ბრალეულობისაგან დამოუკიდებლად (სსკ-ის 999-ე, 1000-ე, 1004-ე, 1009-ე მუხლები).“<sup>37</sup>

„სამოქალაქო სამართალში მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის ბრალი ივარაუდება“,<sup>38</sup> იგივე შეიძლება ითქვას მართლწინააღმდეგობაზეც, ამით უნდა აიხსნას, რომ ამ საქმეში სასამართლოს არ გამოუყვეთავს მართლწინააღმდეგობის საკითხი. თუ პასუხისმგებლობა წინდახედულობის გამოჩენის და ტექნიკური უსაფრთხოების წესების მიღების შემთხვევაშიც დგება, მართლწინააღმდეგობის საკითხის ცალკე შეფასება, როგორც ჩანს, აზრს კარგავს.

## 7. სამშენებლო მოედნის დაუცველობით მიყენებული ზიანის საკითხი

საქართველოში, განსაკუთრებით კი, ქ. თბილისში, ბოლო დროს მაღალი ინტენსივობით მიმდინარეობს მაღალსართულიანი ნაგებობების მშენებლობა. ამ ვითარებაში აქტუალურია სამშენებლო მოედნის<sup>39</sup> უსაფრთხოების დაცვის საკითხი.

მშენებლობა წარმოადგენს მომეტებულ ტექნიკურ საფრთხესთან დაკავშირებულ პროცესს.<sup>40</sup>

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობა გულისხმობს როგორც უშუალოდ ახალი შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების მშენებლობას, რეკონსტრუქციას, დემონტაჟს, კონსერვაციას ან შეკეთებას, ისე სამშენებლო მოედნის მომზადებას.

37 სუსგ N ას-812-2022, 05/10/2022, §187 <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/69108/1> [26.02.2026].

38 ქოჩიაშვილი ქ., ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა - გამოწვევის კერძო სამართლის ზოგადი წესიდან, სამართლის ჟურნალი, N2, 2023, 76.

39 მშენებლობის ორგანიზების პროექტით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო

სამუშაოების განხორციელებისა და მათი მომსახურებისათვის - იხ. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 13/08/2018) 3.3<sup>9</sup> მუხლი.

40 პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 25/05/2012) 15.ბ მუხლი.

ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებისას და განაშენიანებისას დაცული უნდა იქნეს ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი. ამავე კოდექსით (მუხლი 121), მშენებლობის პროცესში მშენებლობის ნებართვების მფლობელმა ან მშენებლობის განმახორციელებელმა პირმა უნდა დანიშნოს მშენებლობის უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი პირი ან თვითონ განახორციელოს მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა. მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა იწვევს მკაცრ პასუხისმგებლობას.<sup>41</sup>

საზედამხედველო ღონისძიებების გამოყენების გარდა, სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების დაუცველობით მიყენებული ზიანი, დაზარალებულის სარჩელის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება. ზიანის ასანაზღაურებლად, დაზარალებულს შეიძლება მიეცეს მკურნალობის, რეაბილიტაციის (უკვე განეული და მომავალში გასანევი) ხარჯები, აგრეთვე ჯანმრთელობის დაზიანების გამო გამოწვეული ტანჯვით, დისკომფორტით, ხანგრძლივი შრომისუუნარობით და სხვა გარემოებებით მიყენებული მორალური ზიანის კომპენსაცია<sup>42</sup>. ამ საქმეზე სასამართლო იყენებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 992-ე მუხლებს.

მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაკავშირებით, რაც ნაგებობას ან მშენებლობის პროცესს უკავშირდება, სახელმწიფოს (მუნიციპალური) ორგანოების პასუხისმგებლობა ძირითადად ზედამხედველობის პროცესით შემოიფარგლება, ზიანის ანაზღაურების საკითხის დაყენებისას კი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ნაგებობის მესაკუთრეს (მფლობელს) ან მშენებლობის ორგანიზატორს. ამის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ჩამოყალიბებული განმარტება, რომ: „... ზიანი ანაზღაურდება რეა-

ლურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობისას კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. განსახილველ შემთხვევაში კი არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი; მეტიც, არ არსებობს ადმინისტრაციული ორგანოების განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც გამორიცხავს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოსთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების დავალებას. ამასთან, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოსარჩელის სასარგებლოდ შპს „ს...სა“ და სს „ე...ს“ უკვე დაკისრებული აქვთ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.“<sup>43</sup>

## 8. დასკვნა

წარმოდგენილ მიმოხილვაში გამოიკვეთა ჯანსაღი სასიცოცხლო გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში მისი ორგანოებისა და მოხელეების პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები.

ერთობლივი სტატიის ამ ნაწილში ყურადღება დაეთმო საკითხს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207–208-ე მუხლების საფუძველზე სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები, აგრეთვე მათ მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირები სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის, ზოგადად, პასუხისმგებელნი არიან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საფუძველად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე მითითება მაინც

41 პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 49-ე მუხლი.

42 სუსგ N ას-1626-2018, 12/02/2021

<https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/662191>  
[26.02.2026].

43 სუსგ N ბს-251(კ-21), 17/01/2023, სამოტივაციო ნაწილი <https://www.supremecourt.ge/ka/fullcase/30725/0>  
[26.02.2026].

ხდება, იმის მიუხედავად, რომ კოდექსის 1005-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ბრალი გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ კონკრეტული მოხელის პასუხისმგებლობის შეფასებისას.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207–208-ე მუხლებიდან გამომდინარე, უნდა დაეფუძნოს 1005-ე მუხლს, ხოლო 992-ე მუხლი უნდა იქნას გამოყენებული მოხელის რეგრესული პასუხისმგებლობის საფუძვლად.

სტატიაში გამოიკვეთა, რომ საავტომობილო გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნაწილია და იგი უნდა შეფასდეს, როგორც საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით აღიარებული უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი სამართლებრივი მექანიზმი.

შეიძლება ჩამოყალიბდეს დასკვნა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წყალდიდობით მიყენებული ზიანის შემთხვევებში პრინციპულად არ არის გამორიცხული, მაგრამ კანონმდებლობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით, მკაფიოდ ვერ გაეცა პასუხი შეკითხვას, არის თუ არა პასუხისმგებელი სახელმწიფო წყლისგან მიმდინარე სტიქიის პრევენციული ზომების მიუღებლობის გამო.

შეჯამების სახით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ: საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ერთგვაროვანია გამხმარი ხის ნაქცევის გამო ქონების დაზიანების გამო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი სატრანსპორტო საწარმო ნაგებობის ჩამონგრევის შედეგად ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, პასუხისმგებელია მორალური ზიანის ანაზღაურებაზე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე.

მშენებლობის პროცესში მიყენებული ზიანის საქმეზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ზედამხედველობის განხორციელებით, ხოლო ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ეკისრებათ მინის ნაკვეთის ან ნაგებობის მესაკუთრეს ან მშენებლობის ორგანიზატორს.

მშენებლობის პროცესში მიყენებული ზიანის საქმეზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ზედამხედველობის განხორციელებით, ხოლო ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ეკისრებათ მინის ნაკვეთის ან ნაგებობის მესაკუთრეს ან მშენებლობის ორგანიზატორს.

# სამოქალაქო პასუხისმგებლობა და კრიპტოვალუტა: ახალი სამართლებრივი გამოწვევები ციფრულ ეპოქაში

სოფო ბლალაძე  
ადვოკატი

## შესავალი

თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში კრიპტოვალუტის მომხმარებელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ციფრულ ეპოქაში, კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის დახვეწამ, განვითარებამ და გავრცელებამ გავლენა მოახდინა სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის სამართალზეც. კრიპტოვალუტის, გონიერი კონტრაქტის და ბლოკჩეინის არსიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს სამართლებრივი ჩარჩო და სათანადო გარანტიები, რათა შესაძლებელი იყოს, როგორც მომხმარებლის ასევე ქვეყნის ინტერესების დაცვა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ კრიპტოვალუტის რეგულირება კომპლექსური საკითხია, რადგანაც ერთობლიობაშია განსახილველი მისი სამართლებრივი, ტექნოლოგიური და ფინანსური საკითხები.

ქართული საკანონმდებლო სივრცე არ იცნობს კრიპტოვალუტის ცნებას. კრიპტო აქტივისა და ვირტუალური ქონების ცნებები განხილულია მხოლოდ საჯარო სამართლებრივ აქტებში. შესაბამისად, ჩნდება კითხვა კრიპტოვალუტის

სამოქალაქო სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით. კრიპტოვალუტასთან მიმართებით საინტერესო და, ამავე დროს, პრობლემატური საკითხია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგანაც ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეულ შემთხვევაში რთულია პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

სტატიაში მიმოხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორც კრიპტოვალუტის ცნება და სამართლებრივი ბუნება, ბლოკჩეინ ტექნოლოგია, სამოქალაქო პასუხისმგებლობა ტრადიციული გაგებით, მსოფლიოში არსებული პრაქტიკა კრიპტოვალუტასთან (სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჭრილში) დაკავშირებით.

## კრიპტოვალუტის სამართლებრივი ბუნება

### 1.2 კრიპტოვალუტის ცნება

სიტყვა კრიპტო ეტიმოლოგიურად ბერძნული წარმოშობისაა (κρυπτός) და ნიშნავს დამალულს, შენიღბულს ან საიდუმლოს<sup>1</sup>. დღეის მდგომარეობით, იგი ასოცირდება კრიპტოგრაფიასთან. კრიპტოგრაფია კი, ეს არის კომპიუ-

1 <https://www.etymonline.com/word/crypto>  
(1.11.2024)

ტერული მეცნიერება, რომელიც ეფუძნება და-შიფვრას, დეკოდირებას, ხელმონერას, ფსევდო-შემთხვევითი რიცხვების გენერირებას.<sup>2</sup> ასევე, იგი ეხება ისეთ მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს ე.წ. საიდუმლო გასაღების გაცვლას, პროტოკოლებს მომხმარებელთა ავთენტიფიკაციისთვის, ელექტრონულ აუქციონებს, არჩევნებს, ციფრულ ფულსა და სხვ.<sup>3</sup>

კრიპტოვალუტა, კრიპტო აქტივი საჯარო სამართლებრივი აქტებისთვის ნაცნობი ტერმინებია, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა კრიპტოვალუტის დეფინიციას არ იცნობს. დეფინიციურად კრიპტოაქტივი (კრიპტოაქტივის ერთ-ერთი სახეობა სწორედ კრიპტოვალუტაა), განმარტებულია, როგორც „ციფრული აქტივი, რომლის შენახვა და გაცვლა ხორციელდება ელექტრონულად, ერთრანგიანი (დეცენტრალიზებული, Peer-to-peer) ქსელით, არ საჭიროებს სანდო შუამავალს, და ფუნქციონირებს კომპიუტერების ქსელში მომუშავე განაწილებული რესტრის ტექნოლოგიის პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიულ მეთოდებს. კრიპტო აქტივი წარმოადგენს ღირებულების ციფრულ გამოხატულებას, მისი გამოშვება და გაცვლა ხორციელდება დეცენტრალიზებული კონსენსუსის მექანიზმით, ცენტრალური სანდო ემიტენტი და ზედამხედველი/მაკონტროლებელი ორგანოს გარეშე, ხოლო მასზე საკუთრების უფლება დასტურდება კრიპტოგრაფიული მეთოდებით“.<sup>4</sup>

„ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ფულის ნიშნებია „ეროვნული ბანკისა და სხვა ქვეყნის ემიტენტი დაწესებულებების მიერ გადახდის კანონიერი საშუალებების სახით გამოშვებული ბანკნოტები და მონეტები“<sup>5</sup>. ფულის იდენტურ დეფინიციას გვთავაზობს ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულება.<sup>6</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კრიპტოვალუტა არ წარმოადგენს ფულს, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა (მაგ.: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა).<sup>7</sup>

აღსანიშნავია, რომ კრიპტოს ბაზარზე გამოშვება და მიმოქცევა დეცენტრალიზებულია, რაც მას განასხვავებს სხვა ფულისგან<sup>8</sup> ე.ი მას აკონტროლებს არა კონკრეტული პირი თუ სახელმწიფო, არამედ მასში ჩაბმული თითოეული მომხმარებელი<sup>9</sup>. სხვა ტიპის ფულისგან განსხვავებით, კრიპტოვალუტის საზღვრები არ არის შემოფარგლული კონკრეტული ქვეყნითა თუ გაერთიანებით. ასევე, სხვა ვალუტების მსგავსად კრიპტოვალუტაც ინარმოება გარკვეული რაოდენობით და მისი ფასიც მოთხოვნის შესაბამისად რეგულირდება.<sup>10</sup>

კრიპტოს შექმნის ორი გზა არსებობს, კერძოდ, შესაძლებელია მისი ვაჭრობის გზით შექმნა და ასევე, ტრადიციული ფულისგან განსხვავებით მას აწარმოებენ ფიზიკური პირები.

2 M. Barakat, C. Eder, T. Hanke „An Introduction to Cryptography“, 2018 20.09, 1, <https://agag-ederc.math.rptu.de/~ederc/download/Cryptography.pdf> (1.11.2024)

3 Katz J., Lindell Y., Introduction To Modern Cryptography, Second Edition, 2015, 3.

4 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება №201, 2019 წლის 28 ივნისი, ქ. თბილისი, კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე, 1-ელი მუხლი.

6 იხ. TFEU 128.1.

7 ჟორჟოლიანი გ., სადისერტაციო ნაშრომი - კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი, როგორც

ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი, თბილისი, 2023, გვ. 66.

8 ნურაშვილი ნ., კრიპტოვალუტა, როგორც საკუთრების უფლებით დაცული ინტერესი, ჟურნალი ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, თბილისი, 2023, გვ. 278-279

9 მალრაძე მ., სიჭინავა დ., ელექტრონულ ფულზე გადასვლის წინამძღვრები და პრობლემები, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ N6, თბილისი 2018 გვ. 30

10 Vivian A. Maese, Alan W Avery, Benjamin A. Naftalis, Stephen P Wink, and Yvette D. Valdez., „Cryptocurrency: A Primer.“, Banking Law journal., 133(8), 469



კრიპტო გამომუშავდება ე.წ. „მინინგის“ საშუალებით<sup>11</sup>. მინინგი შესაძლოა, ითქვას, რომ არის ერთიანი პროცესი, რომლის მიმდინარეობისას ხდება კრიპტოვალუტების ტრანზაქციების ფორმირება, გადაცემა და დადასტურება<sup>12</sup>.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ კრიპტოვალუტა არის ელექტრონული ონლაინ გადახდის სისტემა, რომლის არსებობაც დამოკიდებულია საზოგადოების ნდობაზე, ნებასა და შეთანხმებაზე ვირტუალური ფულის გაცვლის საშუალებად მიღებაზე. ის გამყარებულია კრიპტოგრაფიით და ეყრდნობა ბლოკჩეინის ტექნოლოგიას, ასევე ურთიერთქმედებას კვანძებს შორის, რომელიც ქსელში არსებობს.

## 1.2 კრიპტოვალუტა, როგორც კერძო სამართლის ობიექტი

ქართული კანონმდებლობა სამართლის ობიექტად მოიაზრებს როგორც მატერიალურ ასევე არამატერიალურ სამართლებრივ სიკეთეებს, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის ობიექტის ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - „სსკ“) მე-7 მუხლში, რომლის თანახმადაც „კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული“.

ქონება კი, სსკ-ის 147-ე მუხლის მიხედვით, არის „ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს“ ამდენად, ქონებად მიჩნევისთვის აუცილებელია თავისუფლად შეიძლებოდეს ნივთისა

თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის ფლობა, განკარგვა და შექმნა.

დღეის მდგომარეობით, ერთ-ერთ აქტუალურ საგანს წარმოადგენს რთული ტექნოლოგიური პროცესის ბლოკჩეინის, კრიპტოვალუტის სამართლებრივი მდგომარეობა თუ ბუნება და სხვადასხვა ტექნოლოგიური სიახლის მონესრიგების საკითხი. მაგალითად, კომპიუტერული კოდი, რომელსაც ქმნის კონკრეტული პირი და არის მისი შემქმნელის შრომის შედეგი, უნდა იყოს თუ არა დაცული საკუთრების უფლებით?<sup>13</sup>

მაგალითად, პაეფგენი GMBH გერმანიის წინააღმდეგ (Paeffgen GmbH v. Germany) – საქმეზე სასამართლო იმსჯელა რამდენად იყო დაცული ვებსაიტის სახელის/დომეინის სახელის (domain name) გამოყენების ექსკლუზიური უფლება. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დომეინი განხილულია, როგორც საკუთრების უფლებით დაცული სამართლებრივი სიკეთე. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ კრიპტოვალუტა ქონების ცნებაში უნდა მოიაზრებოდეს.<sup>14</sup>

## 1.3 კრიპტოვალუტა, როგორც ქონება

საკუთრების უფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რადგან ერთი მხრივ მასთან არის დაკავშირებული სამართლის სხვა ინსტიტუტები, ხოლო მეორე მხრივ საკუთრების უფლების რეალიზება განაპირობებს ადამიანის კეთილდღეობას. დღეს დღეისობით ტექნოლოგიის განვითარებამ და ნოვაციებმა გამოიკვეთა საჭიროება, რომ სამართალი უნდა ადაპტირდეს სიახლეებთან, ამავე დროს გაჩნდა კითხვა - ხომ არ უნდა შეიცვალოს საკუთრების ტრადიციული დეფინიცია? თანამედროვე იურიდიულ დოქტრინაში აღნიშნავენ, რომ საკუთრების უფლების ცნება უნდა გავრცელდეს პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ინტერნეტსაიტების

11 ზარდიაშვილი დ., სამაგისტრო ნაშრომი - კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2022, გვ. 10.

12 Krishnan H., Saketh S., Tej V., Cryptocurrency Mining-Transition to Cloud, International Journal of Advanced Computer Science and Applications, Vol 6 N9. 2015, 115.

13 ზარანდია თ., სანივთო სამართალი მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი, 2019, გვ. 203

14 პაეფგენი GMBH გერმანიის წინააღმდეგ (Paeffgen GmbH v. Germany), 2007, 8, 1-ელი პუნქტი

შემცველობაზე და პერსონალურ მონაცემზეც კი.<sup>15</sup>

კრიპოვალუტა, როგორც ქონებრივი სიკეთის ობიექტი აქტიურად განიხილება ინგლისსა და ამერიკის შეერთებული შტატებში, ამასთან უნდა აღსანიშნავია რომ სინგაპურის, კანადისა და ახალი ზელანდიის სასამართლოები, რომლებიც განმარტავენ, რომ პირდაპირი გაგებით კრიპტოვალუტა არის არა ფული ან ვალუტა, არამედ სამართლებრივი სიკეთის ობიექტი.<sup>16</sup>

2020 წელს ახალი ზელანდიის უმაღლესი სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე რუსკო კრიპტოპიას წინააღმდეგ (**Ruscoe v. Cryptopia Ltd**). აღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა სავაჭრო პლატფორმაზე - **Cryptopia**-ზე მიმდინარე მოვლენებს. კრიპტოპია იყო კრიპტოვალუტის სავაჭრო პლატფორმა, რომელიც აერთიანებდა 900 000-ზე მეტ მომხმარებელს. 2019 წელს გატეხეს აღნიშნული პლატფორმის სერვერები და მოიპარეს დაახლოებით 30 მილიონი ახალი ზელანდიური დოლარი, რამაც გამოიწვია ლიკვიდაციის პროცესი. როგორც ლიკვიდატორებმა შეაფასეს ზემოაღნიშნული შემთხვევის კრიპტოპიას ქონებრივმა ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 170 მილიონი ახალი ზელანდიური დოლარი. სამართლებრივი დავა მიმდინარეობდა კრიპტოპიას შემქმნელებსა და ანგარიშის მფლობელებს შორის. ხსენებული დავის ფარგლებში ერთ-ერთ განსახილველ საკითხს წარმოადგენდა კრიპტოვალუტის სამართლებრივი ბუნების დადგენა, კერძოდ, შესაძლებელი იყო თუ არა მისი საკუთრებად მიჩნევა.<sup>17</sup> ახალი ზელანდიის სასამართლო დავის განხილვის პროცესში დაეყრდნო ლორდთა პალატის გადაწყვეტილებას (**National Provincial Bank Ltd v. Ainsworth**) და საკუთრების უფლებასთან

დაკავშირებით მასში მითითებულ კრიტერიუმებს, კერძოდ, „სანამ უფლება ან ინტერესი დაიშვება საკუთრების კატეგორიაში ან საკუთრებაზე მოქმედ უფლებზე, ის უნდა იყოს განსაზღვრული, იდენტიფიცირებადი მესამე მხარის მიერ, თავისი ბუნებით შეიძლება იყოს მიღებული/აღიარებული მესამე პირების მიერ და ჰქონდეს გარკვეული ხარისხის მუდმივობა ან სტაბილურობა.“<sup>18</sup> ახალი ზელანდიის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, კრიპტოვალუტა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ყველა კრიტერიუმს, შესაბამისად, კრიპტოვალუტა მიიჩნია საკუთრებად.

ანალოგიური მიდგომა განვითარდა ბრიტანეთში **AA v. Persons Unknown** საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული საქმის მიხედვით, კომპანია, რომელმაც კიბერული თავდასხმის შედეგად დაკარგა 109 ბიტკოინი სასამართლოში ითხოვდა ჰაკერების წინააღმდეგ სასამართლო აკრძალვის გამოყენებას. აღნიშნულ საქმეში კრიპტოვალუტა მიჩნეულია საკუთრებად, შესაბამისად, დავის განხილვის პროცესში გამოიყენეს სასამართლო აკრძალვა.<sup>19</sup>

## 2. კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების ბლოკჩეინისა და ჭკვიანი კონტრაქტების მოკლე მიმოხილვა

### 2.1 ბლოკჩეინის ცნება და არსი

სიტყვა ბლოკჩეინი (ინგლ. **Blockchain** ანუ „ბლოკჯაჭვი“) ახალია მეცნიერებაში, თუმცა განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია, რომლითაც ფუნქციონერებს კრიპტოვალუტა, გაცილებით უფრო ძველია. მის შესახებ პირველი

15 ზარანდია თ., სანივთო სამართალი მეორე შევესებული გამოცემა, გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ. 203-205

16 Sarel R., Property Rights in Cryptocurrencies: A Law and Economics Perspective, North Carolina Journal of Law & Technology, Vol. 22, Issue 3, 2021, 393.

17 Babie P., Brown D., Catterwell R., Giancaspro M., Cryptocurrencies as Property: Ruscoe and Moore v Cryptopia Limited d (In Liquidation), 4

18 Norrridge R., Moir A., Morgan C., GROWING BODY OF COMMON LAW DECISIONS THAT CRYPTOCURRENCIES CAN AMOUNT TO PROPERTY: RUSCOE v CRYPTOPIA LIMITED (IN LIQUIDATION) CIV-2019-409-000544 [2020] NZHC 728, 18May 2020.

19 AA v. Persons Unknown [2019] EWHC 3556 (Comm)

სტატია გამოქვეყნდა 1976 წელს.<sup>20</sup> მოგვიანებით სტიუარტ ჰაბერმა და სკოტ სორნოტმა გამოაქვეყნეს ნაშრომები კრიპტოგრაფიულად დაცული ჯაჭვის შესახებ, ხოლო 2008 წელს სატოში ნაკამოტოს ფსევდონიმით ინტერნეტში განთავსდა სტატია ბლოკჩეინზე და ბლოკჩეინზე დაფუძნებული კრიპტოვალუტის - ბიტკოინის შესახებ.<sup>21</sup>

ბლოკჩეინი შედგება ორი სიტყვისგან, კერძოდ, ბლოკი (block), რომელიც ასახავს იმ ფორმას, რომელშიც მონაცემები არსებობს მონაცემთა ბაზაში და „ჯაჭვი“ (chain), რომელიც აღნიშნავს პროცესს თუ როგორ იქმნება მონაცემთა ბაზა. ერთად აღებული, "ბლოკჩეინი" ასახავს მონაცემთა ბაზის სტრუქტურას, რომლითაც მონაცემთა ელექტრონული ბლოკები გაერთიანებულია.<sup>22</sup> ამავე დროს, ბლოკჩეინი არის თვითორგანიზებადი, მუდმივად მზარდი სისტემა, რომელიც წინასწარ განსაზღვრული პრინციპებით ქმნის ბლოკების ჯაჭვს, სადაც თითოეული ტრანზაქცია შეიძლება იყოს სხვადასხვა საქონელის, ფულისა თუ ინფორმაციის მოძრაობა.<sup>23</sup>

ბლოკჩეინის სტრუქტურა ორელემენტია, კერძოდ შედგება ჰეშისგან და წინა ჰეშისგან, ხოლო თავად ჰეში შედგება სპეციალური კრიპტოალგორითმისგან.<sup>24</sup> აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ნებისმიერი ინფორმაციის ჰეშირება. ჰეშს, კი, თავისი უნიკალურობიდან გამომდინარე, ხშირად თითის ანაბეჭდს უწოდებენ.<sup>25</sup> ჰეშის საშუალებით თითოეული ბლოკი უნიკალურია, ყოველი ბლოკი გარდა პირველი ბლოკისა შეიცავს ინფორმაციას როგორ საკუთარი

ბლოკის ჰეშის, ასავე წინა ბლოკის ჰეშის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეილება ითქვას, რომ ბლოკჩეინი არის მონაცემთა სპეციალური სტრუქტურა, რომელშიც იქმნება ბლოკები, ხოლო თითოეული ბლოკი თავის წინამორბედ ბლოკში დაცულ ინფორმაციას შეიცავს, ასევე იგი ამონმებს წინა ბლოკის შინაარსს. ამდენად, ბლოკჩეინი არის უნიკალური ბლოკების, ჰეშების ერთობლიობა, ჯაჭვი.

ბლოკჩეინში თითქმის შეუძლებელია ტრანზაქციების ისტორიის ნაშლა/შეგლა. სისტემა მას თავადვე აღადგენს ქსელის სხვა მონაწილეების სისტემების გამოყენებით, ხოლო არასასურველი ცვლილება ავტომატურად ანუღირდება. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბლოკჩეინის წესები მათემატიკურადაა გამყარებული, რაც იმას ნიშნავს, რომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში იმის გასარკვევად მცდარია თუ არა რომელიმე ტრანზაქცია არ არის საჭირო რომელიმე ცენტრალური ორგანოს ჩარევა.<sup>26</sup>

აღსანიშნავია, რომ კრიპტოვალუტის სისტემაში მომხმარებელს აქვს ორი, კერძოდ საჯარო და კერძო/პირადი გასაღები. საჯარო გასაღები/ინფორმაცია ცნობილია ყველა მომხმარებლისთვის, ხოლო კერძო/პირადი გასაღების შესახებ ინფორმაციას ფლობს მხოლოდ მისი მესაკუთრე. ტრანზაქციის დროს ფულის გამგზავნი ფულს აგზავნის საჯარო მისამართზე, ხოლო მიმღებს ფულის მიღება შეუძლია თავისი კერძო გასაღებით ტრანზაქციის დადასტურების შემთხვევაში. მას შემდეგ, რა მომხმარებელი პირადი გასაღებით დადასტურებს გზავნილის მი-

20 ჩიჩალავა მ. ბლოკჩეინის სისტემის ფუნქციონირების ცალკეული კერძო სამართლებრივი ასპექტები, თსუ-ის სამართლის ჟურნალი №2, თბილისი, 2021, გვ. 180

21 Nakamoto S., Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System, 2008, 1-8,

22 Ross P. Buckley, Anton N. Didenko, Mia Trzeciński, Blockchain and its Applications: A Conceptual Legal Primer, Journal of International Economic Law, 2023, 26, 366

23 კოტრიკაძე ქ., ყიფშიძე დ., ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, როგორც თვითორგანიზებადი სისტემა,

ჟურნალი ავტომატური კონტროლის სისტემები, №1(28)2019, თბილისი, 2019, გვ. 165.

24 Nakamoto S., Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System, Decentralized Business Review, October, 2008, 2.

25 კოტრიკაძე ქ., ყიფშიძე დ., ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, როგორც თვითორგანიზებადი სისტემა, ჟურნალი ავტომატური კონტროლის სისტემები, №1(28)2019, თბილისი, 2019, გვ. 167.

26 კოტრიკაძე ქ., ყიფშიძე დ., ბლოკჩეინ ტექნოლოგიები, როგორც თვითორგანიზებადი სისტემა, ჟურნალი ავტომატური კონტროლის სისტემები, №1(28)2019, თბილისი, 2019, გვ. 166.

ლებას კრიპტოვალუტის მომხმარებელთა ჯგუფში გახდება ცნობილი, რომ კრიპტოვალუტას ახალი მესაკუთრე ჰყავს.<sup>27</sup> დადასტურებული ტრანზაქციით მტკიცდება განხორციელებული ტრანზაქციის ნამდვილობა და ბლოკჩეინში იქმნება ახალი ბლოკი ახალი ჩანანერი სახით. იმ შემთხვევაში თუ იმავე ვალუტის გამოყენებით იგივე მომხმარებელი კვლავ შეედება სხვისთვის კრიპტოს გადარიხვას სხვა მომხმარებელი არ დაადასტურებს აღნიშნულ ტრანზაქციას, შესაბამისად, ამით აღმოიფხვრება ორმაგი გადახდის პრობლემა.

## 2.2 ჭკვიანი კონტრაქტის ცნება

ჭკვიანი კონტრაქტები წარმოადგენს პროგრამულ უზრუნველყოფას და შედგება სამი ნაწილისგან ესენია: გამოთვლითი კოდი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ლოგიკას, შეტყობინებების ერთობლიობა, რომლის მიღებაც სმარტ კონტრაქტს შეუძლია და არის ის მოვლენები, რომლებიც ააქტიურებენ კონტრაქტს და ფუნქციების ერთობლიობა, რომელიც გაააქტიურებს კონტრაქტის ლოგიკით გათვალისწინებულ რეაქციებს.<sup>28</sup>

სმარტ კონტრაქტები ბლოკჩეინის კონტექსტში განიხილება თვითშესრულებად შეთანხმებებად, რომლებიც გარდაიქმნება კომპიუტერულ კოდეზად<sup>29</sup> და მიზნად ისახავს პირობითი "თუ" და "მაშინ" ინსტრუქციებზე დაფუძნებული ამოცანების ავტომატიზაციას. გონიერი კონტრაქტი ინახება დეცენტრალიზებულ ბლოკჩეინში<sup>30</sup>. ბლოკჩეინ ტექნოლოგია, კი, იძლევა

გარანტიას, რომ კონტრაქტი არ შეიძლება შეიცვალოს, მოხდეს მისი ინტერპრეტირება რომელიმე მხარის მიერ ან შეწყვიტოს არსებობა.<sup>31</sup>

ჭკვიანი კონტრაქტი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მრავალი მიმართულებით მათ შორის ტოკენიზაციის, კრიპტოვალუტასთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში თუ სხვადასხვა ბიზნეს პროცესებში.<sup>32</sup> ამ დროისთვის არ არსებობს ჭკვიანი კონტრაქტების კლასიფიკაცია, თუმცა ხელშეკრულების გამოყენების ზოგადი სტანდარტიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოიყოს ჭკვიანი კონტრაქტების შემდეგი სახეები: ქონებრივი ურთიერთობის კონტროლი (ციფრული აქტივების გატარება, ციფრული ოპერაციების ფლობა), ციფრული მომსახურება (ბირჟაზე ვაჭრობა, აუქციონში მონაწილეობა და სხვა), სასესხო ვალდებულებები, სოციალური მომსახურება, მინოდების მართვა.<sup>33</sup>

განსხვავდება მიდგომები გონიერ/ჭკვიან კონტრაქტს დაკავშირებით კომპიუტერული მეცნიერები ხშირად იყენებენ ტერმინს კონტრაქტი, თუმცა არა იმ დატვირთვით როგორც იურისტები. იურისტებისთვის „კონტრაქტი“ გულისხმობს კონკრეტულ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას, მაშინ, როდესაც კომპიუტერულ მეცნიერებს აქცენტი აქვთ გაკეთებული კომპიუტერულ კოდზე, რომელიც შექმნილია გარკვეული ამოცანების შესასრულებლად იმ შემთხვევაში თუკი წინასწარ განსა-

27 Jiang W., Public Key Encryption, Georgetown Law Technology Review, Vol. 1, 2016, 105.

28 PINNA A., IBBA S., BARALLA G., TONELLI R., MARCHESI M., A Massive Analysis of Ethereum Smart Contracts. Empirical study and code metrics, IEEE Access, 2019, 2173

29 Raskin M., The Law and Legality of Smart Contracts, Georgetown Law Technology Review, vol. 1:2, 2017, 309.

30 Jaiswal, M. Cryptocurrency an Era of Digital Currency. International Journal Of Creative Research Thoughts, 8(1), 2020, 60-70.

31 Mik E., Smart Contracts: Terminology, Technical Limitations and Real World Complexity, Law, Innovation & Technology, № 9.2, 2017, 379.

32 Lyons T., Courcelas L., Timsit K., Legal and regulatory framework of blockchains and smart contracts, the European union blockchain observatory and forum, 2019, 21.

33 გაბისონია ზ., გონიერი კონტრაქტის” (Smart Contract) სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, №3, თბილისი, 2020, გვ. 45-46

ზღვრული პირობები დაკმაყოფილებულია. ასეთი ამოცანები ხშირად ჩართულია და სრულდება განაწილებული ტექნოლოგიით.<sup>34</sup>

ამდენად, ჭკვიანი კონტრაქტები აყალიბებს და იცავს სახელშეკრულებო პირობებს. იგი დაფუძნებულია მნიშვნელოვან იურიდიულ ელემენტებს მაგალითად, როგორცაა აქცეპტი, ოფერტი, ხელშეკრულების ობიექტის სამართლებრივი მდგომარეობა და სხვა. აღნიშნულ ელემენტები გარდაიქმნებიან კოდში. აღნიშნული, კი, ჭკვიან კონტრაქტს აძლევს შესაძლებლობას შესრულდეს სახელშეკრულებო პირობები შუამავლის/მესამე პირის მონაწილეობის გარეშე.<sup>35</sup>

### 3. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები

#### 3.1 სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა

ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულება, რომელიც არის სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგი.<sup>36</sup>

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებულია ვალდებულების შესრულებაზე. სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამოქალაქო კოდექსის თავისებურებას, კი, წარმოადგენს ის, რომ კოდექსი ყურადღებას ამახვილებს/ორიენტირებულია ვალდებულების შესრულებაზე და არა მისი შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობაზე,<sup>37</sup> თუმცა ხელშეკრულების მხარისთვის შესრულე-

ბასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია სამართლებრივი ბერკეტ(ებ)ის არსებობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოხდეს უფლებრივი/ქონებრივი რეაბილიტაცია და საჭიროების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება. (სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი შეუძლებელია პირველადი მდგომარეობის აღდგენა ან იგი დაკავშირებული იქნება არამართლზომიერ ხარჯებთან, მაშინ უნდა მოხდეს მიყენებული ზიანის ფულით კომპენსირება (სსკ-ის 409-ე მუხლი)).

#### 3.2 არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა

არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუკი მხარეთა შორის ურთიერთობა არ არის მონესრიგებული ხელშეკრულების საფუძველზე,<sup>38</sup> შესაბამისად, იგი ვლინდება მაშინ, როდესაც ირღვევა ის არა ხელშეკრულების, არამედ კანონის ნორმა, რომლის შესრულებითაც უზრუნველყოფს პირთა ქონებრივი თუ არაქონებრივი ინტერესების (სახელი, პატივი, ღირსება, საკუთრების უფლება და სხვა) დაცვას.<sup>39</sup>

არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა გამომდინარეობს დელიქტის, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან (სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი), უფლების დარღვევას, კი, მოჰყვება

34 "Whitepaper: Smart Contracts and Distributed Ledger – A Legal Perspective" (New York: International Swaps and Derivatives Association, 2017, 4-5, cited Stark j., "Making sense of blockchain smart contracts" (2016),

35 Ballaji N., Smart Contracts: Legal Implications in the Age of Automation, Beijing Law Review, 2024, 15, 1015-1032, 1016.

36 თოდუა მ. ჰ. ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 15.

37 ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005, გვ. 4.

38 კვანტალიანი ნ., მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N2(33)'12, თბილისი, 2012, გვ. 5

39 ჩიტოშვილი თ., „დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი“, მართლმსაჯულება N1, თბილისი, 2008, გვ. 49.

შესაბამისი სანქცია, რომლის მიზანია დარღვეული უფლების აღდგენა და მისი კომპენსირება.<sup>40</sup>

არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისთვის დამახასიათებელია ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება. იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს ზიანისა და დაზარალებულს შორის, რომლის დარღვევასაც შესაძლებელია მოჰყოლოდა ზიანის მიყენება, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა რომ დადგეს დაზარალებულმა უნდა განიცადოს რეალური დანაკლისი, უფლების შელახვა<sup>41</sup>.

სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს რეგრესული პასუხისმგებლობა, რომლის დროსაც პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება იმ მესამე პირისგან, რომელიც მის წინაშეა ვალდებული.<sup>42</sup> ერთი მხრივ, დასრულებულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა რა დროსაც პირი ანაზღაურებს იმ ზიანს, რომელიც კრედიტორს მიადგა, ხოლო მეორე მხრივ არსებობს ახალი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელზე დაყრდნობითაც ახალი კრედიტორს შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს იმ თანხის უკან დაბრუნება, რომელიც თავდაპირველ კრედიტორს თავად აუნაზღაურა.<sup>43</sup>

#### 4. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით

##### 4.1 კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა

კრიპტო ვალუტასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო სამართლის როლი ვლინდება

კრიპტოს გაცვლის ხელშეკრულებასთან, სავაჭრო ბირჟებთან და პლატფორმებთან დაკავშირებით.

პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, სადა შეფასებულია სახელშეკრულებო და სამართლის ნდობის პრინციპები არის **B2C2 Ltd v Quoine Pte Ltd**.<sup>44</sup> აღნიშნულ საქმეში მოსარჩელეს წარმოადგენდა **B2C2 Ltd** ელექტრონული ბაზრის მწარმოებელი კომპანია, ხოლო მოპასუხე გახლდათ **Quoine**, რომელიც იყო სინგაპურში რეგისტრირებული კრიპტოვალუტის გამცველი პლატფორმა. პროგრამული უზრუნველყოფის არასწორი ქმედების გამო, ზემოთ აღნიშნული ტრანზაქციები შესრულდა კურსზე, რომელიც დაახლოებით 250-ჯერ აღემატებოდა ეთერიუმისა და ბიტკოინის ბაზრის გაცვლით კურსს, **B2C2**-ის ვაჭრობების სასარგებლოდ. მას შემდეგ, რაც **Quoine** შენიშნა განსხვავებული კურსით ვაჭრობა მან ტრანზაქციები გააუქმა. **B2C2** უთითებდა, რომ აღნიშნული ტრანზაქციები უნდა დარჩენილიყო ძალაში. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ პროგრამული ხარვეზი არ ამართლებდა ტრანზაქციების რევერსიას, რადგან ეს იყო ერთპიროვნული გაუქმება, რომელიც არღვევდა ხელშეკრულების პირობებს. აღნიშნული გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ კრიპტოვალუტის გაცვლის ხელშეკრულება ექვემდებარება სამოქალაქო სამართლებრივ მონესრიგებას. განამტკიცებს პრინციპს, რომ ხელშეკრულება უნდა შესრულდეს.

##### 4.2. გონიერი კონტრაქტი და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

სახელშეკრულებო სამართალში, როგორ უკვე აღინიშნა, სამოქალაქოსამართლებრივი

40 ბიჭია მ., კანონისმიერი და დელიქტური ვალდებულებითი, თბილისი, 2024, გვ. 44

41 დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2009, გვ. 54.

42 როგავა რ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და

მისი ხანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2013, გვ.18.

43 ბენაშვილი ქ., "სუბროგაციის პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი მიმართება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურებასა და ცესიასთან", სიფას ჟურნალი №5, თბილისი, 2018, გვ. 104

44 B2C2 Ltd v Quoine Pte Ltd

პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როდესაც მხარე დაარღვევს სახელშეკრულებო პირობას. ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, კი, პირს აქვს უფლება მოითხოვს დარღვეული უფლების აღდგენა.<sup>45</sup> გონიერი კონტრაქტის არსიდან გამომდინარე იგი ავტომატურად უნდა შესრულდეს. აღნიშნული კი კვეთს ჭკვიანი კონტრაქტის ერთ-ერთ უპირატესობას - ჭკვიანი კონტრასტის ავტომატური შესრულება შეუძლებელს ხდის მის არასათანადო შესრულებას<sup>46</sup> და თეორიულად არ უნდა დაირღვეს სახელშეკრულებო პირობა.

არსებობს ალბათობა იმისა, რომ ჭკვიანი კონტრაქტი შეიცავდეს კოდის შეცდომებს ან ხარვეზებს. კოდის შესრულებისას შესაძლებელია გამოვლინდეს გაუთვალისწინებელი გარემოებები და გავლენა მოახდინოს ჭკვიანი კონტრაქტის შესრულებაზე და შესაბამის სამართლებრივ შედეგებზე. აქვე ისმის კითხვა თუ ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ტექნიკური ხარვეზის, ე.წ. კოდის „ბაგის“ დროს გონიერი კონტრაქტის დარღვევისთვის ხელშეკრულების მხარეები თუ კონკრეტული დეველოპერი? პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა განსაკუთრებით რთულდება მაშინ, როდესაც არ არსებობს ქსელზე პასუხისმგებელი ცენტრალური იურიდიული პირი<sup>47</sup>. განიხილება ორი ტიპის პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში თუ კოდი გაუმართავია ან სმარტ კონტრაქტი არასრულყოფილია 1) გამკაცრებული პასუხისმგებლობა კოდის ნებისმიერ ხარვეზზე, და 2) პასუხისმგებლობა, რომელიც დაფუძნებულია გონივრულზრუნვის სტანდარტზე. გამკაცრებული პასუხისმგებლობის სტანდარტის მიხედვით, კოდის შემქმნელები შეიძლება პასუხისმგებელნი იყვნენ ნებისმიერი ხარვეზისათვის კოდში, რომელიც

გამოყენებულია სისტემის ფუნქციონირებისთვის.<sup>48</sup> ქართული კანონმდებლობით არ არის მონესრიგებული გონიერი კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი, რა ქმნის სამართლებრივ რეგულირების სიცარიელეს. ამ შემთხვევაში, საკითხის რეგულირების ერთ-ერთი გზა სამართლის და კანონის ანალოგიაა (სსკ-ის მე-5 მუხლი). შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუკი ვერ სრულდება გონიერი კონტრაქტი სამართლებრივი მდგომარეობის განსახილველად/შესაფასებლად გამოყენებულ უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობის დებულებები სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებისა და ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ფაქტია, რომ გონიერი კონტრაქტის არსებობის პირობებშიც შესაძლებელია დღის წესრიგში დადგეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისთვის<sup>49</sup>, თუმცა პრობლემას წარმოადგენს პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების სირთულე და სპეციალური მონესრიგების არარსებობა.

## 5. არასახელშეკრულებო სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

### 5.1 დელიქტური სამართალი და კრიპტოვალუტა

იურიდიულ დოქტრინაში განმტკიცებული მოსაზრების მიხედვით, ზიანი ის დანაკლისი, რომელიც პირს მიადგა და იგი გამოიხატება სა-

45 ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2001, გვ 434

46 Zainutdinova E., Legal Issues of Smart Contracts in Contract Law, Journal of Siberian Federal University. Humanities & Social Sciences, 2021, 1630.

47 Maydanyk R., Smart Contract on a Crypto Assets in the Civil Law and Common Law Jurisdictions: Implementation of Best Practices, Center for Open

Access in Science, Open Journal for Legal Studies, 2024, 7(2), 31.

48 European Commission (2018): Study on Blockchains: Legal, governance and interoperability aspects (SMART 2018/0038), European Commission 47-48.

49 Lyons T., Courcelas L., Timsit K., Legal and regulatory framework of blockchains and smart contracts, 2019, 24.

მართლებრივი სიკეთის ან უფლების ხელყოფით<sup>50</sup>. თავის მხრივ, დელიქტური სამართლის მიზანია იმ ზიანის აღმოფხვრა, რომელიც პირმა საკუთარი ბრალეული ქმედებით სხვა პირს მიყენა.<sup>51</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ უფლების დარღვევა აკმაყოფილებს დელიქტური პასუხისმგებლობის წინაპირობებს („1. თავად ზიანი, 2. პირის ქმედება, 3. მართლწინააღმდეგობა, 4. ბრალეულობა და 5. მიზეზობრივი კავშირი“<sup>52</sup>) იგი ჩაითვლება სამართლებრივი სიკეთის (მათ შორის ქონების) ხელყოფად.

ანგო-ამერიკულ სამართალში არსებობს მოსაზრება, ქონებრივი ზიანი, რომელიც მოჰყვება კრიპტოვალუტის ხელყოფას, შესაძლებელია, მოექცეს დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლებში.<sup>53</sup>

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, კრიპტო აქტივი, კრიპტოვალუტა საჯარო სამართლებრივი მიზნებისთვის არ წარმოადგენს ქონებას, თუმცა მიმაჩნია, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში იგი უნდა განიხილებოდეს როგორც საკუთრების უფლებით დაცული სამართლებრივი სიკეთე. კრიპტოვალუტის, როგორც ვირტუალური საკუთრების, ხელყოფა შესაძლებელია გამოიწვიოს კრიპტო საფულეზე უნებართვო შეღწევამ და საფულეზე არსებული ქონებრივი აქტივის მითვისებამ. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კრიპტო აქტივის/ვალუტის ხელყოფა და გამოიკვეთება სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობები, მაშინ დღის წესრიგში დადგება დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ერთ-ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება **AA v Persons**

**Unknown**, რადგანაც ინგლისისა და უელსის სამართლებრივმა დაადგინეს, რომ კომპიუტერული ვირუსის ე.წ. **Ransomware**-ის მოთხოვნის შესაბამისად გადახდილი კრიპტოვალუტა არის ქონებრივ დანაკლისი, წარმოადგენს ზიანს და იგი უნდა მოექცეს დელიქტური პასუხისმგებლობის ჩარჩოებში.<sup>54</sup>

კრიპტო ვალუტით ვაჭრობის დროს მომსახურების გამწვევი პირები მომხმარებლებს ვაჭრობასთან ერთად სთავაზობენ ონლაინ საფულეებს კრიპტოს განსათავსებლად. მაშინ, როდესაც მომხმარებელი სარგებლობს შეთავაზებით და თავის აქტივს დებს ონლაინ საფულეზე არსებობს რისკი იმისა, რომ სერვისის პროვაიდერს არ ჰქონდეს მიღებული სათანადო უსაფრთხოების ზომები. აღნიშნულმა, კი, შესაძლებელია, გამოიწვიოს კრიპტო საფულეზე უნებართვო/უკანონო შეღწევა და აქტივის მითვისება. მოცემულ შემთხვევაში დელიქტური პასუხისმგებლობა, შესაძლებელია დადგეს გაუფრთხილებლობითვის<sup>55</sup>.

სამოქალაქო სამართლებრივი სტაბილურობისთვის აუცილებელია, რომ კრიპტოვალუტა ექცეოდეს სამართლებრივ ჩარჩოებს და სუბიექტს სხვადასხვა მექანიზმით, მათ შორის დელიქტური სამართლით შეეძლოს ხელყოფილი უფლების აღდგენა.

## 5.2 კრიპტოვალუტა და შესრულების კონდიცია

შესრულების კონდიცია მიემართება არანამდვილი ხელშეკრულებით მიღებულის უკან დაბრუნებას და, შეიძლება ითქვას, რომ იგი გვე-

50 ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, გვ. 378

51 რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, გვ. 197.

52 სვანაძე ი., ზიანის ანაზღაურების წინაპირობები დელიქტური გენერალური დათქმის მიხედვით,

შედარებითი სამართლის ჟურნალი, 4/2022, თბილისი, 2022, გვ. 30.

53 Stafford A., Chapman-Booth J., Technology & the law: when worlds collide, New Law Journal, Vol. 171, Issue 7952, 2021, 11-12

54 In AA v Persons Unknown [2019] EWHC 3556

55 Sarel R., Property Rights in Cryptocurrencies: A Law and Economics Perspective, North Carolina Journal of Law & Technology, Vol. 22, Issue 3, 2021



ვლინება სახელშეკრულებო სამართლის დანამატად.<sup>56</sup> უსაფუძვლო გამდიდრების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ სარგებლის მიღება ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვის ხარჯზე.<sup>57</sup> ამავე დროს, პირი სარგებელს იღებს შესრულებით, ამავე დროს პირს შესრულების დროს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი ზრდის სხვის ქონებას.<sup>58</sup>

კრიპტო ვალუტასთან მიმართებით შესრულების კონდიქცია შესაძლებელია გამოსაყენებელი იყოს მაშინ, როდესაც ტრანზაქციის დროს ვირტუალური აქტივი შეცდომით იქნება გადარიცხული. იმ შემთხვევაში, თუკი ტრანზაქციის შეცდომა განპირობებულია შეთანხმების შინაარსიდან ან მხარეთა ქმედებიდან, მაშინ, სათანადო წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებელია, კრედიტორმა შესრულების კონდიქციის გამოყენებით „დაკარგული სარგებელი“ უკან დაიბრუნოს.

პრობლემას წარმადგენს შემთხვევა, როდესაც შეცდომა განაპირობა კომპიუტერულმა კოდმა (მაგალითად, ჭკვიანი კონტრაქტის შემთხვევაში). აქვე ჩნდება კითხვა თუ ვისკენ არის მიმართული კონდიქციის კრედიტორის მოთხოვნა ღირებულების ანაზღაურებასთან ან ქონების უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით კოდის დეველოპერს თუ ხელშეკრულების/ურთიერთობის მხარეს? ასევე, საკითხავია, შესაძლებელია კი შესრულების კონდიქციის საფუძველზე მოთხოვნის დაყენება? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კიდევ უფრო რთულდება, მაშინ როდესაც ტრანზაქციაში მონაწილეთა ვინაობა ანონიმურია (კრიპტოვალუტის ტრანზაქციის დროს გაგზავნისა და მიმღების ვინაობა უცნობია ტრანზაქციაში ჩაბმული ორივე მხარისთვის), შესაბამისად, კრედიტორისთვის უცნობია თუ ვინ არის უსაფუძვლოდ გამდიდრებული

და მის მიმართ უნდა დააყენოს მოთხოვნა მიღებული სარგებლის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ თუ შეცდომა განაპირობა კომპიუტერულმა კოდმა კოდის შემქმნელის მიმართ კონდიქციური მოთხოვნის დაყენება არ იქნება გამართლებული, რადგანაც კოდის შემქმნელი არ გამდიდრებულა კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე. შესაბამისად, მსგავს შემთხვევაში შესრულების კონდიქციის გამოყენების წინაპირობები არ არსებობს. შესაბამისად, განხილულ შემთხვევაში თუკი შესაბამის დათქმას ითვალისწინებს ხელშეკრულება (მაგალითად კრიპტოვალუტის გაცვლის ხელშეკრულება) სადაო საკითხი უნდა გადაწყდეს სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ან გენერალური დელიქტით.

### 5.3 Duty Of Care

კრიპტო ვალუტით ვაჭრობისთვის, ასევე აქტივის ვირტუალურ საფულეზე განსათავსებლად მომხმარებლები იყენებენ სხვადასხვა პლატფორმას. კრიპტოვალუტის პოპულარიზაციამ და სხვადასხვა სავაჭრო ბირჟის გამოჩენამ გამოკვეთა საჭიროება რეგულირებისა და უსაფრთხოების ზომების არსებობის შესახებ. ვინაიდან, კრიპტოვალუტის საფულეები და ამავე დროს სხვადასხვა ბირჟა ხშირად გამხდარა კიბერთავდასხმის ობიექტი. იმ შემთხვევაში თუ სერვისის პროვაიდერს არ ჰქონდა მიღებული უსაფრთხოების სათანადო ზომები ის შესაძლებელია პასუხისმგებელი გახდეს გაუფრთხილებლობისთვის ან გულისხმიერების ვალდებულების დარღვევისთვის (**Duty of Care**). აღნიშნული, კი, განპირობებულია იმით, რომ ვირტუალურ საფულეზე კრიპტოს განთავსებით აქტივის მესაკუთრე სერვისის პროვაიდერს დროებით გადასცემს კრიპტოს<sup>59</sup>. გულისხმიერების ვალდე-

56 რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი, შესრულების კონდიქცია, თბილისი, 2017, გვ. 83

57 ჩიტომვილი თ., ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრების საფუძველი, ყურნალი მართლმსაჯულება, N2, თბილისი, 2008, გვ. 92

58 რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 91

59 ჟორჟოლიანი გ., სადისერტაციო ნაშრომი - კანონისმიერი ვალდებულებითი სამართალი როგორც ინტერნეტ სივრცეში წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი, თბილისი, 2023, გვ. 102.

ბულება (Duty of Care) ანგლო-ამერიკულ სამართალში დელიქტური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ელემენტია, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში მისი გამოყენება ქართულ სამართალში დასაშვებად უნდა იყოს მიჩნეული<sup>60</sup>.

განსახილველ შემთხვევაში მნიშვნელოვანი მიმოვიხილო საქმე **Fabian v. LeMahieu**. დავის მხარეები იყვნენ ერთ-ერთი კრიპტოვალუტის შემქმნელი კომპანია **Nano** და გამცვლელი ოპერატორის **BitGrail**. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს არ ჰქონდა მიღებული შესაბამისი კიბერუსაფრთხოების ზომები, რამაც ჰაკერული თავდასხმის დროს გამოიწვია 170 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების მქონდა კრიპტოვალუტის დაკარგვა. მოცემულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ დელიქტის ყველა წინაპირობა გამოკვეთილი იყო და დავის გადაწყვეტისთვის გამოიყენა დელიქტური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები.<sup>61</sup>

### დასკვნა

კრიპტო ვალუტა გვევლინება XXI საუკუნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად, რომელიც ექცევა სხვადასხვა სფეროს, მათ შორის, სამართლის ყურადღების ობიექტში. სტატაში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კრიპტოვალუტა და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, გარკვეულ შემთხვევაში ექცევა უკვე არსებული სამართლებრივი რეგულაციების ფარგლებში, ხოლო რიგი საკითხები საჭიროებს ახალ სამართლებრივი მოწესრიგებას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე წინამდებარე კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების შეჯამება შესაძლებელია შემდეგი დასკვნითი თეზისების სახით:

1) კრიპტოვალუტას, თავისი ბუნების გათვალისწინებით, აქვს ფულის ნიშნები, მაგრამ ფულის ტრადიციული განმარტებიდან გამომდინარე იგი არ ექცევა ფიატის ცნების ფარგლებში,

ვინაიდან კრიპტოვალუტა დეცენტრალიზებულია და არ არის გამოშვებული ეროვნული ბანკის ან სხვა საჯარო დაწესებულების მიერ.

2) კრიპტოვალუტას აქვს საკუთრებისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც ქმნის საფუძველს, იმისა, რომ იგი დაცული უნდა იყოს საკუთრების უფლებებითაც. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ნაშრომში განხილული სასამართლო პრაქტიკა.

3) **B2C2 Ltd v Quoine Pte Ltd** გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ კრიპტოვალუტის გაცვლის ხელშეკრულება ექვემდებარება სამოქალაქო სამართლებრივ მოწესრიგებას და პროგრამული ხარვეზი არ ამართლებს ტრანზაქციების რევერსიას, რადგან იგი არის ერთპიროვნული გაუქმება, რომელმაც შესაძლოა დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები.

4) ქართულ სამართალში არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც დაარეგულირებს კრიპტოვალუტას, განსაზღვრავს მის რაობას და ერთგვარ ჩარჩოს შექმნის მასთან დაკავშირებული ურთიერთობებისთვის. რეგულირების საჭიროება, კი, თანდათან იკვეთება, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც საქართველოში იზრდება კრიპტოვალუტით მოვაჭრეთა რაოდენობა და ვხვდებით ქართულ სავაჭრო ბირჟებს. მართალია, სახელმწიფო ვერ ჩაერევა კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში, თუმცა კანონმდებელმა იმგვარად უნდა მოაწესრიგოს საკანონმდებლო სივრცე, რომ კრიპტოს მომხმარებლებმა შეძლონ საკუთარი, მათ შორის სამოქალაქო სამართლებრივი, უფლებების დაცვა და რეალიზება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და მომხმარებელთა დაცვის სამართალი გადახალისდეს კრიპტოვალუტასთან მიმართებით.

5) სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ პი-

60 რუსიაშვილი გ., „სუფთა ქონებრივი ზიანი“ - გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუდამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 4/2019, თბილისი, 2019, გვ. 4-5.

61 **Fabian v. LeMahieu**, CASE NO. 19-cv-00054-YGR (N.D. Cal. Oct. 4, 2019)

რმა შეძლოს მიყენებული ქონებრივი დანაკლისის აღდგენა. კრიპტოვალუტასთან მიმართებით, კი, უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია პასუხისმგებელი პირის გაგება, ვინაიდან, როგორც ნაშრომში აღინიშნა, ანონიმურობიდან გამომდინარე რთულია განსაზღვრა იმისა თუ ვინ დგას კონკრეტული ტრანზაქციის უკან. იმისთვის, რომ პირი არ გაექცეს პასუხისმგებლობას, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში არსებული სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები უფრო მეტად იყოს მოქნილი და მორგებული კრიპტოვალუტის მახასიათებლებს.

6) კრიპტოვალუტების ინდუსტრიის განვითარებამ გააჩინა მოთხოვნა ავტომატიზებულ ხელშეკრულებებზე. აღნიშნული ხელშეკრულების მიზანია ადამიანის ჩარევის გარეშე შესრულდეს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებები. გონიერი ხელშეკრულება, როგორც წესი უნდა შესრულდეს, თუმცა შესაძლებელია, გამოიკვეთოს ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა კოდის შეცდომა. კონკრეტული შე-

მთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დადგეს დეველოპერის პასუხისმგებლობის საკითხიც.

7) სტატიაში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ დელიქტური სამართალი, სათანადო გარემოებების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია აქტიურად გამოიყენებოდეს კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით. ასევე, გადაწყვეტილებების ანალიზმა ცხადყო, რომ კოდზე ჰაკერული თავდასხმაც უნდა იქნეს განხილული, როგორც დელიქტური ქმედება და დამდგარი ზიანი უნდა ანაზღაურდეს.

8) ქართულ სამართალში მნიშვნელოვანია დამკვიდრდეს კრიპტოვალუტასთან დაკავშირებული დელიქტური პასუხისმგებლობა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ე.წ. „Duty Of Care“- ის ვალდებულება.

9) შესრულების კონდიქციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კრიპტოვალუტასთან მიმართებით იგი ვერ იქნება გამოყენებული მაშინ, როდესაც შეცდომა განპირობებულია ტექნიკური ხარვეზით.

**► პარლამენტის წევრისთვის სამენარმეო საქმიანობის შეუთავსებლობა მოიაზრებს ამ საქმიანობის არა მხოლოდ ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით), არამედ მის ფაქტობრივ განხორციელებასაც**

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №1/2/378)*

*საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლი (ძველი რედაქცია), მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 1 I 2, 8 I და III ბ), 9 I და III ბ) მუხლები (2006 წლის რედაქცია)*

ფაქტობრივი გარემოებები: დავის საგანი ეხება “ვალერი გელაშვილისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას”, საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის დადგენილების კონსტიტუციურობას, საქართველოს კონსტიტუციის 53 I, II და 54 II დ) მუხლებთან მიმართებით.

მოსარჩელე ვალერი გელაშვილი იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და სადავო დადგენილებით მას ვადამდე შეუწყდა სადეპუტატო უფლებამოსილება, ვინაიდან საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელემ, განათლებისა და მეცნიერების მაშინდელ მინისტრს, შესთავაზა შპს “ევრას” მეშვეობით, რომლის ერთადერთი პარტნიორი და 100%-იანი წილის მფლობელიც

თავად იყო, ავლაზრის ტერიტორიაზე 84-ე საშუალო სკოლის ძველი შენობის ნაცვლად ახლის აშენება. ამავე მიზნით აწარმოებდა მოლაპარაკებებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წარმომადგენლებთან. მოპასუხე მხარე ასაბუთებდა, რომ მოსარჩელე, მაშინდელ მინისტრთან საქმიან მოლაპარაკებებს აწარმოებდა შპს “ევრას” სახელით, რაც ემსახურებოდა ამ კომპანიის მიზნებს, რათა შემდგომ, სკოლის შენობის განკარგვაზე უფლებამოსილი კომპეტენტური ორგანოს მიერ საკითხის განხილვისას, არ წამოჭრილიყო რაიმე პრობლემა. ამ ქმედებებით იგი ცდილობდა შპს “ევრასათვის” შეექმნა ხელსაყრელი ბიზნესპირობები. ამასთან, პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებლად უნდა იქნეს მიჩნეული არა მხოლოდ ისეთი ფორმალური ნიშნის არსებობა, როგორცაა პარლამენტის წევრის მიერ დირექტორის თანამდებობის ოფიციალურად დაკავება, არამედ დეპუტატის მიერ იმ უფლებამოსილებების ფაქტობრივად განხორციელება, რაც გააჩნია საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრს (დირექტორს), ვინაიდან მის მიერ სამენარმეო საქმიანობის ფაქტობრივი განხორციელება, რაც ძირითადად ფარულ ხასიათს ატარებს, თავისი შინაარსით უფრო მეტი საფრთხის მატარებელია, ვიდრე ღია და დეკლარირებული კანონდარღვევა დირექტორის თანამდებობის დაკავების სახით. საქართველოს პარლამენტმა დადასტურებულად მიიჩნია მოსარჩელის მიერ კონსტიტუციის 53 I მუხლით, საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის

შესახებ კანონის 8 I და III ბ) მუხლითა და ასევე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 9 I და III ბ) მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება. საქართველოს კონსტიტუციის 54 II დ) მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 7 II დ) მუხლის შესაბამისად კი ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება.

საქმესთან დაკავშირებით წერილობითი დასკვნა-ინფორმაცია წარმოადგინა სპეციალისტად მოწვეულმა გერმანელმა პროფესორმა ჰანს-ფეთერ შნაიდერმა. მისი აზრით, მოსარჩელი-სათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შესაწყვეტად უნდა დამტკიცდეს, რომ მან სკოლის ახალი შენობის მშენებლობაზე საუბრისას მხოლოდ გაკვრით კი არ ახსენა საკუთარი საწარმო, არამედ კონკრეტულად შესთავაზა ის შესაძლო სამშენებლო კომპანიის სახით, რაც ჩაითვლებოდა მის მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელებად.

*საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა:* სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ პარლამენტის წევრის საქმიანობაში, ინტერესთა შეუთავსებლობის მიზნიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სამენარმეო საქმიანობაში უნდა იგულისხმებოდეს მისი, როგორც კერძო-სამართლებრივი, ისე საჯარო-სამართლებრივი შინაარსი. სამენარმეო საქმიანობის სუბსტანციური კერძო-სამართლებრივი ცნება განსაზღვრულია მენარმეთა შესახებ კანონის 1 I 2 მუხლში. საქართველოს პარლამენტის წევრი, ამ შემთხვევაში მოსარჩელე ვ. გელაშვილი სამენარმეო საქმიანობას განახორციელებდა, თუკი იგი იქნებოდა ინდივიდუალური მენარმე. ამ სახით სამენარმეო საქმიანობის განხორციელებას დაუშვებლად მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის 8 III ა) მუხლი. როდესაც მენარმე იურიდიული პირია, შეუძლებელი და ალოგიკურია საწარმოს ხელმძღვანელი (წარმომადგენელი) განვიხილოთ მენარმედ, ვინაიდან უსაფუძვლოა საწარმო მისი დირექტორის, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის იდენტური იყოს. აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, მოსარჩელე

მის მიერ დაფუძნებული შპს “ევრას” დირექტორი რომ ყოფილიყო, მას მაინც ვერ მიიჩნევდნენ სამენარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირად, ვინაიდან დირექტორი ვერ ჩაითვლება მენარმედ. ამაზე მიანიშნებს დასახელებული კანონის 8 III ბ) მუხლი, რომელშიც საგანგებოდ ხაზგასმულია, რომ “მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი” სამენარმეო საქმიანობის სუბიექტის ხელმძღვანელია. ასეთი სუბიექტი კი, კერძო-სამართლებრივი გაგებით, საზოგადოებაა. რაც შეეხება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის პოზიციიდან გამომდინარე, სამენარმეო საზოგადოებაში დეპუტატის ხელმძღვანელობითი საქმიანობა შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ სამენარმეო საქმიანობად. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ კონსტიტუციის აღნიშნულ მუხლთან მიმართებით, შეიძლებოდა შეფასებულიყო მხოლოდ ფორმალური – მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე დანიშნული დირექტორის მოქმედება, და ასე უნდა განმარტებულიყო საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის 8 III ბ) მუხლის შინაარსი, რომელშიც იგულისხმება არა ფაქტობრივი, არამედ მხოლოდ ფორმალური დირექტორი, როგორც ხელმძღვანელი. ვინაიდან მოსარჩელე ვ. გელაშვილი არ ყოფილა შპს “ევრას” დირექტორი, ვერც მისი მოქმედება ჩაითვლებოდა დირექტორის მიერ განხორციელებულ მოქმედებად და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურად. მხარეთა მიერ წარმოდგენილი არც ერთი დოკუმენტიდან არ ჩანდა, რომ მოსარჩელე იყო შპს “ევრას” ფორმალური დირექტორი. შესაბამისად, მისი მოქმედება ვერ შეფასდებოდა, როგორც ფორმალური დირექტორის საქმიანობა. სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მიზნიდან გამომდინარე, მისი გონივრული განმარტება უნდა გულისხმობდეს დეპუტატის მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელების დაუშვებლობას არა მარტო ფორმალური – კანონის მოთხოვნათა საფუძველზე დანიშნული დირექტორის სახით, არამედ იმ პირის მიერაც, რომელიც, მართალია, არ არის დირე-

ქტორი, მაგრამ ფაქტობრივად ასრულებს დირექტორის ფუნქციას. ასე უნდა იქნეს გაგებული საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ კანონის 8 III ბ) მუხლის შინაარსი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ ტოვებდა უხარვეზო შთაბეჭდილებას და კიდევ გამხდარა არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის წყარო. როცა საუბარია დეპუტატის მხრიდან სამენარმეო საქმიანობის შეუთავსებლობაზე, მართლწესრიგისათვის მიუღებელია ამ საქმიანობის არა მარტო ჩვეულებრივი სახით (ფორმალური ნიშნების დაცვით) განხორციელება, არამედ ფაქტობრივი განხორციელებაც. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სამართალში ფორმას არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, იგი კონკრეტული შინაარსის მატარებელია და მართლწესრიგისათვის მთავარია ამ შინაარსის განხორციელება ან არგანხორციელება. როცა ეს შინაარსი სინამდვილედ იქცევა ფორმის გარეშე, ის ცხადია, ვერ იქნება მოკლებული შეფასებაუნარიანობას. როცა დაუშვებელ საქმიანობაზეა საუბარი, საჯარო წესრიგისათვის საზიანო იქნება ფაქტობრივი სინამდვილის იგნორირება და მხოლოდ იმისი აღიარება, რაც ფორმალურად არსებულია – ის, რაც ფორმის დაცვით მიუღებელია, ივარაუდება, რომ ფაქტობრივადაც მიუღებელია. როცა თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს სამენარმეო საზოგადოების დირექტორი, ივარაუდება, რომ მას ეკრძალება შესაბამისი ფაქტობრივი ხელმძღვანელობითი საქმიანობაც. სხვა შემთხვევაში, თანამდებობის პირებს შეეძლებოდათ, განეხორციელებინათ სამენარმეო საქმიანობა და ფორმის არარსებობის მოტივით ემართლებინათ თავი. სასამართლო კოლეგიამ ასევე იმსჯელა მუდმივმოქმედი ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფაქტობრივად განხორციელებაზე, რაც გულისხმობს არა უფლებამოსილი პირის მიერ ისეთი მოქმედების შესრულებას, რასაც, როგორც წესი, ახორციელებენ მენარმეთა შესახებ კანონის 9 I მუხლით გათვალისწინებული პირები. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, “ხელმძღვანელობით საქმიანობად მიიჩნევა მოქმედება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს.” ამდენად, საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არქონის გამო, თანამდებობის პირმა შეიძლება ფაქტობრივად განხორციელოს მუდმივმოქმედი ხელმძღვანელის ისეთი მოქმედებანი, რომლებიც თავისი შინაარსით საზოგადოების მიზნებს ემსახურება. კოლეგიას მოსარჩელის განცხადება რომ გაეზიარებინა, იმასთან დაკავშირებით რომ იგი არ მოქმედებდა შპს “ევრას” სახელით, მაშინ შეიქმნებოდა ამგვარი რეალობა – პარლამენტის წევრი სერიოზული განაშენიანების გეგმაზე ესაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, სთავაზობს ავარიული 84-ე საშუალო სკოლის შენობის ნაცვლად ახლის აშენებას, მაგრამ არ განმარტავს, თუ რა გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო აღნიშნული ჩანაფიქრი. იმ ტერიტორიაზე კი ახალი თანამედროვე კომპლექსის მშენებლობას იწყებდა შპს “ევრა”. შესაბამისად, იგი მოქმედებდა კომერციული ინტერესით და მის მიზანს წარმოადგენდა სკოლის ტერიტორიის დაუფლება, ამავდროულად, ეს ტერიტორია ყოფილა შპს “ევრას” ნაკვეთის გაგრძელებაზე. ვინაიდან შპს “ევრა” ამ შემთხვევაში მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს მინისტრთან შეხვედრისას მოსარჩელის დაინტერესება შპს “ევრასათვის” 84-ე საშუალო სკოლის ტერიტორიის გადაცემით და მის სანაცვლოდ სკოლისთვის ახალი შენობის აშენება. სხვანაირად, ერთმანეთთან შეუთავსებელი იქნებოდა შპს “ევრასა” და ვ. გელაშვილის, როგორც მისი ერთადერთი პარტნიორის ინტერესები - გარკვეული (კონკრეტული) ინტერესის საგანთან (როგორცაა 84-ე საშუალო სკოლა) ვ. გელაშვილს არაკომერციული მოტივი (ქველმოქმედება) ამოძრავებდა, ხოლო შპს “ევრას”, რომელშიც იგი ფლობს 100%-იან წილს - მოგების მიღების მიზანი. მაშასადამე, მოსარჩელე მოქმედებდა შპს “ევრას” სახელითა და მისი ინტერესებისათვის.

სასამართლოს კოლეგია აგრეთვე აღნიშნავს, რომ შესაბამის საჯარო მოხელეებს სამენარმეო საქმიანობისაკენ უბიძგებს სამენარმეო საზოგადოებებისადმი მათი, როგორც დამფუძნებელთა (პარტნიორთა) მხრიდან აშკარად მესაკუთრული დამოკიდებულება. ამის გამო, რომ

ხშირად საწარმოს მართვასა და ხელმძღვანელობაში უსაფუძვლოდ დომინირებს პარტნიორის ნება და იგი, სინამდვილეში, ასრულებს ფაქტობრივი დირექტორის ფუნქციას. დამფუძნებელი (პარტნიორი) და მის მიერ დაფუძნებული საზოგადოება სამოქალაქო ბრუნვის სრულიად დამოუკიდებელი სუბიექტებია. სამწუხაროდ, როგორც სადავო დადგენილებიდან ჩანს, საქართველოს პარლამენტსაც გაუჭირდა ამისი სრულად გაცნობიერება და იგი შპს "ევრას" მოიხსენიებს, როგორც ვ. გელაშვილის "საკუთრებაში არსებულ კომერციულ იურიდიულ პირს". ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან ასეთი შეფასება ყოველად დაუშვებელია და არ შეესაბამება მის მიერ მიღებული კანონების შინაარსს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ვალერი გელაშვილის კონსტიტუციური სარჩელი "ვალერი გელაშვილისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 31 მარტის დადგენილების კონსტიტუციურობის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის 53 I, II და 54 II დ) მუხლებთან მიმართებით.

*სოფიკო ზარანდია*

**► პიროვნების პირადი ცხოვრების უფლებამ, შესაძლოა, უკან დაიხიოს პრესის თავისუფლებასთან მიმართებით, ვინაიდან, ცალკეული გარემოებების შეფასებით დადგინდეს, რომ მასში ჩარევა ნაკლებად ინტენსიური იყო**

*საქმე: VI ZR 264/98 Federal Supreme Court, 6th Civil Senate (29.06.1999)*

*ფაქტობრივი გარემოებები:* მოსარჩელე, ჰანოვერის სახლის წარმომადგენელი და დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის პრინცი იყო, რომელიც ითხოვდა მოპასუხე, გერმანული საგამომცემლო კომპანიისგან, მისი განქორწინების შესახებ მოხსენების გარკვეული ნაწილების გამოქვეყნებისგან თავის შეკავებას, რისთვისაც სასამართლოსგან შესაბამისი ორდერი მოითხოვა.

მოსარჩელე განქორწინდა 1997 წლის 10 სექტემბერს. განქორწინების დოკუმენტებიდან, რომლებიც, ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით, ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია საზოგადოებასა და პრესისთვის, ირკვეოდა განქორწინების მიზეზი - პრინცმა მეუღლეს უღალატა. ეს ამბავი 1997 წლის 10-11 სექტემბერს ინგლისურმა გაზეთმა "Daily mail"-მა და ინგლისურმა საინფორმაციო სააგენტო Reuters-მა გამოაქვეყნეს. ამავე წლის 13 სექტემბერს კი აღნიშნული ამბავი მოპასუხე გერმანულ ჟურნალ "Das Neue"-ს ნომერში გამოაქვეყნეს, რაც მოსარჩელემ მის პიროვნულ უფლებაში ჩარევად მიიჩნია.

*სასამართლოს მსჯელობა:* პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე უარი თქვა მოპასუხისთვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ იხელმძღვანელა გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, ანუ იმ ტერიტორიის კანონმდებლობით, სადაც დაირღვა მოსარჩელის უფლებები, და განიხილა პუბლიკაციის მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც ასაჩივრებდა მოსარჩელე. შესაბამისად, იხელმძღვანელა გსკ-ის 823 I და 1004-ე პარაგრაფების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც მოპასუხეს თავი უნდა შეეკავებინა მოსარჩელის პიროვნების ზოგად უფლებაში ჩარევისაგან. განქორწინების მიზეზად ღალატის დასახელება მკითხველს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ის რეალურად მოხდა. ამგვარი განცხადება ძალიან საზიანო იყო მოსარჩელესთვის. სასამართლოს მიერ მოსარჩელის პიროვნული უფლებისა და საჯარო ინტერესის აუცილებელი დაბალანსებისას, მოსარჩელის პირადი სფეროს დაცვის ინტერესი უფრო აღმატებული იყო. საზოგადოების ინტერესი მოსარჩელის მიმართ, გამომდინარეობდა იქიდან, რომ ის უკანასკნელი გერმანელი კაიზერის შვილიშვილი იყო და ინტერესიც, არსებითად, მისი წინაპრების მნიშვნელობისა და პოზიციიდან გამომდინარეობდა, თუმცა ეს ვერ ამართლებდა მოპასუხეს, რომელმაც განქორწინების მიზეზი საჯაროდ გამოაქვეყნა. ის ვერ გამართლდება

ვერც იმ არგუმენტით, რომ მოსარჩელეს ურთიერთობა ჰქონდა მონაკოს პრინცესა კაროლინასთან, რომელიც აგრეთვე ცნობადი სახე იყო, ან იმის გამო, რომ მოსარჩელის განქორწინება მიმდინარეობდა საჯარო მოსმენაზე, სადაც განქორწინების მიზეზი პირდაპირ დასახელდა, და ვერც იმ არგუმენტით რომ განქორწინების საბუთები ისედაც ხელმისაწვდომია მესამე პირებისთვის. (ეს უკანასკნელი პუნქტი კი არ შეესაბამება გერმანიის სასამართლოების სტანდარტებს). სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ პუბლიკაცია წარმოადგენდა ჩარევას მოსარჩელის პირად, მაგრამ არა ინტიმურ სფეროში. ამ კატეგორიზაციას სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ახალი ამბების სიუჟეტში მხოლოდ ლალატის ფაქტი იყო დასახელებული, მაგრამ არა დეტალები ამის შესახებ, ეს უკანასკნელი კი მოცულია ინტიმური სფეროთი და არის აბსოლუტური უფლება. მოპასუხის სანიწაღმდეგოდ, განხილვის საგანს აგრეთვე წარმოადგენდა ის, რომ მოსარჩელის ლალატის შესახებ ცნობისადმი არ არსებობდა საზოგადოების რეალური ინტერესი, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა გერმანულ და ბრიტანულ თავადაზნაურობას, თუმცა ეს იურიდიული თვალსაზრისით არასწორია. ამგვარი გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ არ მიაქცია საკმარისი ყურადღება იმ ფაქტს, რომ პრესის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მხოლოდ მნიშვნელოვანი და „ღირებული“ ნაწილი არ არის მოცული პრესის თავისუფლების შესახებ ძირითადი კანონის 1 II პარაგრაფით. ეს თავისუფლება ასევე ვრცელდება ტაბლოიდური და სენსაციური პრესის სასარგებლოდ და, შესაბამისად მოცულია ისეთი ახალი ამბები, რომლებიც პირველ რიგში, აკმაყოფილებს მეტ-ნაკლებად ფართო მკითხველის ინტერესებს, რაც ძირითადად გართობას მიემართება. განსახილველ შემთხვევაში, დამატებით გარემოებას წარმოადგენს, რომ მომჩივანი იპყრობს ფართო მკითხველის ყურადღებას არა მხოლოდ მისი წარმომავლობის გამო, ასევე როგორც მონაკოს პრინცესა კაროლინას კომპანიონი, რომელიც გამუდმებით საჯარო დაკვირვების ქვეშაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მკითხველის

ინტერესი არ შეფასდება, როგორც განსაკუთრებით ღირებული, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის სანიწაღმდეგოდ, ამ ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს პრესის თავისუფლების უფლებიდან (რაც დემოკრატიული წესრიგისთვის აუცილებელია). სწორედ პრესის შემთხვევაში უნდა დასაბუთდეს ახალი ამბების გაშუქების თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ, მოპასუხისთვის საზიანოდ, ძალიან მცირე მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ განცხადება მოსარჩელის ლალატის შესახებ, შეიცავდა ნამდვილ ფაქტს. ასეთი განცხადება, თუნდაც ის არახელსაყრელი იყოს იმ პირისთვის, რომელსაც ის შეეხება, უნდა იყოს უფრო ადვილად მიღებული. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც არ ხდება განსაკუთრებულად ინტენსიური ჩარევა პიროვნების პირადი ცხოვრების უფლებაში, როგორც განსახილველ საქმეში განქორწინების ფორმალური საფუძვლის ზოგადი გამოცხადება იყო. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ინფორმაცია მოსარჩელის განქორწინებისა და მისი მიზეზის შესახებ, უკვე იყო გამოქვეყნებული საინფორმაციო სააგენტო “Reuters”-ისა და “Daily Mail”-ის მიერ, მოპასუხე გაზეთის მიერ მის გამოქვეყნებამდე. ამრიგად, ის უკვე ცნობილი გახდა უამრავი ადამიანისთვის, რომლებსაც აგრეთვე შეეძლოთ მისი გავრცელება. ეს კიდევ უფრო ამცირებს მოპასუხის ჩარევის ინტენსივობას მოსარჩელის პირად სფეროში.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ მხარეთა ძირითადი უფლებების დაბალანსებაზე მსჯელობა და ამგვარი გადაწყვეტა არ შეიძლებოდა უცვლელი დარჩენილიყო. სენატს შეეძლო იგი საბოლოოდ გადაეწყვიტა საკუთარი მსჯელობის საფუძველზე. შესაბამისად, მან მოსარჩელის პიროვნულ უფლებაში ნაკლები ინტენსივობით ჩარევის ფონზე, რომელი უფლებაც, ამ შემთხვევაში, უპირისპირდებოდა პრესის თავისუფლებასა და ამასთან, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, მოპასუხის მიერ განქორწინებასა და მისი მიზეზის



შესახებ გამოქვეყნებული განცხადება არ ცნო უკანონოდ.

*სოფიკო ზარანდია*

**► საავტორო უფლებების დარღვევისთვის კომპენსაციისა და მისი ოდენობის სასამართლოს მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე განსაზღვრისას, უნდა იქნას გათვალისწინებული ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ქვეყანაში არსებული საშუალო სტატისტიკური ხელფასების ოდენობა, როცა დაუდგენელია თუ რა შემოსავალს მიიღებდა მოსარჩელე მხარე მისი საავტორო უფლებები რომ არ დარღვეულიყო**

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე: №2ბ/5923-17)*

**ფაქტობრივი გარემოებები:** 2013 წლის 28-29 სექტემბერს, მოპასუხის ინიციატივით ჩატარდა სიმღერის მე-6 საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც არ ატარებდა კომერციულ ხასიათს და ემსახურებოდა ქართული სიმღერების პოპულარიზაციას. მოპასუხემ, რომელიც აღნიშნული ფესტივალის ორგანიზატორი იყო, შეარჩია ფესტივალზე წასაკითხი ლექსები, რომელიც მოსარჩელეს ეკუთვნოდა. საჯარო შესრულება მოხდა მოსარჩელის, როგორც ამ ლექსების ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე. შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვს საავტორო უფლების დარღვევისათვის კომპენსაციისა და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებას მოპასუხისათვის.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა:** მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, თუ რა შემოსავალი შეიძლებოდა მიეღო მას ზემოაღნიშნული ნაწარმოებების მართლზომიერად გამოყენებით ან რა ზიანი მიიღო, როგორც ავტორმა მითითებული ქონებრივი უფლებების დარღვევის გამო, სასამართლომ

დაადგინა მოპასუხის მიერ მოსარჩელის საავტორო უფლებების დარღვევა. სასამართლომ, მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 59 I ე) მუხლის საფუძველზე განსაზღვრა, რომ მოსარჩელის ერთი ლექსის ერთჯერადი საჯარო შესრულებისათვის ჰონორარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო 50 ლარზე ნაკლები. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით, უნდა დაკისრებოდა 1500 ლარის (თითოეულ ლექსზე 500 ლარის (50X10=500) გადახდა.<sup>1</sup> რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ მორალური ზიანის მიყენების შესახებ, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა. სასამართლომ განმარტა, რომ “საკმაოდ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ამ ნორმით გათვალისწინებული მიზნის სწორად დადგენას, კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. ამდენად, კანონის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართობა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი“. პალატის განმარტებით, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, სარჩელსა და საქმის ზეპირი განხილვისას, მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები, რომ ფესტივალზე მოსარჩელის ლექსების უნებართვო შესრულებით იგნორირებული იქნა მისი, როგორც ავტორის ნება, შელახული იქნა მისი ღირსება, სახეზე იყო უპატივცემულობა, აბუჩად აგდება, მან განიცადა შფოთი და ნერვიულობა, გარკვეული პერიოდი გული აიცრუა შემოქმედებით საქმიანობაზე, არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო მორალური ზიანის მიყენებად.

**სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:** მოპასუხე მხარე არ იზიარებდა სასამართლო გა-

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26/10/20106.

გადაწყვეტილება საქმეზე №ს-353-329-2010 და 30/01/20156. განჩინება საქმეზე №ს-547-520-2013.

დანყვეტილებას, და იგი მიუთითებდა საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებულ სამართლიანი გამოყენების დოქტრინაზე, რომლის მიხედვით საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების სამართლიანი გამოყენება კანონით ნებადართულია, რამდენადაც ეს არ არის ხელმყოფი გამოყენება. აპელანტის (თავდაპირველად მოპასუხე) განცხადებით სამართლიანობის დადგენის კრიტერიუმებად აღიარებულია შემდეგი: 1) გამოყენების მიზანი და ხასიათი, რაც მოიცავს იმ საკითხის გარკვევას - გამოყენება კომერციული მიზნით განხორციელდა თუ ადგილი ჰქონდა გამოყენებას საქველმოქმედო, საგანმანათლებლო მიზნით, 2) საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების ხასიათი, 3) საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების გამოყენებული ნაწილი რა მოცულობისა და შინაარსის შემცველი იყო მთელ ნაწარმოებთან შედარებით და 4) პოტენციურ ბაზარზე საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების მნიშვნელობაზე ან ღირებულებაზე რა გავლენას მოახდენდა ასეთი გამოყენება. მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, აპელანტი მიიჩნევდა, რომ სახეზე იყო სამართლიანი გამოყენება, ვინაიდან გამოყენებული ნაწარმოები ემსახურებოდა საქველმოქმედო მიზნებს, ყოველგვარი კომერციული შემოსავლის მიღებისგან დამოუკიდებლად. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული კომპენსაცია - 1500 ლარი არააგონივრული ოდენობაა, ამასთან, მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ ფესტივალის ფარგლებში მისი ლექსების საჯარო წაკითხვის შედეგად, მისი ჰონორარი 1500 ლარის ოდენობით (თითო ლექსი - 500 ლარი) განისაზღვრებოდა. ამიტომ, თითო ლექსზე 500 ლარის ჰონორარის აღება სასამართლომ არააგონივრულად და შეუსაბამოდ მიიჩნია საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ქვეყანაში არსებული საშუალო სტატისტიკური ხელფასების ოდენობის გათვალისწინებით. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფესტივალის მიზანზეც. მან გაიზიარა აპელანტის მიერ მითითებული, საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებული სამართლიანი

გამოყენების დოქტრინა, სამართლიან გამოყენებასთან მიმართებით. დასახელებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ კომპენსაციის დაკისრებისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ასევე იმასაც, რა მიზნით მოხდა ლექსების საჯარო წაკითხვა. დადგენილია, რომ მოპასუხის საქმიანობა უკავშირდება საქველმოქმედო მიზნებს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და ქართული სიმღერების პოპულარიზაცია. სასამართლომ კომპენსაციის ოდენობა დაადგინა შინაგანი რწმენის საფუძველზე, განსახილველი დავის ფარგლებში, დაუდგენელი იყო თუ რა შემოსავალს მიიღებდა მოსარჩელე ლექსების საჯაროდ კითხვის შედეგად, რის გამოც კომპენსაციის ოდენობა თითო ლექსზე 300 ლარის ოდენობით განსაზღვრა, რაც ჯამში შეადგენდა 900 ლარს. მაშასადამე, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 900 ლარი, 1500 ლარის ნაცვლად.

სოფიკო ზარანდია

► საქართველოს შრომის კოდექსის 47 | ე) მუხლის შეფასება და სასამართლო გამოყენების პრაქტიკა -“*favor prestatoris*”- დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობის მიხედვით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 5 მარტის გადაწყვეტილება; № ას-1421-2020

ფაქტობრივი გარემოებები: პირი (“დასაქმებული”) დასაქმებული იყო აპელანტ კომპანიასთან მოლარე-ოპერატორის თანამდებობაზე. მხარეთა შორის არსებობდა უვადო შრომითი ხელშეკრულება. 2016 წლის 21 ოქტომბერს დამსაქმებელმა მას განუცხადა, რომ ჩაიდინა სერიოზული დარღვევები სამუშაოს შესრულებისას, რის გამოც იგეგმებოდა მისი დათხოვნა სამსახურიდან. 2016 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებით, მას შეუჩერდა სამსახურებრივი უფლებამოსილება. დასაქმებულმა 2016 წლის 3 ნოემბერს, აპელანტს მიმართა განცხადებით დეკრეტული შვებულების მოთხოვნის შესახებ, ხოლო 2016 წლის 9 ნოემბერს ხელი მოაწერა შეთანხმებას, 2016

წლის 10 ნოემბრიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

დასაქმებულის მოთხოვნას წარმოადგენდა მხარეთა შორის, 2016 წლის 9 ნოემბერს დადებული, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების, ბათილად ცნობა; მისი აღდგენა, აპელანტის კომპანიაში იგივე თანამდებობაზე, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება, 2016 წლის 10 ნოემბრიდან, სამუშაოზე აღდგენამდე პერიოდში, აგრეთვე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება, საბავშვო ანაბრის ანაზღაურება და მორალური ზიანის ანაზღაურება.

*სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:* თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით, აპელანტი დამსაქმებლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებლის პოზიცია დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ლეგიტიმურ საფუძველსაა მოკლებული და დასახული მიზნისთვის არაპროპორციულია. სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას, ხომ არ ჰქონია ადგილი უფლების ბოროტად გამოყენებას დამსაქმებლის მხრიდან. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ადმინისტრაციის ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად<sup>1</sup>. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება

კეთილსინდისიერად არ გამოიყენა. ამ შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი საქართველოს შრომის კოდექსის 37 I ე) მუხლია, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში შეფასების საგანია – შეეძლო თუ არა დასაქმებულს, უარი ეთქვა სტაბილურ სამუშაო ადგილზე ორსულობისას და რომ არა მისი ეს მდგომარეობა და მის მიმართ გამოვლენილი ფსიქიკური ზემოქმედება, მიიღებდა თუ არა იდენტურ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანს წამოადგენდა იყო თუ არა სადავო შეთანხმებაზე ხელმოწერა მოსარჩელის თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგი, ხომ არ იყო იგი განპირობებული რაიმე ისეთი ფაქტორის ზემოქმედებით, რამაც იძულებული გახადა დაედო ასეთი გარიგება. აგრეთვე, შრომის კოდექსის 37 III გ) მუხლის თანახმად, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებული ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინების გამო ამ კანონის 36 II ზ) მუხლით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის ბ)–ე), ზ), თ), კ) და მ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა. ნების გონივრული განსჯის შედეგად არ შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსარჩელემ მის მუდმივ და სტაბილურ სამუშაო ადგილზე გაცნობიერებულად მხოლოდ იმიტომ თქვა უარი, რომ შემდეგ უმუშევარი დარჩენილიყო. ამასთან, მოსარჩელემ დამსაქმებელს 2016 წლის 3 ნოემბერს მიმართა განცხადებით ორსულობის გამო შვებულების მოთხოვნით, შესაბამისად, მხარეებს შორის 2016 წლის 9 ნოემბერს დადებული შეთანხმება მართებულადაა ცნობილი, როგორც კანონსაწინააღმდეგო და ბათილი სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე.

*უზენაესი სასამართლოს მსჯელობა:* საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები, ვინაიდან სსკ-ის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი არ არის სახეზე. საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო

1 იხ. სუსგ. Nას-1391-1312-2012, 10.01.2014წ.

სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის გადასაწყვეტად სამართლებრივად მნიშვნელოვანი ყველა გარემოება აქვს გამოკვლეული. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველია შრომის კოდექსის 37 I ე) მუხლი. მითითებული ნორმის ფარგლებში, მხარეთა შორის დადებული შეთანხმების, როგორც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლის კვლევისა და შეფასებისას სასამართლო, აღნიშნულ შეთანხმებამდე, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობასა და მოვლენათა განვითარების ერთობლივი ანალიზის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ გონივრული სტანდარტით მოქმედი პირი, ორსულობის გამო, დეკრეტული შვებულებით სარგებლობის მოთხოვნიდან რამდენიმე დღეში, უარს ვერ და იტყოდა სამუშაო ადგილზე, რომელზეც სტაბილურად უვადოდ იყო დასაქმებული, ამასთან, არც, კანონმდებლობით დადგენილ იმ სარგებელზე იტყოდა უარს, რომელსაც, დეკრეტული შვებულებისა და ბავშვის შეძენის გამო მიიღებდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სარგებლის მიღების შესაძლებლობას, მოპასუხეც არ უარყოფს, ხოლო, მისი პრეტენზია, რომ პირვანდელ თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის გამო, კომპენსაციის მიცემისას, დეკრეტული შვებულებისა და საბავშვო ანაბრის თანხის მიცემა უსაფუძვლო იყო, თავის მხრივ დაუსაბუთებელია, ვინაიდან, სადავო შეთანხმების არამართლზომიერად მიჩნევის პირობებში, პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის შეუძლებლობის გამო, არ შეიძლება დასაქმებულს დაეკისროს რისკი, იმ სარგებლის მიღების/ვერ მიღების შესახებ, რომელსაც იგი, სადავო შეთანხმების არარსებობის პირობებში მიიღებდა. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა და ამ შემთხვევაშიც ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება,

რასაც, მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩელე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზე, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას. დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი ძირეული პრინციპიდან, კერძოდ, დამსაქმებელს აქვს მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა შრომითი მოვალეობები დაარღვია, რაც კონკრეტული ქმედებით გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზე, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა. ამდენად სასამართლო, ყოველი კონკრეტული შემთხვევისას, შრომით დავებში, მეტწილად დამსაქმებელს აკისრებს მტკიცების ტვირთს მისივე დომინანტური მდგომარეობიდან გამომდინარე, ამასთან, კასატორი თავადვე განმარტავს, რომ შესაგებელში დამატებითი გარემოებები წარმოადგინა, რაზედაც, სწორედ თვითონ იყო ვალდებული შესაბამისი მტკიცებულებებით დაედასტურებინა სასამართლოსთვის. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალურ შემთხვევაში, სასამართლო იკვლევს, დასაქმებულის მიერ დამსაქმებელთან დადებული ხელშეკრულებისა თუ შინაგანანქონის შესაძლო დარღვევას, და ამ დარღვევის გამო გამოყენებული, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მითითებული ნორმის შესაბამისობას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა არ არის დასაბუთებული, და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის, როგორც მიზნის, მიღწევის ადეკვატური საშუალება. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა არის უკიდურესი ღონისძიება, რომელიც გამოყენებული უნდა

იქნეს გამონაკლის და მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, მყარი საფუძვლის არსებობის პირობებში. საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე. წ. *“favor prestatoris”* პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტით.

*სოფიკო ზარანდია*

► **სსკ-ის 73 VIII მუხლის მიხედვით სასამართლოს შეტყობინების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი და არაა დაკონკრეტებული თუ რა სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა იმყოფებოდეს შეტყობინების მიმღები ადრესატთან.**

► **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ბარათზე პირის მიერ ხელის მოწერა (გზავნილის ჩაბარების დადასტურება), მისი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73 VIII მუხლის სუბიექტად მიჩნევის წინაპირობაა და სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, მხარე ჩათვალოს ინფორმირებულად და განახორციელოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.**

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება-№ა-925-ბ-3-2024*

*საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 422-ე, 430-ე, 284-ე და 285-ე მუხლები*

**ფაქტობრივი გარემოებები:** კასატორმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 25 იანვრის განჩინების ბათილად ცნობა. მან მიუთითა, რომ აღნიშნული დავის საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილვის დროს კომპანიას არ ჰყავდა წარმომადგენელი, ვინაიდან, ერთი დირექტორი გათავისუფლებულ იქნა 2023 წლის 15 ნოემბერს, ხოლო მეორე დირექტორი 2023 წლის 04 დეკემბერს. საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით ახალი დირექტორის დანიშვნა გადაიდო ხარვეზის გამო და დირექტორი დაინიშნა 2024 წლის 20 თებერვალს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო ინფორმირებული იყო მასზე, რომ კომპანიის წარმომადგენლის მინდობილობის ვადა იყო გასული, და აგრეთვე ცნობილი იყო ის გარემოება, რომ კომპანიას არ ჰყავდა დირექტორი. კასატორი მიუთითებს, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონზე და მიიჩნევს, რომ კომპანიის დამფუძნებელი არ წარმოადგენს ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირს და შესაბამისად, არ აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 422 I ბ) მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი. განმცხადებელი ასევე მიუთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება ჩაბარდა კომპანიის დამფუძნებელს.

**უზენაესი სასამართლოს მსჯელობა:** საკასაციო სასამართლომ აღნიშნული განცხადება არ დააკმაყოფილა. იგი განმარტავს, რომ საქმის წარმოების განახლების ინსტიტუტი (სსკ-ის LII თავი) არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრების კიდევ ერთ შესაძლებლობას, არამედ იგი საგამონაკლისო წარმოების სახეა, როდესაც მართლმსაჯულების განხორციელებისას შესაძლო დაშვებული ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას.

პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის 6 I მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება უნდა განიმარტოს კონვენციის პრეამბულის კონტექსტში, რომლის თანახმადაც კანონის უზე-

ნაესობა უნდა წარმოადგენდეს მალალ ხელშე-  
მკვრელ მხარეთა საერთო მემკვიდრეობას. კა-  
ნონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური  
ასპექტი არის სამართლებრივი განსაზღვრუ-  
ლობის პრინციპი, რომლის თანახმადაც სასამა-  
რთლო თუ გადაწყვეტის საკითხს, მისი განჩინება  
არ უნდა დადგეს *ექვევემ (Brumărescu v. Roma-  
nia [GC], no. 28342/95, § 61, ECHR 1999 VII)*. ეს  
პრინციპი ნიშნავს, რომ არცერთ მხარეს არ  
უნდა ჰქონდეს საბოლოო და ძალაში შესული გა-  
დაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნის  
უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ მიაღწიოს სა-  
ქმის ხელახლა მოსმენასა და ახალ გადაწყვეტი-  
ლებას. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოე-  
ბის მიერ საქმის გადახედვა არ უნდა იქცეს შე-  
ნიღბულ აპელაციად. ამ პრინციპიდან გადახვე-  
ვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ  
ამის აუცილებლობა გამოწვეულია არსებითი და  
გარდაუვალი ხასიათის გარემოებების წარმო-  
შობით.<sup>1</sup> საბოლოოდ გადაწყვეტილი სამოქალა-  
ქო დავის განახლების პროცედურა კონვენციის  
მე-6 მუხლის მიზნებს ემსახურება, თუმცა იგი  
გამართლებულია, თუკი დადგინდება, სწორად  
იქნა თუ არა პროცედურა განხორციელებული  
არსებული საქმის ფაქტებზე, ანუ სასამართლო  
უნდა დარწმუნდეს, რომ საქმის წარმოების გა-  
ნახლება არ ემსახურებოდა სხვა მიზნებს, გა-  
რდა იმისა, რომლის გამოც იგი გადაწყდა სამო-  
ქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის დებუ-  
ლებებზე დაყრდნობით”.<sup>2</sup>

საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული გა-  
ნჩინების ბათილად ცნობის საფუძვლად ვერ გა-  
იზიარებს განმცხადებლის ზემოაღნიშნულ მი-  
თითებას და ამ მიმართებით, საკასაციო სასამა-  
რთლო პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილე-  
ბს იმ უდავო გარემოებაზე, რომ კასატორი კო-  
მპანიის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სა-  
კითხის განხილვის შესახებ უწყება საქართვე-  
ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-  
78-ე მუხლებით დადგენილი წესით, 2024 წლის  
24 იანვარს გაეგზავნა მისსავე შესაგებელსა და  
საკასაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე.  
დასახელებული უწყება 2024 წლის 25 იანვარს

ჩაბარდა კასატორი კომპანიის დამფუძნებელსა  
და პარტნიორს, რაც დასტურდება უწყების მე-  
ორე ეგზემპლარზე მის მიერ შესრულებული ხე-  
ლის მონერით და აღნიშნულ გარემოებას არც  
განმცხადებელი ხდის სადავოდ. ამასთან, საკა-  
საციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის 73 VIII მუხლზე, რომლი-  
თაც მონესრიგებულია ორგანიზაციისათვის სა-  
სამართლო შეტყობინების ჩაბარების წესი. და-  
სახელებული ნორმის ანალიზით ჩანს, რომ კა-  
ნონმდებელი ორგანიზაციისათვის სასამა-  
რთლო შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობას  
უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს. ნორმის ამ  
ნაწილით კანონმდებელი შეგნებულად არ აზუ-  
სტებს კონკრეტული პირის უფლებამოსილებას  
შეტყობინების ჩაბარებაზე და ალტერნატიუ-  
ლად ჩამოთვლის იმ პირთა ვინაობის ზოგად და-  
სახელებას, რომლებსაც უფლება აქვთ შეტყო-  
ბინება ჩაიბარონ ორგანიზაციის სახელით. ამ  
პირთა წრეს განეკუთვნებიან: კანცელარია ან  
ასეთივე დანიშნულების სტრუქტურული ერთე-  
ული ანდა პირი, ხოლო ასეთის არყოფნის შე-  
მთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამისი უფლე-  
ბამოსილი პირი, რომელიც უწყებას ადრესატს  
გადასცემს. გარდა აღნიშნული პირებისა, საქა-  
რთველოს უზენაესი სასამართლოს განმარტე-  
ბით, უფლებამოსილ პირად შეიძლება ჩაითვა-  
ლოს ნებისმიერი პირი, რომელიც რაიმე ფო-  
რმით იმყოფება შრომით ურთიერთობაში ორგა-  
ნიზაციასთან. თავის მხრივ, შრომითი ურთიე-  
რობა დამსაქმებლისა და დასაქმებულის  
იმგვარი ურთიერთობაა, რაც დასაქმებული პი-  
რის ნებისმიერ თანამდებობაზე მუშაობის მიუ-  
ხედავად, ავალდებულებს მას კეთილსინდისიე-  
რად განახორციელოს ხელმძღვანელობისათვის  
შეტყობინების ჩაბარება. ნორმის ზემოაღნიშნუ-  
ლი დანაწესის საპირისპირო განმარტება არ გა-  
მომდინარეობს სწრაფი მართლმსაჯულების  
პრინციპიდან. აქედან გამომდინარე, საკასაციო  
სასამართლო არარელევანტურად მიიჩნევს გა-  
საჩივრებული განჩინების გაუქმების საფუ-  
ძვლად, განმცხადებლის მითითებას იმაზე, რომ

1 იხ. Ryabykh, §52.

2 იხ. ECHR: „ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“  
განაცხადი №18156/05, 27.05.20105.).

უნყების ჩამბარებელი - კომპანიის დამფუძნებელი არ წარმოადგენს კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, რამეთუ სასამართლო შეტყობინების ჩაბარების ბარათზე პირის მიერ ხელის მოწერა (გზავნილის ჩაბარების დადასტურება), მისი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73 VIII მუხლის სუბიექტად მიჩნევის წინაპირობაა და სასამართლოს აძლევს სრულ შესაძლებლობას, მხარე ჩათვალოს ინფორმირებულად და განახორციელოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლოს უმყარებს თვით ის ფაქტიც, რომ სასამართლო შეტყობინების ჩაბარებისას, როგორც კომპანიის დამფუძნებელსა და პარტნიორს, ამ შეტყობინების ჩაბარებაზე უარი არ განუცხადებია. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირს, რომელსაც ჩაბარდა უწყება, როგორც დამფუძნებელსა და პარტნიორს, რომელსაც გააჩნია ინტერესი იმისა, რომ კომპანია, რომელიც მის მიერ არის დაფუძნებული, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში იყოს ქმედუნარიანი და მას, როგორც სუბიექტს, ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს სამოქალაქო საპროცესო მოქმედებები, რომელიც მნიშვნელოვანია საქმის განხილვისთვის, ჰქონდა უწყების ჩაბარების უფლებამოსილება და აღნიშნული მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს სწორედ ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73 VIII მუხლი სხვა პირის მიერ შეტყობინების ჩაბარების ნამდვილობისათვის ადგენს, რომ შეტყობინების მიმღები სუბიექტი შეიძლება იყოს ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი პირი და არაა დაკონკრეტებული თუ რა სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფება შეტყობინების მიმღები ადრესატთან. გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო განმცხადებელს განუმარტავს, რომ რეგისტრირებული იურიდიული პირი შიდა ორგანიზაციულ მოწყობაზე თავად არის პასუხისმგებელი და კომპანიის შიდა ორგანიზაციული მოუნესრიგებლობა, მათ შორის, ხელმძღვანელობასა და უფლებამოსილებაზე პასუხისმგებელი პირის არ ყოლა, ვერ გახდება შესაბამისი პასუხისმგებლობისგან თავის არიდების საფუძველი.

ამასთან, განმცხადებლის მითითება ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირის არყოლის საფუძველით გასაჩივრებული განჩინების ბათილობაზე არარელევანტურია იმდენად, რამდენადაც მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 146 I მუხლით სწორედ ხელმძღვანელი ორგანოა ანგარიშვალდებული სწორედ პარტნიორის წინაშე და არა პირიქით. აქვე, აღსანიშნავია, რომ მითითებული საქმე საკასაციო სასამართლოს წარმოებაში იყო 2023 წლის 11 აპრილიდან, რის შესახებაც ინფორმირებული იყო კასატორი მხარე. იმავდროულად, 2024 წლის 25 იანვარს, ზეპირი მოსმენის გარეშე დანიშნული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვის თაობაზე ცნობილი იყო კომპანიის დამფუძნებლისა და პარტნიორისათვის, თუმცა, მას საკასაციო პალატისათვის რაიმე განცხადებით არ მიუმართავს. ნიშანდობლივია ისიც, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოდგენილ განცხადებაზე საკასაციო პალატის მიერ დადგენილი ხარვეზის განჩინების ასლი ასევე სწორედ ამავე სუბიექტს ჩაჰბარდა, როგორც კომპანიის დამფუძნებელს და ჩაბარების შემდგომ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში განმცხადებელმა საკასაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების მიზნით მიმართა, რაც ასევე ადასტურებს იმას, რომ 2024 წლის 25 იანვრის ზეპირი მოსმენის გარეშე დანიშნული საქმის განხილვის შესახებ დამფუძნებლისათვის შეტყობინებით, კომპანიისთვის არ შეზღუდულა საკუთარი უფლების დაცვის შესაძლებლობა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელი ვერც გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე წარმოდგენილ 2024 წლის 20 თებერვლის განცხადებაში ვერ განმარტავს, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისას, თუ რა საპროცესო მოქმედებებს შეასრულებდა ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ყოლის შემთხვევაში და რა უარყოფითი გავლენა მოახდინა ასეთი პირის არყოლამ საქმის განხილვის საბოლოო შედეგზე, მით უფრო მაშინ, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განხილულ იქნა საქმის

ზეპირი მოსმენის გარეშე, სწორედ კასატორი კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ განცხადებაში მითითებული მოტივი გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის წინაპირობად ვერ ჩაითვლება, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სოფიკო ზარანდია

► **საგადასახადო ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის ფისკალური ინტერესი, ქონების რეალიზაციის უფლება, არ გამორიცხავს აღსრულების ოპტიმალური და მოვალის საკუთრების უფლების ნაკლებად მზღუდავი ვარიანტის შერჩევის ვალდებულებას. კრედიტორისა და მოვალის საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსი, ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად უნდა დადგინდეს**

(*უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №ბს-881(კ-19)*)

**ფაქტობრივი გარემოებები:** აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შუამდგომლობით მიმართა რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა მოვალის ყადაღადებული უძრავი ქონების სპეციალიზებული ღია აუქციონის გამართვის გზით რეალიზაცია. რაიონული სასამართლოს ბრძანებაში საგადასახადო დავალიანება 33 272,12 ლარით განისაზღვრა. საგადასახადო ბრძანების მიღების შემდეგ მოვალემ 13 200 ლარი გადაიხადა. აღმასრულებელმა შემოსავლების სამსახურიდან მოითხოვა ინფორმაცია დავალიანების ზუსტი ოდენობის შესახებ, რაზეც ეცნობა, რომ პირველი აუქციონის ჩატარებამდე არსებული მონაცემებით მოვალის საგადასახადო დავალიანება 138 991,78 ლარს შეადგენდა, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებით

აღიარებული დავალიანება ამ პერიოდისთვის 20 272,53 ლარით განისაზღვრა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, მოვალის საკუთრებაზე, რეგისტრირებული იყო იპოთეკა. იპოთეკარი ბანკის წერილის თანახმად, მოვალეს საბანკო დავალიანება არ ჰქონდა, ამის მიუხედავად, საჯარო რეესტრში მოვალის უძრავ ქონებაზე ირიცხებოდა იპოთეკა, ანუ აუქციონზე ქონება გატანილ იქნა გარდამავალი უფლებით. ინტერნეტ-განცხადებაში გაკეთდა გარდამავალი უფლების შესახებ განცხადება, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ, იპოთეკარი ბანკის წერილის თანახმად, დავალიანება არ ფიქსირდებოდა. უძრავი ქონება გატანილ იქნა აუქციონზე ზემოაღნიშნული იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის წარდგენის გარეშე.

პირველი, პირველი განმეორებითი და მეორე განმეორებითი იძულებითი აუქციონები უშედეგოდ დასრულდა. ამის შემდეგ, აღმასრულებელმა მიიღო განკარგულება მთელი უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში ნატურით გადაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნულ განკარგულებაზე მოვალემ წარადგინა საჩივარი, თუმცა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის ბრძანებით მას უარი ეთქვა საჩივრის განხილვაზე. შესაბამისად, მოვალემ სასამართლოში სარჩელი წარადგინა აღმასრულებლის ზემოაღნიშნული განკარგულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალემ უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

**უზენაესი სასამართლოს მსჯელობა:** სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ყადაღის მოცულობაზე, რომელზეც დამოკიდებულია აუქციონზე გატანილი ქონების ოდენობა და ქონების ღირებულება. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.01.11წ. N21 ბრძანებით დამტკიცებული N1 დანართის („*იძულებით აუქციონის ჩატარების ფორმები და წესი*“) | 1 მუხლის თანახმად, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო განსაზღვრავს აუქციონზე გასატან ქონებას და,



საჭიროების შემთხვევაში, ყოფს მას ლოტებად. იმის გათვალისწინებით, რომ მოვალის კუთვნილი უძრავი ქონება შედგებოდა რამდენიმე ობიექტისაგან, მთლიანი ქონება სოლიდური ღირებულების იყო და მისი საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატებოდა საგადასახადო დავალიანებას. აგრეთვე აღინიშნა, რომ, ზოგადად, სააღსრულებო სამსახური უნდა ცდილობდეს აღსრულების შედეგის მკვეთრი დისპროპორციის შემცირებას.

მოვალის სახელზე რიცხული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 3 723 000 ლარს შეადგენდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაურკვეველია თუ რა მოსაზრებებით იქნა გატანილი აუქციონზე მთელი ქონება, რატომ არ იყო შესაძლებელი დავალიანების დაფარვა მოვალეზე რიცხული ნაკვეთის ნაწილის ან ნაკვეთზე განლაგებული შენობებიდან ერთ-ერთის რეალიზაციით. მაშასადამე, მოვალის საკუთრებაში არსებული შენობებიდან ერთ-ერთის გატანა საკმარისი იქნებოდა დავალიანების გადამეტებით დასაფარად, შესაბამისად, არსებობდა მოვალის უძრავი ქონების დაყოფის საჭიროება.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 3 XII მუხლისა და საჯარო რეესტრის შესახებ კანონის 2 გ), ზ) და 154-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს იძულებითი აუქციონის ჩატარებამდე გააჩნდა ერთიანი საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების დაყოფის რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 77<sup>1</sup>-ე მუხლისა და 50 XII მუხლების საფუძველზე ქონების ნატურით გადაცემის განკარგულება საჯარო რეესტრში სახელმწიფოს მესაკუთრედ რეგისტრაციას უნდა დაედოს საფუძვლად, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი არ შეიცავს სახელმწიფოსათვის ქონების ნაწილის გადაცემის ამკრძალავ ჩანაწერს. სააღსრულებო ორგანო უფლებამოსილი იყო აგრეთვე განეკარგა არა მხოლოდ ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების რეალური ნაწილი, არამედ მისი იდეალური ნილიც, ვინაიდან კანონმდებლობით დასაშვებია ნივთზე, მათ შორის უძრავ ქონებაზე, რამდენიმე პირის საზიარო უფლების (საერთო საკუთრების უფლების) არსებობა, რომელიც შესაძლოა

საკადასტრო საზღვრების გამიჯვნის პროცესის გავლის გარეშეც იყოს თანასაკუთრებაში სკ-ის 953-ე მუხლის საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, საზიარო საგანი გაყოფადი იყო, შესაბამისად, თანასაკუთრების რეგისტრაციის შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნებოდა საზიარო უფლების გაუქმება საგნის გამოყოფით სკ-ის 964-ე მუხლის შესაბამისად. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 61-ე მუხლის მიხედვით უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მათ შორის საჯარო რეესტრში შეტანილ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების ნილი. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ 63 I, 181-ე და 63 III მუხლების მიხედვით, კრედიტორს, რომლის წარმომადგენელია სააღსრულებო ბიურო, გააჩნია იძულებითი აღსრულების ერთი სახის სხვა სახით შეცვლის უფლებამოსილება, რომლის გამოყენება ასევე იძლეოდა დავალიანებასა და ნატურით გადაცემულ ღირებულებას შორის არსებული დისპროპორციის აღმოფხვრის შესაძლებლობას.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე შემდეგზე, რომ ვალდებულების შესრულება ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. საგადასახადო ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის ფისკალური ინტერესი, ქონების რეალიზაციის უფლება, არ გამორიცხავს კრედიტორის კეთილსინდისიერებას, გადამხდელის უფლებისა და ქონებისადმი გულისხმიერი მიდგომის, აღსრულების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის ვალდებულებას. ამასთან, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 17 VII მუხლის საფუძველზე, სააღსრულებო ბიუროს, როგორც კრედიტორის აგენტს და საკუთრივ აღმასრულებელს ორმაგად ეკისრება მოვალისა და მისი ქონებისადმი გულისხმიერად მოქცევის ვალდებულება. მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა მოვალის მთელი ქონების ნატურით გადაცემის აღსრულების უკიდურეს, არარელევანტურ ფორმად მიჩნევის შესაძლებლობას.

